მასწავლებელი

№3(52),2018

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ნატო ინგოროყვა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
გიორგი მაჩაბელი,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ანა ჯანელიძე, თამთა დოლიძე, ნინო ლომიძე, მაია მენაბდე, მაია ჯალიაშვილი, მაია ფირჩხაძე, ქეთევან ოსიაშვილი, მალინა საჯაია, თამთა დოლიძე, ლელა კოტორაშვილი, ნათია ფურცელაძე, ნესტან რატიანი, ქეთევან კობალაძე, მაკა სახურია, ნინო ლაბარტყავა

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: Futurabook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 3-374

WWW.TPDC.GE

რამდენიმე წლის წინ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გამოყო მნიშვნელოვანი გზავნილები მასწავლებლებისთვის და თითოეულ მათგანზე ინფორმაცია საქართველოს მასწავლებლებს სხვადასხვა საშუალებით მიაწოდა.

როცა რედაქტორის ახალ წერილზე ვფიქრობდი (ეს წერილებიც ხომ ერთგვარი გზავნილებია მასწავლებლებისთვის), სწორედ იმ ცხრა გზავნილის ამბავი გამახსენდა.

ასეთი იყო ჩვენი გზავნილები მაშინ:

- უნდა ვიყო შემოქმედებითი. უსამართლობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ბავშვის შემოქმედებითი წარმატებისა თუ მარცხის განმსაზღვრელი ერთადერთი ფაქტორი მასწავლებელია, თუმცა პასუხი კითხვაზე, ვინ შეიძლება ჩაითვალოს შემოქმედებით მასწავლებლად, მარტივია: ის, ვინც ზრუნავს მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე.
- ღია უნდა ვიყო სიახლეების მიმართ. ასეთ პედაგოგს გაუადვილდება, გახდეს მოსწავლის მთავარი მოკავშირე და გამოაღვიძოს მისი ინდივიდუალური პოტენციალი.
- სკოლა ჩემი სახლია. განა კარგი არ იქნება, სკოლა სახლს დაამსგავსოს მასწავლებელმა? სახლს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რომ მოსწავლემ თავი იქ მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნოს?
- ვასწავლი და ვსწავლობ. „მასწავლებელი“ და „მოსწავლე“ პირობითი ცნებებია, რადგან მასწავლებელიც მთელი სიცოცხლე სწავლობს, ბევრ რამეს – საკუთარი მოსწავლეებისგანაც.
- უნდა ვიყო სამართლიანი. მასწავლებლის ღირებულებათა სისტემა, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეებთან, მშობლებსა და თანამშრომლებთან ურთიერთობისას ვლინდება. ის მუდმივად უნდა ცდილობდეს ამ ურთიერთობებში ობიექტურობის შენარჩუნებას.
- უნდა ვიყო ტოლერანტი. „სიმამაცეში მაშინ გამოვიცდებით, როცა უმცირესობაში ვართ, ტოლერანტობაში კი – უმრავლესობაში ყოფნისას“.
- ვზრუნავ უწყვეტ პროფესიულ განათლებაზე. პროფესიული განვითარება უწყვეტი განათლების პროცესია, ამიტომ კარგი მასწავლებელი, ამავე დროს, კარგი მოსწავლეც უნდა იყოს!
- ვაშენებ სამოქალაქო საზოგადოებას. თუ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევით გვსურს, სინამდვილედ ვაქციოთ ჩვენი ურყევი ნება – დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილების დამკვიდრება, მაშინ ძალისხმევის მიმართულება ნათელია.
- უნდა ვიყო თვითკრიტიკული. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში თვითკრიტიკულობა ეფექტური სწავლების აუცილებელი კომპონენტია. სწავლების ტრადიციული მოდელები ნაკლებად იყო ორიენტირებული სასწავლო პროცესისა თუ შედეგების ანალიზსა და კრიტიკაზე, სწავლების თანამედროვე ფორმები კი ამ ორი ელემენტის გარეშე წარმოუდგენელია.

მაშინ ამ გზავნილებზე სტატიების მომზადება ჩვენს ავტორებს ვთხოვეთ და ახლა, როცა კვლავ მივუბრუნდი ამ სტატიების შინაარსს, თქვენთვის მათი შეხსენება მომინდა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული გზავნილი კვლავ აქტუალურია, თითქოს დღეს დაიწერა და თანამედროვე განათლების დღევანდელ პრობლემებს ეხმიანება. არ არის ასე? – მაშინ ვიკამათოთ.



მოსაზრება

9 | **თამთა დოლიძე**
ცოდნის საზომი
შეფასების სისტემის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება მოსწავლისთვის საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების ჩვენებაა. ჩვენ ის უნდა შევაფასოთ, რამდენად ნაყოფიერ და კარგად გააზრებულ ნაბიჯებს დგამს მოსწავლე თვითგანვითარების მიზნით.

18 | **მაია მენაბდე**
ინანიშვილის ხელწერა და ჩიტბატონების მკვლელები
სტატიაში მის ერთ საინტერესო, გამორჩეულ, აქტუალურ ნაწარმოებზე უნდა ვისაუბრო – „ჩიტების გამომზამთრებელზე“. ამ ნოველა-პიესას მეშვიდეკლასელები სწავლობენ (ჩემი აზრით, ერთი წლის მერე რომ ესწავლათ, უფრო უპრიანი იქნებოდა). ადვილად იგებენ-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, მაგრამ საერთოდ არ ესმით-მეთქი, არც ეს იქნება მართალი.

34 | **ნათია ფურცელაძე**
როცა მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად კითხულობენ
მთავარია, წიგნი ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შევარჩიოთ და კითხვის მსურველი პედაგოგები შემოვიკრიბოთ. მოსწავლეები უზომოდ გაიხარებენ, როცა გაიგებენ, რომ მასწავლებლები მათთვის და მათთან ერთად კითხულობენ.

38 | **ნესტან რატიანი**
როგორ გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა წერითი კომუნიკაციის უნარი – რეფლექსიები
წერითი კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად მასწავლებელმა მრავალფეროვანი დავალებები უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს. ერთ-ერთი ასეთი დავალებაა რეფლექსიების წერა. მიუხედავად იმისა, რომ რეფლექსია პირველ პირში იწერება და ნაწერი, ერთი შეხედვით, არაფორმალური ხასიათისაა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსწავლე აკადემიურ ჩარჩოებს უნდა გასცდეს.

41 | **მალინა საჯაია**
ღორეა მარტინესი
სოციალურ-ემოციური სწავლების სიკეთე
ბევრმა მასწავლებელმა ინტუიციურად იცის, რომ მოსწავლეებთან ემოციური კავშირი მნიშვნელოვანია მათი აკადემიური, სოციალური და ემოციური ზრდისთვის. ასეთი მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეებზე, ყურადღებას აქცევენ კლიმატს საკლასო ოთახში, მოსწავლეების ჩართულობას თუ უკუკავშირს.

გამოცდილება

14 | **ლელა კოტორაშვილი**
წაიკითხე ჩემი წიგნი
ბავშვისთვის მორალური შეგონებები განსაზღვრულ ასაკამდე გაუგებარია. თუ გვსურს, ნაბიჯ-ნაბიჯ ვასწავლოთ განსხვავებული ადამიანების მიმღებლობა ან გავუღვივოთ თანაგანცდა, ლიტერატურული მაგალითები ამაშიც დაგვეხმარება.



განათლების ფსიქოლოგია

44 | **ქეთევან კობალაძე**
მდუმარება როგორც დანაშაული
რა მექანიზმი დევს მოძალადე მშობლის მხრივ ბავშვის – მსხვერპლის – ქმედებათა გაუფერულების, გაუფასურების ტენდენციაში? ჩვენი აზრით, მშობელი ბავშვს საკუთარი მრისხანების, ბრაზის „კონტეინერის“ ფუნქციას ანიჭებს.

47 | **ქეთევან ოსიაშვილი**
როგორ დავძლიოთ ბავშვის სიზარმაცე
ბავშვისთვის მუდმივად იმის შეხსენება, რომ ის ცუდი, ზარმაცი, მოუხერხებელია, უარყოფითად აისახება ჩვენდამი მის დამოკიდებულებაზე. ბავშვის უპირობო სიყვარული და მისი მიღება ისეთად, როგორიც არის, უამრავი პრობლემის და მათ შორის სიზარმაცის დაძლევაშიც დაგვეხმარება.

პრობლემა

მაკა სახურია

26 **კლასი როგორც კოლექტივი და მისი ღირებულებათა სისტემა**

შემოქმედებითობა და თანამშრომლობა ორმხრივი ურთიერთობის პროდუქტებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ტოლერანტობა, მიმღებლობა, თანასწორობა, პასუხისმგებლობა, კეთილგანწყობა, სოციალური თანალმობის უნარები, რასაკვირველია, სკოლაშიც გამოუმუშავდება ბავშვს, მაგრამ აქ გადამწყვეტია ოჯახის როლი და თავად მოსწავლის პიროვნული ფსიქოემოციური ფონიც.

27-30

რესურსი

ნინო ლაბარტყავა

4 **იდეები სოციალური პროექტების დაგეგმვისათვის განათლების დაწყებით საფეხურზე**

ბავშვებისთვის საკუთარი და სხვათა ემოციების ამოცნობის უნარის განვითარება, პროსოციალური ქცევის წახალისება და რეფლექსია მნიშვნელოვანია კლასის ერთობის, სკოლის საერთო კულტურისა და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს ფორმირებისთვის.

მაია ფირჩხაძე

22 **დიფერენცირებული სწავლება როგორც მოსწავლეთა რეალიზაციის ეფექტური საშუალება**

დიფერენცირებული სწავლებისას მასწავლებელი მუშაობს მთელ ჯგუფთან, რომლის თითოეულ წევრსაც სხვადასხვა ხარისხის ცოდნა აქვს, მაგრამ პროცესი მიმართულია „გათანაბრებისკენ“ – დავალებები დახარისხებულია თითოეულის შესაძლებლობის მიხედვით, რაც ერთიანობაში ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის მოტივირებას და შესაძლებლობებისა და ინტერესების მაქსიმალურ გამოვლენას, ერთმანეთით სწავლას და თვითსწავლას.

მაია ჯალიაშვილი

50 **როგორ „გავაღვიძოთ“ მოსწავლე – კრიტიკული აზროვნების ნიუანსები**

კრიტიკულად მოაზროვნე არა მხოლოდ კონკრეტულ ამოცანებს წყვეტს, არამედ რეალური ცხოვრებისეული გამოწვევებისთვისაც ემზადება. ამგვარი აზროვნების უნარი ეხმარება ადამიანს, დამოუკიდებლად გაიაზროს გზა თანამედროვე საინფორმაციო ნაკადებში.

მოსაზრება

ანა ჯანელიძე

53 **ციფრული ტექნოლოგიები ადრეულ განათლებაში**

ბავშვების უმეტესობა წერა-კითხვის სწავლამდეც თავისუფლად სარგებლობს ციფრული ტექნოლოგიებით. მეტიც - ხანდახან სწორედ ამ ტექნოლოგიების საშუალებით უვითარდებათ წიგნიერების უნარ-ჩვევები. ამდენად, ტექნოლოგიები ის სფეროა, სადაც ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე აქვთ საკუთარი კომპეტენტურობისა და შემოქმედებითობის დემონსტრირების შესაძლებლობა.

ნინო ღაბარჩყავა

იდეები სოციალური პროექტების დაგეგმვისათვის განათლების დაწყებით საფეხურზე

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია ერთ-ერთი გამჭოლი კომპეტენციაა. ის, სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირების მიზნით, ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას გულისხმობს, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღების უნარი, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა.

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ სკოლაში სოციალური პროექტების განხორციელება ამის საუკეთესო საშუალებაა. სოციალური პროექტები მიმართულია გარემოს გაუმჯობესებისკენ, კონკრეტულ სოციუმში რეალური სოციალური საჭიროებების შესწავლისა და სოციალური სიტუაციის გაუმჯობესებისკენ (არსებულ პრობლემათა პრევენციისკენ/მინიმიზაციისკენ), რისი საბოლოო მიზანიც სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაა. სკოლაში მოსწავლეები მხოლოდ კონკრეტულ დისციპლინებს კი არ სწავლობენ, არამედ სკოლა ოჯახთან თანამშრომლობით ზრუნავს მათ აღზრდასა და მორალურ განვითარებაზე. ამასთანავე, სხვაზე პასუხისმგებლობა, სხვაზე ზრუნვა ბავშვებს ეხმარება საკუთარი თავის ღირებულად აღქმაში და აძლევს მათ პრობლემებთან გამკლავების შესაძლებლობას, ეს კი მოზარდთა რისკიანი ქცევის პრევენციის ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევა. ზოგი მეცნიერის აზრით (Eisenberg, 1992), აგრესიული ქცევის შემცირება შესაძლებელია პროსოციალური ქცევის (სხვებზე ზრუნვა ისე, რომ არ მოელი პირად გამორჩენას) წახალისებით.

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში სოციალური პროექტი როგორც მასწავლებლის დამატებითი საქმიანობა გათვალისწინებულია პრაქტიკოსის, უფროსისა და წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლებისთვის და მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში პედაგოგს 0.5 კრედიტი ენიჭება.

სოციალური პროექტი შეიძლება განახორციელონ მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, მოსწავლეთა მშობლებმა და თემმა. შესაბამისად, პროექტის ბენეფიციარიც შეიძლება იყოს: კონკრეტული მოსწავლე, კლასი, სკოლა, სასკოლო ქსელი ან თემი.

აქედან გამომდინარე, სოციალური პროექტის მიზნები შეიძლება იყოს:

- სოციალური ადაპტაციის გაუმჯობესება;
- მოწყვლადი ჯგუფებისთვის პირობების გაუმჯობესება, ცხოვრების ხარისხის ამაღლება;
- მრავალფეროვანი ჯგუფების მიმართ ტოლერანტობის გაზრდა;
- დაპირისპირების, კონფლიქტების პრევენცია;
- უშუალო გარემოს (მათ შორის – ფიზიკურის) გაუმჯობესება;
- მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლება.

სოციალური პროექტები შეიძლება განხორციელდეს შემდეგ თემებზე: ეკოლოგია, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, სერვისის გაუმჯობესება, სოციალური ადაპტაცია, განათლება, დასვენების ორგანიზება, შემოქმედება.

შესაძლოა დაგებადოთ კითხვა, რა კონკრეტული ნაბიჯებია საჭირო იმისთვის, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს განვუვითაროთ უნარები, რომლებიც გარემოს გაუმჯობესებისა თუ სხვებზე ზრუნვისკენ იქნება მიმართული.

ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ემპათიის განვითარებაზე ზრუნვა. ემპათია მოიაზრებს სხვისი ემოციების გაგების, წვდომისა და თანაგანცდის უნარს. პატარა ბავშვებისთვის მისი მნიშვნელობის განმარტება, ერთი შეხედვით, შეიძლება საკმაოდ რთულ ამოცანად მოგვეჩვენოს, მაგრამ იმისთვის, რომ ბავშვმა სხვისი ემოციის აღქმა და შესაბამისად რეაგირება შეძლოს, მნიშვნელოვანია, ესმოდეს გრძნობათა ფართო სპექტრი, რომელსაც იგი ყოველდღიურად განიცდის და ისიც, რომ სხვა ადამიანებს შეიძლება მსგავს სიტუაციაში განსხვავებული ემოციები დაეუფლოთ. რაც უფრო უკეთ შეგვიძლია საკუთარი და სხვისი ემოციების ამოცნობა, მით მეტად ვახერხებთ თავის მართვას და სხვათა დახმარებასაც, ეს კი აუცილებელი უნარებია მეგობრებსა თუ თანაკლასელებთან კარგი ურთიერთობის დამყარებისა და შენარჩუნებისთვის.

ამის მიღწევა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ემოციების ამოცნობის უნარის განვითარებით არის შესაძლებელი. მართალია, თანაგრძნობის უნარი ასაკთან ერთად გამოგვიმუშავდება, მაგრამ არსებობს სტრატეგიები, რომელთა დახმარებითაც შეგვიძლია ბავშვებს ეს გრძნობა განვუვითაროთ.

მიიჩნევა, რომ 7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის სხვისი ემოციების წვდომა საკმაოდ რთულია. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ფაქიზად გამოხატავდნენ უფროსები ბავშვების მიმართ ემოციებს, რამდენად ხედავდნენ პატარები სხვების მიმართ გამოხატულ ემპათიას და რამდენად იყო წახალისებული სხვა უფროსისა თუ ბავშვის პროსოციალური ქცევა. ასეთ შემთხვევაში ბავშვს ექმნება წარმოდგენა, რომ სხვათა ემოციების წვდომა და სხვაზე ზრუნვა მნიშვნელოვანია. თანაგრძნობა სხვისი ემოციების გაგებით იწყება.

გთავაზობთ აქტივობას „ამოიცანი ემოცია“, რომელიც 6-10 წლის ბავშვებზეა გათვლილი. აქტივობის განხორციელებისთვის საჭიროა ბარათები სიტუაციებით, რომლებიც შეიძლება იყოს ტიპური უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის (სიტუაციათა გამრავალფეროვნება სასურველია მოსწავლეთა ინტერესების, ასაკისა თუ კულტურის გათვალისწინებით).

სიტუაციათა სავარაუდო ჩამონათვალი:

- ბავშვს ნაყინი კონუსიდან ჩამოუვარდა;
- დაბადების დღე აქვს და სტუმრებს ელოდება;
- დაეცა და მუხლი დაიზიანა;
- სურს, უფროსებმა ახალი სათამაშო უყიდონ;
- სკოლაშია და მოშივდა;
- სტუმრად მიდის ახალგადმოსულ თანაკლასელთან;
- ყური სტკივა და სიცხე აქვს;
- ბიძაშვილმა რაღაც აჩუქა;
- მასწავლებელმა შენიშვნა მისცა;
- ქურთუკის შეკვრის დროს ელვა გაეჭედა;
- სკოლაში ბებიას ელოდება, რომელიც აგვიანებს;
- მის ლეკვს ოპერაცია სჭირდება.

მოსწავლეები სხდებიან წრეზე. მასწავლებელი უკითხავს სიტუაციას ან სთავაზობს ბარათს შესაბამისი ილუსტრაციით. მანამდე მოსწავლეებს ურიგდებათ ბარათები სხვადასხვა ემოციის სახელწოდებებით (ან ემოტიკონებით): მოწყენილი, მხიარული, შეშინებული, შეშფოთებული, გაკვირვებული, გაბრაზებული, ამაყი, ბედნიერი. მოსწავლეები პასუხობენ კითხვებზე: „რას გრძნობს ბავშვი? რას იგრძნობდით თქვენ ამ დროს?“ მოსწავლეებს შეუძლიათ ამოარჩიონ ნებისმიერი ბარათი, აჩვენონ ჯგუფს და დაასახელონ. ასეთ დროს ბავშვები აკვირდებიან, რომ ადამიანებს ერთსა და იმავე სიტუაციაში შეიძლება განსხვავებული ემოციები გაუჩნდეთ.

იმისთვის, რომ აქტივობა მეტად სახალისო იყოს მოსწავლეებისთვის, შეიძლება ემოტიკონების დასამზადებლად გამოვიყენოთ

> სოციალური პროექტი შეიძლება განახორციელონ მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, მოსწავლეთა მშობლებმა და თემმა. შესაბამისად, პროექტის ბენეფიციარიც შეიძლება იყოს: კონკრეტული მოსწავლე, კლასი, სკოლა, სასკოლო ქსელი ან თემი.

ფოტოები ჟურნალებიდან ან სპეციალურად დამზადებული ხელის თოჯინები. ემოციების გამოსახულებათა გამოყენება სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი. მაგ., შეიძლება, რომელიმე ემოციის ამორჩევის შემდეგ ბავშვებმა იმსჯელონ, რომელ ემოციას გამოხატავს ის და როდის განიცდიდნენ თავად მსგავს ემოციებს.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს მივაწვდით ინფორმაციას ემოციების შესახებ, შეგვიძლია წამოვიწყოთ დისკუსია: გარშემო მყოფების როგორმა ქცევამ/კეთილმა საქმემ შეიძლება დაგვაყენოს კარგ გუნებაზე და, საზოგადოდ, კლასში თუ ქალაქში შექმნას დადებითი კლიმატი.

იდეების გენერირების შემდეგ შეიძლება საკლასო ოთახში გავაკრათ კეთილი საქმეების ჩამონათვალი, საიდანაც მოსწავლეები თავად აირჩევენ მათთვის სასურველს.

ეს შეიძლება იყოს:

- ნაცნობებისადმი ღიმილიანი მისალმება;
- კარის დაჭერა ვინმესთვის, ვინც ოთახში შემოდის;
- მოწყენილი მეგობრისთვის სასაცილო ამბის მოყოლა;
- კეთილი სურვილებით ბარათის დატოვება თანაკლასელის მერხზე ან ბიბლიოთეკის წიგნში;
- ასაკოვანი ადამიანის ბავშვობის ისტორიით დაინტერესება, მისი მოსმენა;
- მეგობრისთვის კომპლიმენტის თქმა;
- მაგიდის გაშლასა და ალაგებაში ოჯახის წევრების დახმარება;
- ოჯახის წევრებისთვის ლოგინის გაშლა;
- დაფის გაწმენდა, კლასის მოწესრიგება მანამდე, სანამ ვინმე ამის გაკეთებას დაგვავალებს;
- ყვავილების მორწყვა;
- სკოლის ეზოს გალამაზება ფერადი ცარცით.

იდეები შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ სიკეთის ყოველდღიურ, მარტივ გამოვლინებებს, არამედ იმგვარ საქმიანობებსაც, რომლებსაც შედარებით მეტი დრო და გარკვეული რესურსი სჭირდება. კერძოდ:

- ზამთარში ფრინველებისთვის საკვებურების მოწყობა;
- ხეების დარგვაში მონაწილეობა;
- სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის წიგნების წაკითხვა ან საყვარელი თამაშების სწავლება;
- ჯარისკაცებისთვის, მოხუცთა თავშესაფრის ბინადრებისთვის სადღესასწაულო დღეებში ხელნაკეთი მისალოცი ბარათების გაგზავნა;
- ექიმებისთვის, ექთანებისთვის, 112-ის თანამშრომლებისთვის, პოლიციელებისა და მეხანძრეებისთვის სამადლობელი წერილების დაგზავნა იმის გამო, რომ მუდამ ზრუნავენ ჩვენს უსაფრთხოებაზე;
- საბავშვო წიგნების, გასაფერადებლების, სახატავი საშუალებების შეგროვება და ბავშვთა პოლიკლინიკისა და სტომატოლოგიური კაბინეტის მოსაცდელებისთვის გადაცემა;
- სკოლის ბიბლიოთეკისთვის სანიშნეების დამზადება;
- ცხოველთა თავშესაფრისთვის სათამაშოების დამზადება (მაგ., ძაფზე გამობმული ბაფთებისა კატებისთვის).

საქმიანობის დასრულების შემდეგ მიზანშეწონილია პროცესის რეფლექსია. მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ, რა განცდებს იწვევს მათში ან იმ ადამიანებში, ვისაც ეს შეეხო, მათ მიერ განხორციელებული სიკეთის ჟესტები, რა საპასუხო რეაქცია მიიღეს მათგან. სასურველია დისკუსია და დაფიქრება იმაზე, რა სიკეთე გაგვიკეთეს დღის თუ კვირის განმავლობაში სხვა ადამიანებმა და როგორ შეიძლება ამგვარმა ქცევამ შეცვალოს კლიმატი ჩვენს კლასსა თუ სკოლაში. რეფლექსიისთვის შეიძლება როგორც კლასში დისკუსიის წამოწყება, ისე სპეციალურად შექმნილი ჟურნალების გამოყენება.

სიკეთის ჟურნალი შეიძლება შეიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

თარიღი:

- კვირის განმავლობაში რა კეთილი საქმის/საქმეების გაკეთება შემიძლია ჩემი თანაკლასელისთვის/თანასკოლელისთვის?
- მოიფიქრეთ და დახატეთ, რა კეთილი საქმის გაკეთება შეგიძლიათ კვირის განმავლობაში.
- რა კეთილი საქმე გაგიკეთათ სხვა ადამიანმა?

- რას გრძნობთ, როდესაც სიკეთეს გიკეთებენ?
- დახატეთ, რა სიკეთე გააკეთა სხვა ადამიანმა თქვენთვის.

თარიღი:

- კეთილი საქმე, რომელიც ამ კვირაში გააკეთეთ სხვა ადამიანისთვის.
- თქვენი აზრით, რას გრძნობდა ის ადამიანი?
- თქვენ როგორ გრძნობდით თავს?
- მოახდინა თუ არა თქვენმა საქციელმა გავლენა კიდევ ვინმეზე?
- რის გაკეთებას აპირებთ ხვალ?

თარიღი:

- მე შემიძლია, მშობლებს ჩემი სიკეთე დავანახო იმით, რომ....
- შემიძლია, და-ძმას ჩემი სიკეთე დავანახო იმით, რომ...
- შემიძლია, მეგობარს ჩემი სიკეთე დავანახო იმით, რომ...
- შემიძლია, ჩემი კლასის დამრიგებელს სიკეთე დავანახო იმით, რომ...
- რა კეთილი საქმეების მაგალითებს ვხვდები ჩემს კლასში?
- დახატეთ თქვენი კლასი, როდესაც იქ კეთილი საქმეები ხდება.

თარიღი:

- სიკეთის დღე რომ აღმენიშნა, ამ დღეს გავაკეთებდი...
- დახატეთ ადამიანები, რომლებიც სიკეთის დღეს აღნიშნავენ.

თარიღი:

- ჩემთვის სიკეთე არის..
- დახატეთ, რა არის სიკეთე.
- სიკეთის გაკეთება მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ...
- ყველა ადამიანი დღეში ერთ სიკეთეს რომ აკეთებდეს, როგორი იქნებოდა, თქვენი აზრით, ჩვენი ქალაქი/სოფელი/სამყარო?

მასწავლებელს შეუძლია აღნიშნული ჟურნალის როგორც გამარტივება, ისე გამრავალფეროვნებაც. ჟურნალს მოსწავლეები დამოუკიდებლად აწარმოებენ, თუმცა ზოგად საკითხებზე პედაგოგმა შეიძლება კლასში დისკუსია წამოიწყოს.

რეფლექსიისთვის შეგვიძლია უფრო მარტივი ვერსიის გამოყენებაც - მოსწავლეები მათ მიერ გაკეთებულ კეთილ საქმეს ხატავენ ან წერენ და აკრავენ წინასწარ მომზადებულ სიკეთის ხეზე.

შეიძლება კლასში კალენდრის გაკეთებაც, რომელშიც მოსწავლეები დღეების მიხედვით ჩაწერენ მათ მიერ გაკეთებულ კეთილ საქმეებს.

იხ. სავარაუდო ნიმუში

შეიძლება მეოთხე კლასის შემდეგ ორგანიზაციის Life Vest Inside („შინაგანი სამაშველო ჟილეტი“) მიერ შექმნილი ვიდეოს „სიკეთის ბუმერანგი - ერთი დღე“ ჩვენება - https://www.youtube.com/watch?v=nwAYpLVyeFU.

ვიდეოში ნაჩვენებია, როგორ იწყება დღე იმით, რომ მშენებელი მუშა ეხმარება პატარა ბიჭუნას, რომელიც სკეიტბორდიდან ვარდება, მერე კი ფეხზე წამომდგარი ბიჭუნა მოხუც ქალბატონს ეშველება მძიმე ჩანთის აწევაში და ასე გრძელდება მანამდე, სანამ სიკეთე თავად მუშას არ დაუბრუნდება. ვიდეოს ჩვენების შემდეგ შეიძლება დისკუსიის წამოწყება. რატომ ჰქვია, მათი აზრით, ვიდეოს „სიკეთის ბუმერანგი?“ თქვენ როგორ მოიქცეოდით ბიჭუნას, მოხუცი ქალბატონის, მიმტანის ან სხვა პერსონაჟის ადგილას? როგორ ფიქრობთ, რატომ იქცევიან ადამიანები ასე?

იმედი გვაქვს, სტატიაში მოწოდებული იდეები დახმარებას გაუწევს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს სოციალური პროექტების დაგეგმვისას. ბავშვებისთვის საკუთარი და სხვათა

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
კლასი გავაფორმე ჩვენი ნამუშევრებით, რამაც ის უფრო კომფორტული გახადა.	დავეხმარე თანაკლასელს დავალების შესრულებაში;	მოვიკითხე თანაკლასელი, რომელიც ავად არის.	მოვრწყე ყვავილები; მოვაწესრიგეთ საკლასო ოთახი. დავეხმარეთ სკოლის ბიბლიოთეკარს კატალოგის შექმნაში.	დავეხმარე ბებიას ნამცხვრის გამოცხობაში.	ჩემს დას წავუკითხე ზღაპარი.	დავეხმარე მამას მანქანის გარეცხვაში.

ბავშვებისთვის საკუთარი და სხვათა ემოციების ამოცნობის უნარის განვითარება, პროსოციალური ქცევის წახალისება და რეფლექსია მნიშვნელოვანია კლასის ერთობის, სკოლის საერთო კულტურისა და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს ფორმირებისთვის.

ემოციების ამოცნობის უნარის განვითარება, პროსოციალური ქცევის წახალისება და რეფლექსია მნიშვნელოვანია კლასის ერთობის, სკოლის საერთო კულტურისა და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს ფორმირებისთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროსოციალური ქცევის წახალისება შეიძლება სასკოლო ბულინგის პრევენციის მიზნითაც გამოვიყენოთ. თუ დავუშვებთ, რომ ადამიანი სხვას ჩაგრავს საკუთარი ძალის დემონსტრირებისა და ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილით, ზემოთ აღწერილ საქმიანობათა შეთავაზებით ბავშვებს ვუბიძგებთ, ენერგია ცივილიზებული და სოციალურად მისაღები ფორმით დახარჯონ, იგრძნონ საკუთარი და სხვა ადამიანების ღირებულება, შესაძლებლობის ფარგლებში იზრუნონ გარემოს გაუმჯობესებაზე და გაიაზრონ, რომ თითოეულ ადამიანს შესწევს ძალა და უნარი, წვლილი შეიტანოს მშვიდობიანი და უკეთესი გარემოს შექმნაში, რაც სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Eisenberg, N. (1992). The Caring Child, Harvard University Press, P 189
2. goo.gl/Aonn1h (ნახვა 01.03.2018)
3. goo.gl/ZyL5VT (ნახვა 01.03.2018)
4. goo.gl/ozpMGJ (ნახვა 01.03.2018)
5. goo.gl/9QKjWy (ნახვა 01.03.2018)
6. goo.gl/jZW4Uv (ნახვა 02.03.2018)
7. goo.gl/9gP6Zc (ნახვა 02.03.2018)
8. goo.gl/RdPF2k (ნახვა 01.03.2018)
9. goo.gl/tAe8Zx (ნახვა 01.03.2018)
10. goo.gl/AVq5tC (ნახვა 01.03.2018)
11. goo.gl/rNBrhG (ნახვა 01.03.2018)
12. goo.gl/LzuxRx (ნახვა 01.03.2018)
13. goo.gl/oPYq56 (ნახვა 01.03.2018)
14. www.lifevestinside.com



თამთა ჯოღიძე

ცოდნის საზომი

– ადექი, მომიყევი გაკვეთილი! – მიძახებს დაფასთან მასწავლებელი. ვდგები, მთელი კლასი მე შემომყურებს. რომ დავდგე და ამხელა ბიჭმა მოყოლა დავიწყო, რა გაუძლებს თანაკლასელების დამცინავ მზერას და რეპლიკებს: – პროფესორა მოდის! გზა დაუთმეთ, ნასწავლი კაცი გაატარეთ! – და ა.შ. ამიტომ ვარ ჩუმად, თორემ გაკვეთილი როგორ არ ვიცი! გუშინ მთელი საღამო შევალიე, ბოლო ფურცლამდე ჩავიკითხე უტასა და კოლონკელიძის ქალის დიალოგი, გამოვიტირე დიდოსტატის მარჯვე მარჯვენა, ხვლიკისფერი სვეტიცხოველი მესიზმრებოდა მერე... გაკვეთილი ვიცი, თანაც „ტექსტთან ახლოს“, როგორც მასწავლებელს უყვარს. ძალიან მინდა, ვინმეს ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარო. ერთი წუთითაც არ ვიყოყმანებდი, ბოლო მერხზე სოფლის გამგებელივით მედიდურად წამოჭიმული გოგია ასე რომ არ მიბრიალებდეს თვალებს.

– დაჯექი, ორიანი! – გამოაქვს მოსალოდნელი განაჩენი ჩემი დუმილით გაბეზრებულ მასწავლებელს, რომელსაც კუდიანების წერით დაღლილი ხელი ახლა სხვა საკბილოსკენ მიუმართავს და ეძახის:

– ახლა შენ ადექი და მომიყევი გაკვეთილი!

ეს ისტორია ალბათ ძალიან მოუხდებოდა მეოცე საუკუნის ქართულ სკოლებზე დაწერილ ნებისმიერ მოთხრობას, მაგრამ მსგავსი სცენარით მოვლენები დღესაც არაერთ სკოლაში ვითარდება. საგანმანათლებლო რეფორმებისა და მეთოდოლოგიური სიახლეების მიუხედავად, მოსწავლეების ცოდნა უმეტესად ისეთი პრიმიტიული ინსტრუმენტებით იზომება, როგორიცაა გაკვეთილის მოყოლა, ლექსების, ციტატების, წესების გაუაზრებლად დაზეპირება, საკონტროლო წერისთვის სტანდარტული თემების („მეგობრობა ვეფხისტყაოსანში“ და სხვა) შედგენა-დაზუთხვა და ა.შ., მოკლედ რომ ვთქვათ, ფაქტობრივი ცოდნის დამახსოვრებაზე ორიენტირებული ქმედებები, რომელთა გამოუსადეგარობაც საკუთარ თავზე, ალბათ, ყველას გამოგვიცდია. სამწუხაროა, რომ მოსწავლის შეფასების ეს „ტრადიციული“ მეთოდი მასწავლებლების დიდ ნაწილს დღესაც ყველაზე მოხერხებულ ინსტრუმენტად მიაჩნია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საგანმანათლებლო სისტემაში საფუძვლიან ცვლილებებს ხელს ბევრი რამ უშლის, მათ შორის – კლასში მოსწავლეთა ჭარბი რაოდენობა, რაც შეფასების პროცესს საგრძნობლად ართულებს. დროთა განმავლობაში თვითგამოვლენის სურვილიც იკლებს და აღსაზრდელები ხშირად მიმართავენ „მასაში ჩაკარგვის“ სხვადასხვა ხერხს. თუ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვას კლასი აწეული ხელებით ეგებებოდა, საბაზო საფეხურზე დაუმორჩილებელ, თავისუფლების მოპოვებისთვის მებრძოლ მოზარდებს გამოკითხვის მეთოდით ველარ შეაფასებ. თანაც ფაქტობრივი ცოდნის გამოვლენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს რომელიმე სასწავლო უნარის სათანადოდ ფლობას. მთავარია, მოსწავლეებს თვითსწავლის უნარი გამოვუმუშაოთ და შემეცნების სურვილი გავუღვივოთ. დავიწყებას უნდა მიეცეს ის დრო, როცა გამოცდის გადაბარება იმის გამო გიწევდა, რომ რომელიღაც ლექსი ზეპირად ვერ გაიხსენე. არავინ შეგეკითხებოდა, გესმოდა თუ არა მტკვრის პირას ჩაფიქრებული პოეტის ტკი-

> შეფასების სისტემის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება მოსწავლისთვის საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების ჩვენებაა. ჩვენ ის უნდა შევაფასოთ, რამდენად ნაყოფიერ და კარგად გააზრებულ ნაბიჯებს დგამს მოსწავლე თვითგანვითარების მიზნით.

ვილი. მხოლოდ მისი ეპოქის მთავარი პრობლემის შესახებ ინფორმაციით იყავი შეიარაღებული და ეს საკმარისი იყო ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად.

უპირველეს ყოვლისა, მკაფიო წარმოდგენა უნდა გვქონდეს იმის შესახებ, თუ რას ვაფასებთ. მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემაც მოსწავლის წინაშე მდგომ გამოწვევებსა და საჭიროებებს უნდა ერგებოდეს. სკოლაში მიღებული გამოცდილება მას დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირების საშუალებას უნდა აძლევდეს (კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო კონცეფცია) და რადგან მოსწავლის შეფასება სწავლა-სწავლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ისიც ზემოხსენებულ კონცეფციას უნდა ეფუძნებოდეს. გარდა ამისა, შეფასება მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს უნდა აღწერდეს.



ცოდნის აგების (ცოდნის, გამოცდილებისა და შეხედულებების სინთეზი) პროცესი წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახლის შემეცნებასა და გამოყენებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, მოსწავლის შეფასების ძირითადი მიზანი თავად სწავლის პროცესის მიმდინარეობისა და „ცოდნათა ურთიერთდაკავშირების ჩვენებაა“ (ესგ 2017-23). განახლებული მოთხოვნების საპასუხოდ, სკოლამ მოსწავლეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და განვითარების თანაბარი შესაძლებლობა უნდა შესთავაზოს.

მნიშვნელოვანია ისიც, რა ტიპის სამუშაოს შესრულებას ვითხოვთ. მოსწავლეთა დაინტერესება უფრო ადვილია კომპლექსური და მკაფიო კონტექსტის მქონე დავალებებით (ესე, პროექტი, კვლევა, პრობლემის გადაჭრა, დისკუსია, შემეცნებითი ექსკურსიები, დებატები და სხვ.). დავალება უნდა იყოს მნიშვნელოვანი (საგნობრივი კრიტერიუმების შესაბამისი), გასაგები (მკაფიო ინსტრუქციით შეიარაღებული), მიუკერძოებელი (ყველა მოსწავლეს, მის ხელთ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით, თანაბრად უნდა შეეძლოს მასზე მუშაობა), დაძლევადი (სასწავლო საფეხურის შესაბამისი), შეფასებადი (უნდა შეიძლებოდეს მისი გაზომვა შეფასების რუბრიკის დახმარებით) და მოსწავლის მაღალ ჩართულობას მოითხოვდეს. მოსწავლე თავად უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას, თანამშრომლობდეს, შეეძლოს წინარე ცოდნასა და გამოც-

დილებაზე დაყრდნობით ახალი პრობლემის გადაჭრა და სხვ. მრავალფუნქციური დავალებები, საინტერესოსთან ერთად, გაცილებით ნაყოფიერი და გრძელვადიანი შედეგის მომცემია. საკამათოა ისიც, რა სიხშირით უნდა გამოვიყენოთ განმსაზღვრელი შეფასება. განათლების მკვლევრები საუბრობენ განმავითარებელი შეფასების უპირატესობაზეც, რადგან პროცესის შეფასების დროს ინდივიდუალური პროგრესი უფრო ნათლად ჩანს.

შეფასების სისტემის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება მოსწავლისთვის საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების ჩვენებაა. ჩვენ ის უნდა შევაფასოთ, რამდენად ნაყოფიერ და კარგად გააზრებულ ნაბიჯებს დგამს მოსწავლე თვითგანვითარების მიზნით. სწავლების შედეგის გაზომვის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით კი მას ცოდნისა და უნარების სხვადასხვა გზით გამოვლენის საშუალებას მივცემთ. მოკლედ რომ ვთქვა, შეფასებადი დავალება შეფასების მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს და ღირებული ცოდნის შეძენა-განმტკიცებას ემსახურებოდეს.

ყველა საგანს მიზნის შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები სჭირდება. მასწავლებელს ეძლევა მიმართულება, კრიტერიუმთა (სასწავლო უნარ-ჩვევათა ერთობლიობა) ჩამონათვალი, რომლითაც ის ხელმძღვანელობს. შეფასების თითოეული რუბრიკა დავალების მიზნის შესაბამის ინდიკატორებზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას (ნიმუშების ნახვა შეგიძლიათ ესგ-ში). შეფასების პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, შეფასების რუბრიკაზე ხელი მოსწავლეებსაც უნდა მიუწვდებოდეთ. მეტიც, მათ აუცილებლად უნდა ვასწავლოთ ამ რუბრიკის გამოყენება სამუშაოს სწორად დაგეგმვისა და შესრულების მიზნით.

> უნდა შევეცადოთ და დავალებებს ქუღები სირთულის მიხედვით მივანიჭოთ. მოსწავლემ აღვილი და რთული დაბრკოლების გადალახვისთვის სხვადასხვა ჯილდო უნდა მიიღოს. ამ გზით ის საკუთარი ნაშრომის აღეკვატურად შეფასებასაც ისწავლის.

შეფასებადი დავალების შედგენამდე ჯერ რამდენიმე კითხვას უნდა ვუპასუხოთ: რას ვაფასებთ? არის თუ არა ფასეული ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლისგან ვითხოვთ? გაზომვადია თუ არა სწავლის შედეგები? სწორად არის თუ არა შერჩეული დავალების/აქტივობის ფორმა? შეესაბამება თუ არა დავალების სირთულეს ქულების სისტემა? თუ ფაქტობრივი ცოდნა არა, მაშ, რა უნდა შევაფასოთ ყოველი თემის დასასრულს? თუ ერთ წერილობით ნაშრომში მიღებული ქულა მოსწავლის წერით უნარ-ჩვევას მხოლოდ კონკრეტულ დროსა და მომენტში ზომავს, მაშინ რატომ აქვს ერთნაირი წონა მიმდინარე და შემაჯამებელ შეფასებებს?.. მოკლედ, კითხვა უამრავია, მათზე პასუხის გაცემა კი – არც ისე ადვილი.

რაც შეეხება შეფასებადი დავალების სტრუქტურას, რაც უფრო მრავალფეროვანი და არასტანდარტული თავსატეხებითაა ის აგებული, მით უფრო რთულდება ჯამური ქულის გადანაწილება. უნდა შევეცადოთ და დავალებებს ქულები სირთულის მიხედვით მივანიჭოთ. მოსწავლემ ადვილი და რთული დაბრკოლების გადალახვისთვის სხვადასხვა ჯილდო უნდა მიიღოს. ამ გზით ის საკუთარი ნაშრომის ადეკვატურად შეფასებასაც ისწავლის. მოსწავლეთა დიდი ნაწილისთვის დავალების ინსტრუქციის წაკითხვა და გაგება პრობლემას წარმოადგენს, არადა, ამაზეა დამოკიდებული დავალების შესრულების ხარისხი. ჩემი აზრით, შეფასების რუბრიკა ამ მიმართულებითაც უნდა ასახავდეს მოსწავლის პროგრესს.

აქვე გაგიზიარებთ ჩემ მიერ შედგენილ შეფასების რუბრიკას, რომლის მიხედვითაც მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეების წერითი აზროვნების უნარებს ვაფასებ.

არგუმენტირებული ესეს შეფასების რუბრიკა (დაწყებითი საფეხური, VI კლასი)

კრიტერიუმი	კრიტერიუმის აღწერა	ჯამური ქულა	შეფასება	ქულა
არგუმენ-ტირება/ მსჯელობის დასაბუთება	ესეში გამოთქმული მოსაზრება/ თეზისი დასაბუთებული უნდა იყოს თემატური არგუმენტებით, საჭიროებისამებრ გაანალიზებული უნდა იყოს მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირები.	4	ესეში გამოთქმული მოსაზრება დეტალურად დასაბუთებულია თემატური არგუმენტებით (მინიმუმ 3 არგუმენტი), გაანალიზებულია მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირები.	4
			ესეში გამოთქმული მოსაზრება დასაბუთებულია ორი თემატური არგუმენტით, მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი ზოგადადაა მიმოხილული.	3
			ესეში მოყვანილია ერთი თემატური, დასაბუთებული არგუმენტი, მეორე კი ნაწილობრივ უკავშირდება სამსჯელო საკითხს.	2
			თეზისი დასაბუთებულია ერთი თემატური არგუმენტით.	1
			ესეში გამოთქმული მოსაზრება არ არის გამყარებული თემატური არგუმენტებით. მსჯელობა არადამაჯერებელია.	0
თხრობის ორგანიზება/ სტრუქტურა	ნაშრომი უნდა პასუხობდეს დავალებას (დავალების პირობის გაგება); იგი ლოგიკურად უნდა იყოს ორგანიზებული, აზრობრივად თანმიმდევრული და გამართული; აბზაცები ერთმანეთს ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს.	2	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული; ნაშრომი ორგანიზებული, აზრობრივად გამართული და თანმიმდევრულია. აბზაცები ლოგიკურადაა გამოყოფილი და ერთმანეთთან დაკავშირებული.	2
			ნაშრომი ნაწილობრივ პასუხობს დავალებას; ნაწილობრივ ორგანიზებული და თანმიმდევრულია, ცალკეული მონაკვეთი გასამართია აზრობრივად.	1

			დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული; დარღვეულია სტრუქტურა; თხრობა არათანმიმდევრული და აზრობრივად გაუმართავია.	0
სტილი და ლექსიკა	აზრები ნათლად და თანმიმდევრულად უნდა იყოს გადმოცემული, ნაწერი – სტილისტიკურად გამართული; ნაშრომში მიზანმიმართულად უნდა იყოს გამოყენებული მდიდარი ლექსიკური მარაგი.	2	მოსწავლის ნააზრევი ნათლადაა გადმოცემული, ნაშრომი სტილისტიკურად გამართულია, მოსწავლის ლექსიკა მდიდარია და იგი მას ადეკვატურად იყენებს.	2
			ნაშრომში ცალკეული მოსაზრება ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული, რამდენიმე მონაკვეთი სტილისტიკურად გაუმართავია. გამოყენებულია მწირი ლექსიკა.	1
			ლექსიკა მწირია, ხშირად ჭირს აზრის გაგება, ნაშრომი სტილისტიკურადაც გასამართია.	0
გრამატიკა	ნაშრომში დაცული უნდა იყოს თანამედროვე სალიტერატურო ენისა და გრამატიკული ნორმების საფეხურის შესაბამისი მოთხოვნები. მასში არ უნდა იყოს დაშვებული წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობაზე (ნაშრომის სიდიდისა და მიზნის შესაბამისი) მეტი ისეთი ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომა, რომელთა დაცვაც მოსწავლეებს ესგ-ის მიხედვით მოეთხოვებათ. შენიშვნა: შეცდომების ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით, თითოეულ კრიტერიუმში შესაძლოა დაიწეროს შეფასების გრაფაში მოცემულ ქულებზე დაბალი შეფასებები ან წახალისდეს მოსწავლის ძალისხმევა და პროგრესი.	2	სალიტერატურო ენის სპეციფიკა და გრამატიკული ნორმები დაცულია. მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომების რაოდენობა არ აღემატება დასაშვებს.	2
			სალიტერატურო ენის სპეციფიკა და გრამატიკული ნორმები ნაწილობრივ დაცულია; მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომების რაოდენობა რამდენიმე ერთეულით (განისაზღვრება საფეხურისა და კონკრეტული დავალების მიზნის შესაბამისად) აღემატება დასაშვებს.	1
			წერითი ნაშრომი ენობრივ-გრამატიკულად გაუმართავია.	0

ლელა კოტორაშვილი

წაიკითხე ჩემი წიგნი

> ბავშვისთვის მორალური შეგონებები განსაზღვრულ ასაკამდე გაუგებარია. თუ გვსურს, ნაბიჯ-ნაბიჯ ვასწავლოთ განსხვავებული ადამიანების მიმღებლობა ან გავულვივოთ თანაგანცდა, ლიტერატურული მაგალითები ამაშიც დაგვეხმარება.

ცნობილია, რომ კითხვა ძალადობას ვერ იტანს. პატარა ადამიანების კითხვით დაინტერესებისთვის სიამოვნებასა და სიხარულთან დაკავშირებული აქტივობების გამოგონება ბევრად უფრო გამართლებულია. ერთ ძალიან საინტერესო თამაშზე უნდა გიამბოთ, რომელიც ზამთრის არდადეგებზე მე და ჩემმა რვა წლის გოგომ გავაჩაღეთ.

უჩვეულო თავგადასავალი ზამთარში დაიწყო. სოფლის მონოტონური რიტმისა და გრძელი ღამეების გადასაგორებლად „დონ კიხოტის“ კითხვა დავიწყე. ადგილ-ადგილ მინაწერებს ვუტოვებდი მარიამს, ჩემს მოსწავლეს, რომელსაც ჩემ შემდეგ სურდა მახვილგონიერი იდალგოს გაცნობა. არშიებზე მარიამმაც დაუტოვა მინაწერები თანაკლასელ თამარს, მერე თამარმა წაიკითხა და ფურცლებს მისი კომენტარებიც დაემატა. ამგვარად შეიძინა განსაკუთრებული და ძვირფასი ამბები წიგნმა, რომელიც ყოველთვის გამახსენებს ჩემს მესამე რაჭულ ზამთარს, მარიამს, თამარს, დონ კიხოტის ხიფათებზე სიცილს – ჩვენი ერთიანობის სიმბოლოდ ქცეულს.

არშიებზე დატოვებულმა მინაწერებმა ივლისის ცხელ დღემდე მოგვიყვანა. მესენჯერში წერილი მოწკაპუნდა, საჩუქარი მოგიმზადეთ და ჩვენს ჭიშკარს რომ ჩამოივლით, გამოგაწოდებთო. 14 წლის მარიამს ელიფ შაფაქის „სიყვარულის ორმოცი წესი“ წარწერებიანი ბარათებით გადაევსო, წებოვანი ლენტით საგულდაგულოდ შეეფუთა, წიგნის წაკითხვამდე და წაკითხვის შემდეგ წასაკითხი წერილები ხელნაკეთ კონვერტში გამხმარ ყვავილებთან ერთად მოეთავსებინა. ამგვარი „იძულების“ წესით წამაკითხა სასურველი წიგნი, მხოლოდ იმისთვის, რომ მერე შთაბეჭდილებების გამზიარებელი ვყოლოდი, თან რაც შეიძლება მალე უნდა წამეკითხა მისი წიგნი. მარიამის წამოწყებამ გაამართლა. თურქი მწერლის რომანი ორ-სამ დღეში შემომეკითხა, თან ინტერესით ველოდი ფურცელ-ფურცელ მიმობნეულ წარწერებს. კითხვის პროცესში თითქოს მარიამიც ჩემთან ერთად იყო და კვალდაკვალ მომყვებოდა განცდებსა და შთაბეჭდილებებში. იმდენად მოვიხიბლეთ პროცესით, გადავწყვიტეთ, სხვისთვისაც გაგვეზიარებინა.

მერე შევიკრიბეთ, ჩამოვწერეთ მიზნები, მოვიგონეთ თამაშის წესები, პროექტის სახე მივეცით და სახელად „წაიკითხე ჩემი წიგნი“ ვუწოდეთ. გავიხსენეთ ადამიანები, რომლებსაც კითხვა უყვართ და, ჩვენი წარმოდგენით, წიგნის ამგვარად წაკითხვა გაახალისებდათ. ბავშვებმა რამდენიმე წიგნი მათთვის წაიკითხეს. ჩანაფიქრმა გაამართლა. შემოვიკრიბეთ უფროსი მეგობრები და ერთმანეთს ძალიან საინტერესო ურთიერთობები ვაჩუქეთ.

პროექტის მოკლე აღწერილობა ასეთია: მე ვკითხულობ წიგნს, არშიებზე ვტოვებ მინაწერებს, ადგილ-ადგილ – წარწერებიან ბარათებს, ვწერ წიგნის წაკითხვამდე და წაკითხვის შემდეგ წასაკითხ წერილებს და ვუგზავნი სასურველ ადრესატს, რომელიც ერთი თვის განმავლობაში კითხულობს

ჩემს წიგნს, მპასუხობს ან არ მპასუხობს შეკითხვებზე, სურვილისამებრ ეხმიანება გამოთქმულ მოსაზრებებს და მწერს წერილს. მთავარია, წაიკითხოს და შთაბეჭდილებები გამოხატოს, მერე კი უკვე თვითონ არჩევს ჩემთვის ნაწარმოებს და ამავე ფორმით მაკითხებს თავის წიგნს.



შედეგად პოულობ ადამიანს, ვისაც უზიარებ კითხვისას დაგროვებულ ემოციებს, ცდილობ წაკითხულის გააზრებას, კარგად ეცნობი ავტორს, სათაურს, პერსონაჟებს და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ივითარებ მკითხველის უნარ-ჩვევებს. თამაში შეიძლება წამოიწყონ მეგობრებმა, მოსწავლე-მასწავლებლებმა, ოჯახის წევრებმა, უცნობმა თუ ნაცნობმა ადამიანებმა. სწავლა-სწავლებისას ამგვარი აქტივობა განსაკუთრებით სასურველია უფროსსა და უმცროსს შორის, რადგან უფროსი ადამიანის გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო მოზარდის სიხალისე და გულწრფელობა – გადამდები და ახალი ძალის მომცემი. ჩვენი პროექტი თავდაპირველად ორ მოსწავლეს და შვიდ უფროსს მოიაზრებდა, ახლა კი სხვებიც შემოგვიერთდნენ და მალე ბლოგზე გადავინაცვლებთ, სადაც შევეცდებით, რაც შეიძლება მეტ ადამიანს წავაკითხოთ წიგნები და ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ.

პროექტის მიზნებმა ასეთი სახე მიიღო:

1. ჩემი წიგნი დროზე ადრე წავაკითხო სასურველ ადამიანს;
2. გამოვხატო შთაბეჭდილებები და გავიგო მისი აზრიც;
3. ერთად წაკითხულმა წიგნმა დაგვაახლოოს;
4. შედგეს კომუნიკაცია სხვადასხვა ასაკის ადამიანებს შორის;
5. კითხვა სოციალურ მოვლენად ვაქციოთ;
6. წიგნებს ვაჩუქოთ ახალი სიცოცხლე;
7. გავხდეთ დაკვირვებული მკითხველი;
8. დრო საინტერესოდ გავატაროთ;
9. ურთიერთობები შინაარსიანი გავხადოთ.

ამ ყველაფერთან ერთად აღსანიშნავია პროექტის კიდევ ერთი დადებითი მხარე – წიგნების გასულიერება, მათთვის ამბების გამოგონება. ადრესატთან გაგზავნისას წიგნი მოგზაურობას იწყებს, მერე უკან ბრუნდება და განსაკუთრებულად ძვირფასი ხდება იმ თავგადასავლების გამო, რომლებსაც თან მოიყოლებს.

როგორც წერილის დასაწყისში ვახსენე, წამოწყებამ მე და ჩემი რვა წლის გოგოც მოგვხიბლა. გიამბობთ ერთად წაკითხული წიგნზე, ანუ დედა-



შვილის მიერ წამოწყებულ თამაშზე, რომელმაც დამარწმუნა, რომ ბავშვის წიგნამდე მისაყვანად და ინტერესის გასაღვივებლად არაჩვეულებრივი გზაა, წაიკითხო მისთვის, დაუტოვო მინაწერები, მინიშნებები და კითხვა დღესასწაულად უქციო. თეკლამ ჩემთვის პირველად წაიკითხა ანე-კატარინე ვესტლის „ანტონის საჩუქრები“. სკოლაში დაატარებდა და დარდობდა, ბავშვები რომ მეკითხებიან, რატომ წერ წიგნში, ვერ ვუხსნი მიზეზს, ჰგონიათ, ასე არ შეიძლებაო. არადა, ფანქართან ერთად კითხვა საუკეთესო გზაა გასაგე-

ბად და გასააზრებლად, მკითხველის გემოვნების ჩამოსაყალიბებლად და, რაც მთავარია, ინდივიდუალობის გასაღვივებლად. იმის მიხედვით, რას გახაზავს, რაზე დასვამს აქცენტს, ხვდები, როგორია, რა უხარია, რა ამახსოვრდება და კიდევ უფრო უახლოვდები მის შინაგან სამყაროს.

შობას თეკლას მეგობრის – მარიამის დაბადების დღეზე აღმოვჩნდით. ბავშვები გასართობ ცენტრში დავტოვე და საჩუქრისთვის წიგნის მაღაზიაში გავიქეცი. ვესტლის რამდენიმე წიგნი მარიამისთვის გამოვაქროლე, ცხელ-ცხელი, ახალგამოცემული მეშვიდე ნაწილი კი თეკლასთვის ვიყიდე. სანამ ბავშვები ერთობოდნენ, გადავშალე და კითხვა დავიწყე. რეალობამ წიგნის პირველივე გვერდზე გადაინაცვლა – იქაც შობა დამხვდა.

„მორტენი, დიდედა და ქარიშხალა“ დიდი ოჯახის ყოველდღიურობაა – უბრალო ამბებითა და ერთმანეთით ხარობენ. ყველაზე მეტად კი ბებიისა და შვილიშვილის მეგობრობა მოგხიბლავთ.



– აქ ძროლოდ ციგა თუ გამოგვადგება, – დიდი კაცივით თქვა მარტინმა.

– ჰო, მაშინ გამოგვივა,– კვერი დაუკრა მარტამ.

მორტენმა იმ საღამოს ძილის წინ ბევრი იფიქრა. ნანობდა, ცხენი რომ მიატოვა. თითქოს ის ეუბნებოდა, ტყეში მარტო ყოფნას მერჩივნა, შენთან ერთად სახლში წამოვსულიყავიო.

დილით, სანამ სხვები ადგებოდნენ, ბიჭი ადრიანად გაუდგა გზას ტყისკენ თავისი ცხენის სანახავად. მაგრამ იქ მისულს ბედაური აღარ დახვდა.

ნაძვის ტოტები, ყლორტები და წიწვები იქვე ეყარა, ცხენი კი არსად იყო. სულ შემოირბინა ის ადგილები, მაგრამ ვერსად იპოვა. ცხენი ნამდვილად აღარ იყო თავის ადგილას.

შეშფოთებული მორტენი შინ გაიქცა და პირდაპირ დი-

თამაშის წესები გზადაგზა გამოიკვეთა. ყურადღებას ვამახვილებთ სხვადასხვა ჭრილით, მაგალითად:

1. **საერთო ამბები** – სიუჟეტში აუცილებლად შეგხვდებათ ერთი სიტყვა, წინადადება, ეპიზოდი ან პერსონაჟი, რომელიც საერთო ამბავს გაგახსენებთ. ამგვარ დეტალებზე ყურადღების გამახვილებით პატარა ადამიანებს ვასწავლით საკუთარი ცხოვრებით სიხარულს, შემოვუნახავთ დაუვიწყარ მოგონებებს, მაგალითად, ერთ-ერთ ილუსტრაციაზე მორტენი ნაძვის ხის ძირას დგას, მე კი შემდეგი წარწერა დავუტოვე:

„ეს ხის ფესვი, იცი, რას მახსენებს? ბელლორის ხავსიანი ხის ფესვებს, შენ რომ დაძვრებოდი ხოლმე“.

თეკლას კი ერთგან გაუხაზავს სიტყვა „ფოტოაპარატი“ და არშიაზე დაუწერია: „დე, შენ რომ გვიღებდი ფოტოაპარატით, გახსოვს?“

„– ერთი წუთით... აქ დამიცადეთ, – უთხრა დედამ ბავშვებს, სამზარეულოში შეირბინა, ხუთი ფუნთუშა და თხის ყველის ნაჭრები გამოიტანა და შეშინებულ ბავშვებს ჩამოურიგა“. ანასტასიას ბებოს ჰყავდა თხა. ბებოს ოლია ერქვა. მე ის ძალიან მიყვარდა. ხშირად მახსენდება-მეთქი, ვუწერ მეგობრის ბებიის შესახებ და მინდა, თვითონაც წამოიყოლოს ბავშვობიდან ადამიანები.

2. **სიტყვების აღმოჩენა** – ლამაზ სიტყვებზე ყურადღების გამახვილებით ბავშვებიც სიტყვის მაძიებლები ხდებიან. ადგილ-ადგილ ვხაზავ, ყოველი თავის ბოლოს კი სიას ვუწერ. ასე დავაგემოვნეთ უცნობი სიტყვები: ზღურბლი, შურდული, ქაშაყი, კასრი, ძელსკამი, მალაყი, ციმციმა, ეჟვანი, მარხილი... სანაცვლოდ თეკლაც მაყვარებდა თავის აღმოჩენილ სიტყვებს, ლურჯი ფანქრით გახაზული „დაუცაცხანა“ დამახვედრა წარწერით – „კარგი სიტყვა“, ერთგან კი ისრით მანიშნა სიტყვაზე „ბოროტი“ და ასეთი რამ მომწერა: „ვერ ვიტან „ბოროტ“ სიტყვას!“

3. **ლიტერატურული პანაღელები** – შეიძლება, რომელიმე ადგილმა ცნობილი ზღაპარი, ლექსი ან საბავშვო წიგნი გაგახსენოთ. აუცილებლად გახადეთ შესამჩნევი. ამგვარად ტექსტიდან ტექსტში მოგზაურობას დაუდებთ სათავეს.

„უცებ ხის ქვედა ტოტები ოდნავ შეირხა და იქიდან კურდღელი გამოცუნცულდა. მორტენს მოეჩვენა, თითქოს პირდაპირ მისკენ მორბოდა...“ – კურდღლის უეცარმა გამოჩენამ რომელიმე წიგნი ხომ არ მოგაგონა-მეთქი, არშიაზე ვეკითხები თეკლას ზამთრის არდადეგებზე წაკითხული ლუის კეროლის „ელისის“ გასახსენებლად.

4. **ცნობიერების ამაღლება** – ბავშვისთვის მორალური შეგონებები განსაზღვრულ ასაკამდე გაუგებარია. თუ გვსურს, ნაბიჯ-ნაბიჯ ვასწავლოთ განსხვავებული ადამიანების მიმღებლობა ან გავუღვივოთ თანაგანცდა, ლიტერატურული მაგალითები ამაშიც დაგვეხმარება.

„უცნაური თავი“ ერთ-ერთი თავის სათაურია. იქვე მინაწერი დავუტოვე: „მომწონს უცნაური ხალხი. ბავშვობიდან მომწონდა განსხვავებული ადამიანები“.

მომდევნო მონაკვეთი კი ლურჯად გავუხაზე: „ხომ იცით, სიმართლის თქმა ყოველთვის ძნელია, მაგრამ აუცილებელი. ადამიანი, რომელიც სიმართლეს არ გაურბის, ყველანაირ გაუგებრობას იცილებს თავიდან. ეს გახსოვდეთ!“

5. **მშვენიერების აღქმა** – ალბათ, ხშირად დაფიქრებულხართ, ურბანული გარემო და რიტმი როგორ გვიხევებს შინაგან სამყაროს, დრო აღარ გვრჩება ცაში სამზერლად, სხვისი ღიმილის შესამჩნევად, უფრო და უფრო ვუღრმავდებით საკუთარ პრობლემებს. ვფიქრობ, ბავშვობიდან ყურადღების გამახვილება სამყაროს მშვენიერებაზე საიმედო საყრდენი იქნება პატარა ადამიანის ჰარმონიული განვითარებისთვის. ამგვარად გზას გავუკვალავთ საინტერესო ცხოვრებისკენ.

„– ცა ახლა მუქი ლურჯი უფროა, – შენიშნა მინამ, – მაგრამ ვარსკვლავები ლამაზად ციმციმებენ“. საგანგებოდ გავაფერადე ეს ფრაზა, თეკლამ კი ერთგან შემდეგი წინადადება გახაზა: „არყის ხე ყინულის ჭირხლით იფარება“.

„დიდედამ კიდევ ერთხელ შეიყნოსა ხის სურნელი“. „ყველა სურნელზე მეტად მიყვარს“, – სხვა გვერდზე ვუტოვებ მინაწერს.

6. **იუმორი** – „ხა, ხა, ხა, ხა!“ – თეკლა ყველაზე ხშირად ამ შორისდებულს მახვედრებს და ძირითადად დიდედას თავქარიანობებზე ეცინება. ის კი არადა, მითხრა, ძალიან მინდა, დიდედას დაემსგავსოო.

ალბათ, ვესტლის მიერ აღწერილი ოჯახის მთავარი თვისება მხიარულებაა, რომელიც ყველა ასაკის მკითხველს ხიბლავს. აბა, როგორ არ გაგეცინება, ეზოში ხის ცხენზე შემოსაკუპებულ დედას რომ აღმოაჩენ ან რომელიღაც თავში პატარა გოგოსავით გამოწყობილი დიდედა რომ გამოგეცხადება?

„– რა სასიამოვნო სუნი დგას აქ. მგონი, დურგალს სიამოვნებით გავყვებოდი ცოლად.

მორტენმა სასოწარკვეთილმა შეხედა. რას წარმოიდგენდა, რომ იმ მაღაზიაში დიდედა დაქორწინებაზე დაიწყებდა ლაპარაკს?!“ – ისევ გაფერადებული და ხაზგასმული ეპიზოდიდან. დაკვირვებული ვარ, ყველაზე მეტად მხიარული ამბავი ახალისებთ. წიგნში აღმოჩენილი სასაცილო თავგადასავლები დიდი თუ პატარა მკითხველის ემოციურ სამყაროს დადებითი ძალებით ავსებს.

კიდევ ბევრ რამეზე შეიძლება ყურადღების გამახვილება, თუმცა ინსტრუქციის აღწერილობა და ჩამონათვალი საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ წიგნის ამგვარად წაკითხვით წინ დიდი სიამოვნება გელით. მოარგეთ მიზნები თქვენს ფანტაზიას, გემოვნებას და წაიკითხეთ სასურველი ადამიანისთვის. ისიამოვნებთ, მოლოდინი შეგიპრობთ, ცხოვრებას გაიმრავალფეროვნებთ, სხვაზე ფიქრს ისწავლით, წერით თუ შემოქმედებით უნარ-ჩვევებს გაიაქტიურებთ, საფუძვლიანად გაიცნობთ ავტორებსა და ნაწარმოებებს, სიხარული აგავსებთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, დროისა და სივრცისთვის ფორმის შეცვლასაც კი შეძლებთ.

> პატარა ადამიანების კითხვით დაინტერესებისთვის სიამოვნებასა და სიხარულთან დაკავშირებული აქტივობების გამოგონება ბევრად უფრო გამართლებულია. ერთ ძალიან საინტერესო თამაშზე უნდა გიამბოთ, რომელიც ზამთრის არდადეგებზე მე და ჩემმა რვა წლის გოგომ გავაჩაღეთ.



მაია მენაბდე

ინანიშვილის ხელწერა და ჩიტბატონების მკვლელები

„და აღდგა და მოვიდა იგი მამისა თჳსისა. და ვიდრე შორსღა იყო, იხილა იგი მამამან მისმან და შეეწყალა. და მირბიოდა იგი და დავარდა ქედსა ზედა მისსა და ამბორს – უყოფდა მას“.

უძღები შვილის იგავი, ლუკას სახარება, მე-15 თავი, 11-32

რამდენჯერაც რევაზ ინანიშვილის ყველაზე ჰუმანურ სამყაროს გადავაწყდები, იმდენჯერ ვფიქრობ: რა გვეშველებოდა ჩვენ, ქართველებს და ჩვენ, მასწავლებლებს და ჩვენს მოსწავლეებს, რევაზ ინანიშვილი რომ არ დაბადებულიყო. კაცთმოყვარეობა ყოველი დიდი მწერლის შემოქმედების განმსაზღვრელია, მაგრამ ასე ხელისგულზე დადებული, დატეული, თვალსაჩინო და ადვილად ხელმისაწვდომი იშვიათად შემხვედრია. ეს მისი ხელწერაა. სულ მგონია, რომ მისი მოთხრობები და ნოველები ყველაზე მეტად გვასწავლის სიყვარულს და არასოდეს დაავიწყდებათ ბავშვებს.

ამ სტატიაში მის ერთ საინტერესო, გამორჩეულ, აქტუალურ ნაწარმოებზე უნდა ვისაუბრო – „ჩიტების გამომზამთრებელზე“. ამ ნოველა-პიესას მეშვიდეკლასელები სწავლობენ (ჩემი აზრით, ერთი წლის მერე რომ ესწავლათ, უფრო უპრიანი იქნებოდა). ადვილად იგებენ-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, მაგრამ საერთოდ არ ესმით-მეთქი, არც ეს იქნება მართალი.

არაერთხელ მომისმენია და წამიკითხავს კიდეც სავსებით დამაჯერებელი და მისაღები აზრი, რომ „ჩიტების გამომზამთრებელი“ ანტისაბჭოთა ტექსტია და მისი კარგად გაგებისთვის ბავშვებმა ეპოქა უნდა გაიაზრონ, მაგრამ მე მაინც არასოდეს ვასწავლი მათ ანტისაბჭოთა ქვეტექსტებით. ჩემთვის ეს ნაწარმოები სამი პიროვნების ტრაგედია უფროა, რომლებსაც ეპოქის შეცვლა ვერ უშველის.

ნოველა-პიესა იწყება კონტრასტით. ფოტოსურათით: *„გაღიმებულ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შუაში უზის ორი-სამი წლის კოპებშეკრული ბიჭი“.*

და ცოტა ქვემოთ: *„სამზარეულოდან გამოდის ორმოცი წლის დაბალი, რბილნაკვთებიანი ქალი. გზა-გზა იხსნის წითელ, გამჭვირვალე წინსაფარს, თეძოებთან ისწორებს კაბას, მერე - კეფაზე ფომფლო გორგლად დახვეულ თმას. კარის საკეტს გადასწევს. შემოვა შეჭაღარავებული ჯმუხი მამაკაცი, გაზეთში გახვეული რაღაც უჭირავს. დაღლილ, ნაღვლიან თვალებს თითქოს არიდებენ ერთმანეთს“.*

კოპებშეკრული პატარა ბიჭი ნაწარმოების ბოლომდე არ ჩანს. სამაგიეროდ, მთელი ნოველის განმავლობაში ვისმენთ, როგორ ლანძღავს და წყევლის დედა შვილს მხოლოდ იმიტომ, რომ არ სწავლობს; რომ ქალს თურმე დასცინიან, რადგან „ოროსნის“ დედაა. ამავე მიზეზით ერთმანეთს უპირისპირდებიან მშობლები, აფრქვევენ აგრესიას, ერთმანეთს ამცირებენ და ადანაშაულებენ.

როგორი დაღლილი უნდა იყოს დამთრგუნველი რუტინით, უსიყვარულობით, საზოგადოების მახინჯი დამოკიდებულებით ქალი, იმ დედების ადგილას რომ ინატროს თავი, რომლებიც ასტონიანი ტანკების შესაჩერებლად ბენზინით სავსე ბოთლების ამარა უშვებენ შვილებს?! *„იმათ დედებს მოკრძალებით, შიშითაც კი შეჰყურებდნენ*

სხვა დედები, რომლებსაც ასეთი უბედურება არ დასტყდომოდათ თავს“.

განსხვავებული პერსონაჟია მამა, რომელიც საკმაოდ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი ჩანს, საინტერესოდ ლაპარაკობს საზოგადოების იმ მანკიერებებზე, რომლებიც დღესაც ისეთივე აქტუალურია:

მხოლოდ საკუთარ კომფორტზე ფიქრსა და კაბინეტომანიაზე:

„...ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ეროვნულ უბედურებად იქცა კაბინეტებისაკენ სწრაფვა! ყველას უნდა, რომ მას ემსახურებოდნენ, ყველას უნდა, რომ თეთრი, ფაფუკი ხელები ჰქონდეს!.. მამაკაცებს, დღეში რომ სამ კილო ხორცსა და ათ ბოთლ ღვინოს ნთქავენ, თეთრი ხელები უნდათ, თეთრი ხელები და თეთრი ტელეფონი. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მუცლები მოგვექცა თავზე!.. ეგ არის ყოველგვარი უკულმართობის სათავე – ჩემი ოჯახი, ჩემი გეჯა, ჩემი სალაფავი და შიგ ყურებამდე ჩაფლული თავი, რომ სხვამ არ ჩაგვიკრას დინგი“.

იმაზე, რომ პროფესიული განათლება სამარცხვინოა:

„სადამდე მიდის ჩვენი უგუნურება! თან პროპაგანდას ვუწევთ, თან ჩვენ თვითონ ვაცხადებთ პროფსასწავლებლებს სასჯელის მოსახდელ ადგილებად. ჩვენ თვითონ ვეუბნებით ბავშვებს, რომ საშინელ დღეში ჩაცვივდებიან, თუ პროფსასწავლებლებში მოხვდნენ“.

იმაზე, რომ ძალადობა კარგი შვილის აღზრდის გზად მიიჩნევა:

„...შენ მეუბნები, ბავშვებს ჩავუნერგო შიში, ჩავუნერგო, რომ, რაც გასაკეთებელი აქვთ, უნდა გააკეთონ, თუ არ გააკეთებენ, მე გეკითხები, რა ვქნა-მეთქი?! თუ არ გააკეთებენ, ყელები დავჭრა ამ უძლურებს?“

გარდა ამისა, მკითხველს ის მზრუნველ მამად ეჩვენება, მაგრამ ცოლი საყვედურობს, რომ უყურადღებოა შვილის მიმართ, არ ერევა მის ცხოვრებაში, სამსახური უფრო მნიშვნელოვანია მისთვის...

ამ პატარა ნაწარმოებში კარგად ჩანს, როგორ შეიცვალნენ მშობლები სიყვარულიდან უსიყვარულობამდე, მათი ღიმილი მობერებულ სახეებზე დაღლილმა, გაღიზიანებულმა, სიხარულს მოკლებულმა გამომეტყველებამ შეცვალა. მაგრამ რა დაემართა ბიჭს? კოპებშეკრული სამი წლის ბიჭი ჩემთვის პატარა ინდივიდია. იქნებ სურათის გადაღება არ უნდოდა და უკმაყოფილებას გამოხატავს? იქნებ მშობლებზეა გაბუტული? არ ვიცით, მაგრამ ეს შეკრული კოპები მის ხასიათს ნამდვილად იტევს. და წლების შემდეგ როგორია იგი?

ფინალში ბიჭის პორტრეტი ასეთია: *„შემოდის გაღიმებული თხუთმეტი წლის ბიჭი. მაღა-*

„რა გვეშველებოდა ჩვენ, ქართველებს და ჩვენ, მასწავლებლებს და ჩვენს მოსწავლეებს, რევაზ ინანიშვილი რომ არ დაბადებულიყო. კაცთმოყვარეობა ყოველი დიდი მწერლის შემოქმედების განმსაზღვრელია, მაგრამ ასე ხელისგულზე დადებული, დატეული, თვალსაჩინო და ადვილად ხელმისაწვდომი იშვიათად შემხვედრია. ეს მისი ხელწერაა. სულ მგონია, რომ მისი მოთხრობები და ნოველები ყველაზე მეტად გვასწავლის სიყვარულს და არასოდეს დაავიწყდებათ ბავშვებს.

ლია, წვრილი, მხრებში მოხრილი. გრძლად გაშვებული სქელი თმა კიდევ უფრო უპატარავებს ისედაც პატარა, სიგამხდრისაგან ჩამუქებულ, ჩატეტკილ სახეს. გაბერილი ქაღალდის პარკი უკავია მკერდთან. მთელი სხეულით მოაქვს გასახარი ამბავი“. გგონია, რომ ყველაფერი კარგადაა. რაც მთავარია, ბიჭი გახარებულია. ეს სიხარული პატარა, ფერადი, აფრთხიალებული ჩიტბატონებია, რომლებიც უნდა გამოაზამთროს. ისეთი ხალასი და წრფელია ეს გრძნობა, განა რა უნდა დაემუქროს?! (წამით გაიელვებს ჩემს წარმოსახვაში ფოტოსურათი; შუახნის კოპებშეკრული დედ-მამა და შუაში – გაღიმებული 15 წლის ბიჭი). მაგრამ წარმოუდგენელი რამ ხდება – შვილის უსაქციელობით, უსაქმურობით, საკუთარი უსუსურობით, ქმრის განზე დგომით დაღლილი დედა ბრაზს ფერად ჩიტებზე ანთხევს:

„ქალი იმ მეორე ჩიტსაც მისწვდა, აჭყივლებული მიასრისა კუთხეში.

ბიჭი: კარგი, დედა!

დიდი, საბრალობელი თვალები ცრემლებით აქვს სავსე. მიდის, ჯერ ერთ ჩიტს აიღებს უმწეო ფრთებით, მერე – მეორეს. დგას ჩიტებით ხელში, თითქოსდა ფეხებდაუძლურებული.

მერე უცნაური ლაყუნით მიდის, სანაგვე ყუთში ყრის.

ბიჭი: კარგით! კარგით!..

ფერდაკარგული ქალი იატაკის საწმენდ ჯოხს საკუჭნაოში შეიტანს და კარს ღონივრად გამოხურავს“.

რა ტკივილამდე სევდიანია ბიჭის მიერ ნათქვამი *„კარგით, კარგით“*. უდიდესი სასოწარკვეთის, სხვისი გაღიზიანებისგან დაღლის, ყოველგვარი ძალადობისადმი უსიტყვო მორჩილების გამოხატულება. დედა, რომელიც დაუფიქრებლად უკლავს ბიჭს იმას, რაც თავად მასში უკვე მკვდარია – ცხოვრების სიყვარულს, სიხარულს, სილამაზის განცდას, შინაგან თავისუფლებასა და სიხალასეს – უარესს ვერაფერს გაუკეთებდა

ამ სტატიაში მის ერთ საინტერესო, გამორჩეულ, აქტუალურ ნაწარმოებზე უნდა ვისაუბრო – „ჩიტების გამომზამთრებელზე“. ამ ნოველა-პიესას მეშვიდეკლასელები სწავლობენ (ჩემი აზრით, ერთი წლის მერე რომ ესწავლათ, უფრო უკრიანი იქნებოდა). ადვილად იგებენ- მეთქი, რომ გითხრათ, ცყუილი იქნება, მაგრამ საერთოდ არ ესმით-მეთქი, არც ეს იქნება მართალი.

შვილს. ეს უკიდეგანო აგრესია დედის ტრაგედიაა. ბიჭი არ ბრაზდება, არ ხდება აგრესიული, არ უჩნდება პროტესტი, მხოლოდ სევდიანი *„კარგით, კარგით“* ისმის, ეს, წესით, საგანგაშო უნდა იყოს დედისთვის...

მკითხველის ყურადღება მაშინვე გადადის მამაზე, მხსნელს ეძებს ჩვენი ფიქრი „პროგრესულად მოაზროვნე“ მამაში, მაგრამ... *„მამაკაცი ჭამს, თეფშს ჩაჰყურებს“, „მამაკაცი ხმას არ იღებს“.* თურმე დედა მართალი ყოფილა! უფრო უარესიც – მამა ამბობს ამ ნოველაში ყველაზე გულისმომკვლელ სიტყვებს: *„თუ არავინ გავალებს, არც ჩიტების გამოზამთრებაა საჭირო“.* ეს სიტყვები მამის ტრაგედიაა. გულგრილობა ხომ ისეთივე დამღუპველია ხშირად, როგორიც აგრესია.

არაერთ სტატიაში მიხსენებია, მაგრამ რა ვქნა, გავივლ-გამოვივლი და ისევ ამ ფილმს მივადგები ფიქრით – კენ ლოუჩის „კესის“ (http://net.adjara.com/Movie/main?id=9086). ისიც ამავე პრობლემებზეა. დავსხდეთ მშობლები, მასწავლებლები და ვუყუროთ ხშირად, ძალიან ხშირად, სანამ არ დავიზეპირებთ. იქნებ თავსაც ვუშველოთ და შვილებსაც...

ერთი კაცი იყო, მთელი დედამიწა იცნობს, კარგად წერდა და მასწავლებლობდა კიდეც. სანამ პატარა ებრაელებს გაზის კამერაში მხოლოდ იმიტომ შეუძღვებოდა, სიკვდილის შიში რომ არ ეგრძნოთ და მათთან ერთად მოკვდებოდა; ბევრი კარგი წიგნი დაწერა და მშობლის ათი მცნება დაგვიტოვა. ათივე საზეპიროა, მაგრამ ბოლო – განსაკუთრებით:

„10. გიყვარდეს შენი შვილი ყველანაირი: უიღბლო, უნიჭო, წარუმატებელი. მასთან ურთიერთობისას გახსოვდეს – ის შენთან მხოლოდ გარკვეულ დრომდეა“ (იანოშ კორჩაკი).

მე დედა ვარ, ჩემი შვილებიდან ზოგი სასწავლებლადაა წასული, ზოგი – სამუშაოდ, ზოგი გამოცდისთვის ემზადება, ზოგი თავისთვის ზის და თავისუფლებაზე წუწუნებს, ზოგი აქციაზე ეძებს თავის წილ სიმართლეს, ზოგი პოულობს, ზოგი – ვერ, შინ ბრუნდება და შემომჩივის... ზოგი ძალიან პატარაა. გაიზრდებიან და ზოგს ემახსოვრება, ზოგს – არა, მაგრამ მაინც უნდა დავჯდე და ყველას ერთად ან სათითაოდ ველაპარაკო, ველაპარაკო, ველაპარაკო, ველაპარაკო, ველაპარაკო... ვალაპარაკო.

ჰო, ჩვენ დედები ვართ და არა ღმერთები, უძღებ შვილებს დანახვისთანავე სინანულის მოლოდინის გარეშე რომ შევეგებოთ და გულში ჩავიკრათ. მაგრამ იმხელები კი ვართ, ვიცოდეთ, შვილებს ლანძღვა, გაგდება, დასჯა, ზიზღი, სიძულვილი, მათი უმსგავსო ვიდეოების უთავბოლო ტრიალი, სოციალური ქსელებიდან თითის ქნევა, ეროვნულ გმირებთან დამცინავად შედარება ვერ შემოაბრუნებს.

იმხელები კი ვართ, ვიცოდეთ: როცა ფერად ჩიტბატონებს ვხოცავთ, საკუთარ შვილებს ყველაზე ლამაზ, ხალას ოცნებებს ვუკლავთ, ოცნება, სიხარულ და თავისუფლებაჩაკლული შვილები კი ქვეყანას ვერ ააშენებენ.

P.S. **იმ კარგმა კაცმა მეცხრე მცნებად დაწერა: გიყვარდეს უცხო ბავშვებიც; სანამ გადაწყვეტ, როგორ მოექცე, მათ ადგილას ყოველთვის შენი შვილი წარმოიდგინეო.**

მაია ფირჩხაძე

დიფერენცირებული სწავლება როგორც მოსწავლეთა რეალიზაციის ეფექტური საშუალება

> დიფერენციაცია ნიშნავს დაყოფას, დანაწილებას, მთელის გაყოფას ნაწილებად, ფორმისა და საფეხურების მიხედვით დალაგებას და თითოეულის ცალ-ცალკე შესწავლას.

თანამედროვე სტანდარტები დიდწილადაა მიმართული განათლების ჰუმანიზაციისა და სწავლების ინდივიდუალიზაციისკენ, რომელიც თითოეული მოსწავლის რეალიზაციას უწყობს ხელს. ამ მოთხოვნის შესრულების ეფექტური საშუალებაა სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომა. მსგავს მიდგომებს ხშირად ვიყენებთ პრაქტიკაში, მაგალითად, როდესაც ვგეგმავთ გაკვეთილს, ვცდილობთ, ვუპასუხოთ კითხვას: როგორ მოვიქცეთ, რომ მოსწავლემ უბრალოდ კი არ დაიზეპიროს გარკვეული რაოდენობის მასალა, არამედ ისწავლოს იმისდა მიუხედავად, რა საშუალება და როგორი პოტენციალი აქვს. და როდესაც მსგავს გეგმას შევადგენთ, აღმოჩნდება, რომ:

ა) სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლის პიროვნება (რაც დამახასიათებელია სწავლებაში დიფერენცირებული მიდგომებისთვის);

ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება აქცენტირებულია ინდივიდუალიზაციასა (რაც წარმოადგენს დიფერენცირებული სწავლების მეთოდურ საფუძველს) და დავალებების დიფერენციაციაზე (გაკვეთილის ჩატარების მეთოდიკაზე).

დიფერენციაცია ნიშნავს დაყოფას, დანაწილებას, მთელის გაყოფას ნაწილებად, ფორმისა და საფეხურების მიხედვით დალაგებას და თითოეულის ცალ-ცალკე შესწავლას. **დიფერენცირებული სწავლებისას** მასწავლებელი მუშაობს მთელ ჯგუფთან, რომლის თითოეულ წევრსაც სხვადასხვა ხარისხის ცოდნა აქვს, მაგრამ პროცესი მიმართულია „გათანაბრებისკენ" – დავალებები დახარისხებულია თითოეულის შესაძლებლობის მიხედვით, რაც ერთიანობაში ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის მოტივირებას და შესაძლებლობებისა და ინტერესების მაქსიმალურ გამოვლენას, ერთმანეთით სწავლას და თვითსწავლას.

სწავლებაში დიფერენცირებული მიდგომა პირველად გამოიყენეს XX საუკუნის დამდეგს და ის დაკავშირებულია ჰუმანიტარული ფსიქოლოგიის წარმომადგენლების კ. როჯერსის, ა. მასლოუს, რ. მეის სახელებთან. **დიდაქტიკის კუთხით** დიფერენცირებული სწავლება თავის თავში მოიცავს განათლების მიზანს, შინაარსს, სწავლა-სწავლების საშუალებათა ორგანიზაციას და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობის თითქმის ყველა კრიტერიუმს. ის ეძებს გზას, უკეთესად დააკმაყოფილოს მოზარდის შემეცნებითი ინტერესი, გაუღვივოს და გამოიწვიოს კიდეც ის და მხარდაჭერა გაუწიოს განვითარებისა და პიროვნული ზრდის პროცესში.

დიფერენცირებული მიდგომის ვარიანტებია:

- მოსწავლეთა დაყოფა ინტელექტუალური განვითარების მიხედვით, მათი მომავალი განვითარებისა და შემდგომი გაერთიანების მიზნით;
- სრული თავისუფლება სასწავლო მასალის არჩევაში, მის შესწავლაში;
- თვითშეფასება;
- ინტეგრირებული სწავლებისა და, საზოგადოდ,

საგანთაშორისი კავშირების აქტიური გამოყენება ცოდნის გასაღრმავებლად.

სხვადასხვა სახის დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებისას შედეგებიც სხვადასხვანაირია:

- სიმძიმის ცენტრი გადატანილია სწავლებიდან მოსწავლეზე, რომელიც დამოუკიდებლად გადაამუშავებს და აითვისებს ინფორმაციას;
- მასწავლებელი ორიენტირებულია სამუშაოს შინაარსზე;
- კლასი ობიექტურადაა დაყოფილი მიკროჯგუფებად – მოსწავლე თვითონ ვერ აირჩევს სამიზნე დონეს, რომელიც შეესაბამება მის შესაძლებლობებს და მოთხოვნილებებს;
- კლასში მეფობს ურთიერთნდობისა და თანხმობის ატმოსფერო, მოსწავლეებს უყვართ ჯგუფური სამუშაო, რომლის დროსაც უვითარდებათ მოთმინების, ჯგუფური მუშაობის, მხარდაჭერის, კომუნიკაციის უნარები.

დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლის მოსწრების დონე. ამ მხრივ მოსწავლეები ძირითადად 3 დონედ იყოფიან: სუსტ, საშუალო და ძლიერ მოსწავლეებად. ჩვეულებრივი გაკვეთილი შეიძლება ჩავატაროთ მოსწავლეთა დონეების გათვალისწინებით:

I დონე – ძლიერი მოსწავლეები, რომლებიც დამოუკიდებლად ასრულებენ რთულ სავარჯიშოებს, შეუძლიათ ცოდნის გამოყენება უცნობ სიტუაციაში და აქვთ შემოქმედებითი უნარები, გამოყოფენ საკითხიდან არსებითს, ძირითადს, კანონზომიერს, იღებენ მაღალ შეფასებებს;

II დონე – შედარებით განვითარებული უნარების მქონე მოსწავლეები, რომლებსაც უჭირთ, ერთბაშად აღიქვან საკითხის არსი, გამოყონ კანონზომიერებები; ამისთვის სჭირდებათ გარკვეული დრო, მაგრამ შეუძლიათ დაინახონ ზოგადში კერძო და კერძოში – ზოგადი ელემენტები. სათანადო დახმარების პირობებში ამ ჯგუფის მოსწავლეებს შეუძლიათ, თავი გაართვან I დონის მოთხოვნებსაც;

III დონე – სუსტი, არასაკმარისად მომზადებული მოსწავლეები, ანუ ისინი, რომლებიც დიდ ინტერესს არ ამჟღავნებენ ისტორიის საგნის მიმართ და თითქმის არ გააჩნიათ ისტორიულ მასალასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. მათ არ შეუძლიათ ისტორიული მასალის აღქმა, წარმოსახვა, გადამუშავება, ემოციური დამოკიდებულების გამომჟღავნება, დამოუკიდებლად ანალიზი და შედარება. ისინი მასალას ითვისებენ მრავალჯერადი განმეორების გზით და ყოველთვის სათანადოდ ვერც ახერხებენ ამას, დავალებების შესრულებას ანდომებენ ბევრ დროს.

რაც შეეხება ჯგუფების შედგენას, დიფერენცირებული მუშაობის დროს ჯგუფები მუდმივი არ არის. ისინი არა მარტო დროთა განმავლობაში, არამედ ერთი გაკვეთილის ფარგლებშიც კი შეიძლება შეიცვალოს.

დიფერენციაციის საშუალებები:

- დავალების შინაარსი მთელი კლასისთვის ერთნაირია, მაგრამ ძლიერ მოსწავლეებს ნაკლები დრო ეძლევათ მის შესასრულებლად;
- დავალების შინაარსი ყველასთვის ერთნაირია, მაგრამ ძლიერ მოსწავლეებს გაცილებით დიდი მოცულობის დავალება ეძლევათ, ვიდრე სხვებს;
- დავალება მთელი კლასისთვის საერთოა, მაგრამ სუსტ მოსწავლეებს ეძლევათ დამხმარე მასალა, რომელიც გაუადვილებთ მუშაობას (საყრდენი სქემები, ცხრილები, ნიმუში და ა.შ.);
- სხვადასხვა დონის მოსწავლეებს გაკვეთილის ერთ-ერთ ეტაპზე ეძლევათ სხვადასხვა შინაარსისა და სირთულის ამოცანები;
- მოსწავლეები თვითონ ირჩევენ დავალების ვარიანტს;
- მასწავლებელი ხშირად მიმართავს მასალის განმტკიცებას.

დიფერენციაციის დროს მიმდინარე, თემატური და შემაჯამებელი დავალებები სხვადასხვა

დონისაა და განსხვავებულია უნარ-ჩვევების კუთხითაც. მაგალითად:

- დამოუკიდებელი მუშაობის დროს დიფერენცირებული დავალებები მიმართულია ცოდნის გამჭვირვალობისკენ, მოქნილობისკენ, კონკრეტულობისკენ, გაცნობიერებისკენ. მათი შესრულებისთვის გამოიყოფა 10-15 წუთი.
- სხვადასხვა დონის დავალებების დროს მოსწავლეებს ურიგდებათ განსხვავებული ფერის ბარათები სხვადასხვა დავალებით: მწვანე – I დონე, ლურჯი – II დონე, წითელი – III დონე. დავალებების რაოდენობა დამოკიდებულია შესასწავლ საგანზე, თემის სირთულეზე, მოსწავლეთა ინდივიდუალურ თვისებებსა და დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილ დროზე.

საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია შეცვალოს დავალება ან ხელახლა შეასრულოს იმავე დონის სხვა დავალება. **შეფასება** დამოკიდებულია დავალების სირთულეზე: I დონე – 5/6 ქულა; II დონე – 7/8 ქულა; III დონე – 9/10 ქულა; **მოსწავლეთა თვითშეფასებაში** კი გამოჩნდება, რამდენად სწორად იქნა შერჩეული დონე.

დიფერენცირებულ დავალებებს შორის გვხვდება **ადაპტირებული (შედარებით ადვილი) დავალებებიც,** რომლებიც:

- შეიცავს დავალების შინაარსს, ალგორითმს და მის მიხედვით შესრულებულ ნიმუშს;
- დავალებას, რომელიც უნდა შესრულდეს წყვილში;
- სხვადასხვა დონის დახურული ტიპის ტესტურ დავალებებს – მოსწავლებს სთავაზობენ 10-15 ტესტს, რომელთაგან თითოეულის შესასრულებლად დასჭირდება 7-10 წუთი.

განვიხილოთ გაკვეთილის ფრაგმენტი დიფერენცირებული დავალებებით.

გაკვეთილის თემა – **„საღვთო რომის იმპერია კარლ V-ის დროს“**

დრო – 15 წუთი

დაახლოებით 5/6-ქულიანი დავალება:

ДИФЕРЕНЦირებული სწავლებისას მასწავლებელი მუშაობს მთელ ჯგუფთან, რომლის თითოეულ წევრსაც სხვადასხვა ხარისხის ცოდნა აქვს, მაგრამ პროცესი მიმართულია „გათანაბრებისკენ“ – დავალებები დახარისხებულია თითოეულის შესაძლებლობის მიხედვით, რაც ერთიანობაში ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის მოტივირებას და შესაძლებლობებისა და ინტერესების მაქსიმალურ გამოვლენას, ერთმანეთით სწავლას და თვითსწავლას.

- დაასახელეთ კონკრეტული რეფორმები, რომლებიც გატარდა კარლ V-ის ეპოქაში;
- რას გეუბნებათ სახელები: ა) მ. ლუთერი? ბ) ფილიპე II?
- როგორი იყო კარლ V-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგები?

დაახლოებით 7/8-ქულიანი დავალება:

- რას წარმოადგენდა „95 თეზისი“? ვინ იყო მისი ავტორი?
- დაახასიათეთ, როგორ გაიყო ჰაბსბურგთა იმპერია ორ შტოდ.

დაახლოებით 9/10-ქულიანი დავალება:

- რატომ თქვა უარი კარლ V-მ ნიდერლანდის სამეფოსა და ესპანეთზე და არა გერმანიაზე?
- რატომ დათანხმდა კარლ V 1555 წლის აუგსბურგის რელიგიურ ზავზე და არ გააგრძელა ბრძოლა რეფორმაციის წინააღმდეგ? მიაღწია თუ არა ამით მიზანს?

ადაპტირებული დავალებები:

- მოამზადეთ პატარა დავალებები მოცემულ თემაზე (სუსტი მოსწავლისთვის);
- დაწერეთ ესე მოცემულ თემაზე (დავალება ყველასათვის);
- პრეზენტაციის მომზადება გაკვეთილის თემის მიხედვით და პრეზენტირება კლასის წინაშე;
- კროსვორდის მომზადება (ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის – პასიური მოსწავლეებისთვისაც);
- პორტრეტ-ამოცანის მომზადება (დავალება ყველასათვის).

ჩათვლა თემაზე – „ტიუდორები“: ყველა დავალება იყოფა ორ ნაწილად -სავალდებულოდ 5/6 ქულაზე და დამატებით დავალებად 9/10 ქულაზე.

სავალდებულო ნაწილი: იმისთვის, რომ მოსწავლემ მიიღოს შეფასება 5/6, უნდა შეასრულოს არა უმეტეს 7 დავალებისა მიმდინარე თემის შესახებ:

- მიუთითეთ, რა სახელწოდებით შევიდა ეკლესიის ისტორიაში ჰენრი VIII.
- გააგრძელეთ ფრაზა: „პირველი მმართველი ტიუდორების დინასტიიდან, რომლის მეფობის პერიოდიც ყველაზე მშვიდ ეპოქად შევიდა ინგლისის ისტორიაში, იყო...“ (ჰენრი VII);
- რა უფრო ადრე მოხდა: რეფორმაცია თუ ანგლიკანური ეკლესიის დაფუძნება? (რეფორმაცია)
- მიუთითეთ, რა ტერმინით აღინიშნება საეკლესიო და სამონასტრო საკუთრების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად. (სეკულარიზაცია)
- ინგლისის დედოფალი, რომლის სახელიც დაკავშირებულია „ინგლისის ოქროს ხანასთან“ (ელისაბედ I);
- რას წარმოდგენდა „უძლეველი არმადა“? (ესპანეთის სახელგანთქმული ფლოტი, რომელიც ინგლისმა გაანადგურა)
- რა კავშირი აქვს ფილიპე II-ს ინგლისთან? (თავისი დაუფიქრებელი პოლიტიკით ხელი შეუწყო ინგლისის დაწინაურებას)
- როგორ აღმოჩნდნენ ინგლისის ტახტზე სტიუარტები?
- ვის სახელს უკავშირდება „ინგლისური პროტესტანტიზმი?“ (ელისაბედ I)
- ვინ დააარსა ინგლისში „ვარსკვლავიანი პალატა“ – საგანგებო სასამართლო?
  - ა) ჰენრი VII-მ
  - ბ) ჰენრი VIII-მ
  - გ) ელისაბედ I-მა
  - დ) ედუარდ VI-მ

  (სწორი პასუხი: ჰენრი VII)

ადაპტირებული დავალებები (ყველა სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით):

- რა კავშირი აქვთ ლანკასტერებსა და იორკებს ტიუდორების გამეფებასთან?
- რატომ უწოდეს კათოლიკე მერის ინგლისელებმა „სისხლიანი მერი“?
- რამ შეუწყო ხელი ამერიკის კონტინენტზე ინგლისის კოლონიების გაჩენას?

დიფერენცირებული სწავლების უპირატესობები: ადვილად დაიძლევა სიძნელეები; კლასში არც ერთი მოსწავლე არ არის ჩამორჩენილი; ყველა ჩართულია სამუშაოში; აქტიურად ფორმირდება პიროვნული თვისებები; იზრდება დამოუკიდებლობა, შრომისმოყვარეობა, თავდაჯერება, შემოქმედებითობა, მოტივაცია, შემეცნებითი ინტერესი; აქტიურად მიმდინარეობს მასალის შინაარსის გადამუშავება; მეთოდი უზრუნველყოფილია დიდაქტიკის კუთხითაც; მოსწავლეები წინასწარ ემზადებიან ამგვარი სამუშაოსთვის; ექვემდებარება მონიტორინგს.

მაკა სახვრია

კლასი როგორც კოლექტივი და მისი ღირებულებათა სისტემა

მე დამრიგებელი ვარ. თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ჩამაბარეს ერთ-ერთი მეხუთე კლასი და უკვე მესამე სასწავლო წელია მაქვს პატივი, მათი დამრიგებელი ვიყო. საქართველოს საჯარო სკოლებში ძირითადად ასეთი პრაქტიკაა. დაწყებითი საფეხურის მეოთხე კლასის ჩათვლით კლასს ერთი დამრიგებელი ჰყავს, ხოლო მეხუთედან ბოლომდე – მეორე. არსებობს გამონაკლისები, რომელთა გამოც დამრიგებელი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ტრადიცია ასეთია და ოპტიმალურ ვარიანტადაც ეს მიიჩნევა – მეხუთე კლასიდან ბოლომდე კლასთან ერთი მასწავლებელი მუშაობს.

კლასი! ვისაც მასწავლებლად არ უმუშავია, სკოლაში ხომ უსწავლია? თითქოს ყველამ იცის, რა არის კლასი... მაგრამ არა, კლასი როგორც ფენომენი, როგორც უნივერსალური კოლექტივი, როგორც მიკროკოსმოსი, რომელიც მაკროკოსმოსის პროექციაა თავისი უღრმესი და ურთულესი იმანენტური კანონებით, მხოლოდ დამრიგებელმა შეიძლება იცოდეს. ზოგადი განათლების შესახებ კანონში წერია, რომ კლასი არის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა დროებითი, სულ მცირე, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შენარჩუნებული ერთიანობა, რომელიც შედგენილია ეროვნულ სასწავლო გეგმებში მოცემული რეკომენდაციებისა და ამ დაწესებულების წესდების მიხედვით და რომელში გაერთიანებული მოსწავლეებიც ძირითადად ერთად სწავლობენ ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს“. კლასში მოსწავლეთა რაოდენობა, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, 25-ით განისაზღვრება, მაგრამ გამონაკლისების დაშვებაზე უფლებამოსილ უწყებათა წყალობით, თბილისის საჯარო სკოლების უმრავლესობაში კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა ხშირად 30-ს აჭარბებს. ჩემს კლასში 35 მოსწავლეა. კლასი რამდენიმე საგანში იყოფა. კლასიკურ გიმნაზიაში – მხოლოდ უცხო ენასა და ისტ-ში. კლასში მოსწავლეთა მიმოსვლა ხშირად ხდება, მაგრამ ძირითადი შემადგენლობა მაინც უცვლელია და ახალმიღებული მოსწავლე მალევე ახერხებს გარემოსთან ადაპტაციას. გამოცდილი მასწავლებლები ამბობენ, რომ წინა წლებში 45 და მეტი მოსწავლეც კი ყოფილა დედაქალაქის საჯარო სკოლების კლასებში, მაგრამ კლასების მართვა არ იყო ისეთი რთული, როგორიც ახლაა.

სწავლა-სწავლების აქტორების – სკოლის პედაგოგიტივის, მოსწავლისა და მშობლის – ურთიერთობათა სიჯანსაღის, ნდობისა და ურთიერთპატივისცემის პირდაპირპროპორციულია კლასის წარმატებით მართვისა და ხარისხიანი განათლების შესაძლებლობაც. არსებობს დოკუმენტი, რომელსაც „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ ეწოდება, ასევე ყოველ სკოლას შემუშავებული აქვს საკუთარი მისია განათლების კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც გაწერილია საგანმანათლებლო დაწესებულების ზოგადი ორიენტირები. სკოლის მისიის უმთავრესი მიმარ-

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ელიზბარ ელიზბარაშვილი

„სიკვდილო, თუკი ადვილი ხარ“

ვერაფრით ვიხსენებ, როდის შევხვდი პირველად. დღესაც ისეთი განცდა მაქვს, თითქოს მთელი ცხოვრება ერთად ვიყავით. არადა, ჩვენი გზები ოთხი თუ ხუთი წლის წინ უნდა გადაკვეთილიყო. პირველად პურის ლუკმა გავიყავით. უსიტყვოდ, ყოველგვარი შორეული მიზნისა და დათქმის გარეშე. მერე რაღაცნაირად წესად გვექცა – შინ დაბრუნებულს, ჭიშკართან მეგებებოდა და ერთად ვვახშმობდით. გამოხდა ხანი და უცებ გავაცნობიერეთ: უერთმანეთოდ ყოფნა აღარ შეგვეძლო....

ამ რამდენიმე კვირის წინ კი ჩვენი გზები ისევ გაიყარა. წავიდა. სამუდამოდ წავიდა იქ, საიდანაც აღარ თუ ვეღარ ბრუნდებიან. ჩვენში მოკლედ იტყვიან: მოკვდაო.

რამდენიმე ათეული წლის წინ ერთ-ერთი საავადმყოფოს ზღურბლთან მრავალ სიკვდილსიცოცხლენანახმა ექიმმაც ასევე აუღელვებლად, პირდაპირ და მოკლედ მითხრა: უი, ის რომ მოიყვანეთ, მაშინვე მოკვდაო.

ჩვენ, თავს ადამიანებს რომ ვუწოდებთ, დიდი ხანია, მთელ დუნიას დავეპატრონეთ. ჩვენი სწორი ამქვეყნად არცა სულიერი გვგონია და არცა უსულო. ყველას და ყველაფერს ზემოდან დავცქერით, არათუ სიცოცხლეში, სიკვდილშიაც კი თავს ვამეტებთ. დიდებს „გარდაცვალების“ ფუფუნება გვაქვს, სხვები კი უბრალოდ იხოცებიან, მიდიან ამ სოფლიდან, ქრებიან სამარადჟამოდ...

დიახ, ის ორი უბრალოდ მოკვდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი ადამიანი ვერასოდეს გახდებოდა, რადგან განგებამ ძაღლად გააჩინა, მეორემ კი ვერ მოასწრო – მხოლოდ ერთი კვირა ისუნთქა ჟანგბადით. ჩვენ? ჩვენ ვიცხოვრებთ, ოდესმე გარდავიცვლებით და სიკვდილის შემდეგაც გავაგრძელებთ ყოფნას ავად თუ კარგად...

სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ყველა ხალხის, ყველა ეპოქის მთავარი თავსატეხი იყო. ასეთივე დარჩება ყოველთვის. კიდევ ბევრი თაობა და ჟამი გარდავალს სიკვდილის წინაშე ძრწოლით...

მაგრამ ერმა, რომელიც იტყვის: ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითაო, – სიცოცხლის ფასიც იცის და სიკვდილისაც. ერმა, რომელიც საკუთარ მიცვალებულებზე წინ ბეჩავ-საბრალოთ დაუდგამს ტაბლას, იცის გარდაცვლილთა სულის ცხონებაზე ზრუნვა. ერმა, რომლის პოეზიაშიც „ხმით ნატირალი“ ცალკე ლიტერატურული ჟანრია, იცის, როგორ მოიშუშოს სიკვდილით მიყენებული იარები.

ჰოდა, ასეთი მდიდარი ლექსიკისა და ლაქარდიანი ენის პატრონებს, რატომ გვაქვს ეს ორი სიტყვა ასე გამიჯნული? მჯერა, რომ ეს ენის სიმწირის ბრალი არ არის. ერთ დროს უთუოდ გვექნებოდა „მოკვდას“ ალტერნატიული „გარდაცვალების“ სინონიმი, მერე კი რაღაც მიზეზით მივივიწყეთ, უსარგებლო ნივთივით საკუჭნაოს ბნელ კუთხეში მივაგდეთ და ისიც ნელ-ნელა ისე დაიჟანგა, ახლა რომც მივაგნოთ, ვეღარ ვიცნობთ, რა არის და რისთვის იყენებდნენ...

დღეს მორიგი ექსპერიმენტი ჩავატარე: ორ ნივთიერებას სასიკვდილო განაჩენი გამოვუტანე. მათი შეერთებით ახალი მოლეკულა უნდა დაიბადოს. უფრო უკეთესი, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის ორი. ქიმიაში ამას გარდაქმნას ეძახიან, თუმცა ჩემთვის ეს მოლეკულათა გარდაცვალების სადარია. ორი გარდაცვლილი მოლეკულის ატომები ახალი ფორმით გააგრძელებენ სიცოცხლეს...

ზურაბ აბაშიძე

მასწავლებლის გამორჩეული მოსწავლე

„ყველა ერთნაირად მიყვარხართ“, „არც ერთს არ გამოგარჩევთ“, „ყველა ერთი ხართ ჩემთვის“, – ეს ის ფრაზებია, რომლებსაც ხშირად იყენებდნენ მასწავლებლები ჩემი მოწაფეობის დროს. ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომ მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იყავი, როგორი იყავი, რა ოჯახიდან გამოდიოდი ყოველ დილით რვა საათზე, რომელ უბანში ცხოვრობდი, რამდენი ჰქონდათ ხელფასი შენს მშობლებს და რა მანქანა გაკითხავდა გაკვეთილების შემდეგ, მაგრამ სინამდვილეში ყველა კლასში, რომელშიც მისწავლია (მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია) ყოველთვის იყო ორი-სამი მოსწავლე, რომლებიც დამრიგებელს ან რომელიმე სხვა მასწავლებელს გამორჩეულად უყვარდა და ხშირად ვერც კი მალავდა ამ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას.

მასწავლებლის გამორჩეული მოსწავლე ორნაირია: ერთი ვერ გრძნობს მასწავლებლის განსაკუთრებულ სიყვარულს და, შესაბამისად, ვერ იყენებს ამ უპირატესობას; მეორე გრძნობს ამას და სათავისოდ იყენებს, იცის, რომ გამორჩეულია და ხვდება, რომ სხვებთან შედარებით ბევრი რამ ეპატიება. როგორია სხვა, ჩვეულებრივი მოსწავლეების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ? ზოგი ამჩნევს, ზოგი – ვერა, ზოგი უფრო გონიერია და ხმასაც იმაღლებს, ზოგი ყველაფერს ხვდება, მაგრამ ეშინია. ფაქტი ერთია: დანარჩენი მოსწავლეები გრძნობენ, რომ არ არიან რჩეულები და ხშირად ეს ძალიან, ძალიან დიდი ხნით ტოვებს კვალს მათ ცნობიერებაში.

კაცმა არ იცის, როგორ შეიძლება გახდე მასწავლებლის გამორჩეული მოსწავლე. ალბათ, ყველა მასწავლებელს თავისი მოთხოვნები აქვს. ზოგი მდიდარი ოჯახის შვილისკენ იხრება, ზოგს ფრიადოსანი უყვარს, ზოგს – ყველაზე მაჩანჩალა, რომელსაც მთელი თორმეტი წელი ათრევს... ასე იყო თუ ისე, თითქოს ყველა მასწავლებელმა იცოდა, რომ გამორჩევა არ შეიძლება, ან თუ გამოარჩევდნენ, გამოხატვით მაინც არ უნდა გამოეხატათ, მაგრამ მაინც ერთსა და იმავე შეცდომას უშვებდნენ.

ხშირად გამჩენია უსამართლობის განცდა იმის გამო, რომ მასწავლებლის გამორჩეული მოსწავლე არ ვიყავი და უფრო მეტი სირთულის გადალახვა მიწევდა, ვიდრე იმ ერთადერთს. სულ მინდოდა, მეთქვა, მაგრამ ხშირად ვერ ვბედავდი. იყო ერთი მასწავლებელი, რომელიც ძალიან ძნელად წერდა ნიშნებს. მის საგანში 10 ქულის მიღება მხოლოდ რჩეულს შეეძლო, რომელიც მართლაც ჩვენზე გონიერი და ნიჭიერი იყო, მაგრამ ხანდახან მოდუნების უფლებასაც აძლევდა თავს - მაინც 10 ქულას იღებდა. ერთ დღესაც, მორიგი 8 ქულის მიღების შემდეგ, პრეტენზია გამოვთქვი: მე და „რჩეულმა“ ერთნაირად გიპასუხეთ, მე - 8 და იმას 10 რატომ დაუწერეთ-მეთქი? ვცადე, კლასიც ამეყოლიებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მასწავლებელმაც მისაყვედურა, ჯობია, საკუთარ ქულაზე იფიქრო და სხვისი ქულების თვლას თავი დაანებოო. მაინც რომ არ გავჩერდი, „რჩეულსაც“ რვა ქულა დაუწერა და ამით დამთავრდა ეს ამბავი. მაგრამ დამთავრდა მხოლოდ საკლასო ოთახში – შესვენების ზარი დაირეკა თუ არა, ყველასთვის ის მოსწავლე გავხდი, რომელიც მზად არის, ერთი ქულისთვის თანაკლასელსაც გადააბიჯოს.

იმ დღის შემდეგ მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე ორივეს გამოგვიყვანდა ხოლმე დაფასთან და გვაყოლებდა გაკვეთილს, ორივეს ერთნაირად რვა ქულას გვიწერდა და თან მიმეორებდა, აი, შენ გამო ოქროსმედალოსანს რვა ქულას ვუწერო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ თანაკლასელებმა მომიძულეს. მეც ნაკლებად ვერთვებოდი საგაკვეთილო პროცესში და დიდად აღარც გაკვეთილის მოყოლის სურვილს გამოვხატავდი. ვიჯექი ჩემთვის წყნარად. კლასელებმა ნელ-ნელა მოიბრუნეს გული, მაგრამ მასწავლებლის უსამართლობა დღემდე მწარედ მახსოვს. ახლაც კი, როცა ვაცნობიერებ, რომ ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიც არსებობს, მაინც მიჭირს მისი სახის დავიწყება. ყოველთვის წამოყოფს ხოლმე თავს, როცა რამე სირთულეს ვეჯახები და ჩამჩურჩულებს, რომ ვერასდროს ვიქნები გამორჩეული, მასწავლებელს ყოველთვის სხვა ეყვარება განსაკუთრებით და თუ ხმის ამაღლება გავბედე, დავისჯები.

ვიცი, რომ ძნელია, გამორჩეულად არავინ გიყვარდეს, ძნელია, 25 ადამიანი ერთნაირად შეიყვარო. დღესაც, როცა სამსახურში 96 თინეიჯერთან მიწევს თითქმის ყოველდღიური კონტაქტი, მეც მიჭირს, არავინ გამოვარჩიო და შევიყვარო, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ, ეს არავის ვაგრძნობინო; ვცდილობ, გადაცემის ყველაზე ნაკლებად დასამახსოვრებელ მონაწილეშიც, რომელიც ყოველთვის კუთხეში დგას, რამე განსაკუთრებული დავინახო, ჩავუღრმავდე და ხაზი გავუსვა, დავაჯერო, რომ არაჩვეულებრივია, ვუთხრა, რომ მასზე ლამაზი ამ ქალაქში ცოტა თუ დაიარება, რომ შეუძლია, ყველაფერი გააკეთოს, რაც მოუნდება და შევახსენო, რომ ასეთი გადასარევი გოგოსთვის თუ ბიჭისთვის შეუძლებელი არაფერია.

მასწავლებლების უმეტესობას კი რატომღაც ავიწყდება, რომ სინამდვილეში ყველა მოსწავლე ერთნაირად კარგია, რომ სწორედ მასწავლებელს შეუძლია, თავისი სიყვარულით და პატივისცემით სწორად წარმართოს მოსწავლის ცხოვრება, რომ მარტო საგნის სწავლება არ არის მასწავლებლის საქმე, რომ მოსწავლეებს ქიმიასთან, ფიზიკასა და ბიოლოგიასთან ერთად საკუთარი თავის სიყვარულიც უნდა ასწავლონ და ეს იმით დაიწყონ, რომ ჯერ თვითონ შეიყვარონ.

ლევან ლორთქიფანიძე

სიტყვის თავისუფლების დღემა

სიტყვის თავისუფლებასა და რელიგიური გრძნობების პატივისცემას შორის საზღვრის გავლება მთელ მსოფლიოში უჭირთ. გამონაკლისი არც საქართველოა. ამ საკითხზე ადგილობრივი მაგალითების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა კალამი გაგვექცეს და ჟურნალ „მასწავლებლის“ მაღალ სტანდარტებს ერთგვარი საფრთხე შევუქმნათ. აქედან გამომდინარე, ალბათ, აჯობებს, ისევ ევროპას მივაშუროთ და ჩვენი საუკუნის ათიან წლებში მომხდარი ერთი მნიშვნელოვანი ამბავი გავიხსენოთ.

რამდენიმე წლის წინ საყოველთაოდ ცნობილმა ფრანგულმა სატირულმა ჟურნალმა „შარლი ებდომ“ წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურები გამოაქვეყნა. კარიკატურების გამოქვეყნებას წინ დიდი პოპულისტური კამპანია უძღოდა. ტირაჟის გაზრდისა და სკანდალების საფუძველზე აქტუალობის შენარჩუნების მიზნით „შარლი ებდოს“ ავტორები არ ერიდებოდნენ ისლამის თემაზე საკმაოდ ვულგარული შინაარსის მასალების გამოქვეყნებას. კამპანია შემაძრწუნებლად დასრულდა: ფუნდამენტალისტური ისლამის წარმომადგენლები, ტერორისტები, რედაქციას თავს დაესხნენ. ექსტრემისტებმა ათზე მეტი ადამიანი იმსხვერპლეს. ჟურნალის თანამშრომლებთან ერთად სიცოცხლეს ორი პოლიციელიც გამოესალმა. მილიარდობით ადამიანმა საკუთარი თვალით ნახა ტერორისტული აქტის ამსახველი კადრები. მთელი სამყარო შეძრა განწირული ადამიანების ყვირილმა.

ტერორისტული აქტების დასრულებისთანავე ყველა შეთანხმდა, რომ ტერორიზმი და ძალადობა დაუშვებელი და გაუმართლებელია. არავის აქვს უფლება, განსხვავებული მოსაზრების გამო ვინმე გაანადგუროს. ტერორისტები ნებისმიერ შემთხვევაში უმკაცრესად უნდა დაისაჯონ. საზოგადოებისგან მათი იზოლირება და ძალადობრივი ქმედებების ორგანიზატორთა ქსელის გაცამტვერება სამართალდამცავი ორგანოების უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს. ტერორიზმის მიზეზი შეიძლება ახსნა, მაგრამ მისი ლეგიტიმაცია შეუძლებელი და ამორალურია.

თუმცა ტერორისტულმა შეტევამ, საზოგადოების კონსოლიდაციასთან ერთად, საკმაოდ მძიმე დისკუსიებსაც დაუდო სათავე. კერძოდ, მოქალაქეთა და საჯარო ინტელექტუალთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ დაეთანხმა საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტის, ფრანსუა ოლანდის განცხადებას იმის შესახებ, რომ „შარლი ებდოს“ ჟურნალისტები სიტყვის თავისუფლებას შეწირული გმირები არიან.

რა არგუმენტებით გამოდიოდნენ პრეზიდენტის მოსაზრების მოწინააღმდეგეები?

უპირველეს ყოვლისა, „მთავარი დინების“ ოპოზიციაში მყოფმა ადამიანებმა აღნიშნეს, რომ სატირა მნიშვნელობას კარგავს, როცა ის სუსტების ჩაგვრას ემსახურება. ტრადიციული ისლამის მიმდევრები, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ ფუნდამენტალიზმთან, ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში ცხოვრობენ და საფრანგეთის უღარიბესი, უსამართლოდ სტიგმატიზებული მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ. ამასთანავე, მათი ყოფა, მათი ოჯახების ისტორია დამძიმებულია საფრანგეთის კოლონიური და იმპერიალისტური წარსულის ტრაგიკული შეცდომებით. შეუძლებელია, მუჰამედის კარიკატურები მხოლოდ ექსტრემისტების საქმიანობის გასაპროტესტებლად იქმნებოდეს – მათ პირდაპირი გავლენა აქვთ ყველა მუსლიმზე, მათ შორის – პატიოსან მოქალაქეებზეც. იაფფასიანი სატირა მათ არაფორმალურ დისკრიმინაციასა და შევიწროებას, ასევე რადიკალიზაციას უწყობს ხელს.

დისკუსიის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მედიის ორმაგ სტანდარტებზეც. ევროპული საზოგადოება და პრესა ხშირად ძალიან მკაცრად აკრიტიკებს ირანულ გაზეთებს, რომლებიც ანტისემიტური კომპოზიციების შექმნისა და გავრცელების მთავარ ბასტიონს წარმოადგენენ. ამ გამოცემებს სამართლიანად ადანაშაულებენ რასიზმში. საფრანგეთის პრეზიდენტის ოპოზიციონერებს უჩნდებათ კითხვა: რატომ არ ვრცელდება აღმოსავლური პრესის კრიტიკის სტანდარტები დასავლურ პრესაზე? აქვე ევროპელმა ინტელექტუალებმა „შარლი ებდოს“ ისტორიიდან ერთი მოვლენაც გაიხსენეს. 2008 წელს რედაქციიდან გაათავისუფლეს კარიკატურისტი, რის მიზეზადაც ნიკოლა სარკოზის შვილის გამოსახულებით შექმნილი ნაშრომის „ანტისემიტური“ შინაარსი დასახელდა. ყველა ვთანხმდებით, რომ ებრაელთა რასობრივი ნიშნით ჩაგვრა უბედურებაა. ანალოგიურად უნდა შევთანხმდეთ იმაზეც, რომ მუსლიმთა რელიგიური ნიშნით დამცირებაც არაჰუმანური და ანტიდემოკრატიული ქმედებაა.

რა მოითხოვეს მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნებით აღშფოთებულმა პირებმა?

მათ ცენზურის დაწესება და გემოვნების სტანდარტების განმსაზღვრელი სამინისტროების ან ინსტიტუტების შექმნა არ მოუწადინებიათ. არც ძალადობისა და შევიწროების მომხრეებად ქცეულან. ოპოზიციონერებმა მხოლოდ იმაზე მიანიშნეს, რომ მეტი თვითკრიტიკაა საჭირო; რომ ტირაჟის გასაზრდელად ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმა სოციალურად არასასურველი და არაპრესტიჟული უნდა გახდეს. მოაზროვნეებმა საზოგადოებას მოუწოდეს, რომ სიტყვის თავისუფლებისა და სხვათა პატივისცემის ღირებულებებს შორის იერარქია მოეშალათ და ისინი თანასწორ პრიორიტეტებად მიეჩნიათ.

ყველაფერს კანონი ვერ დაარეგულირებს, ბევრ დამოკიდებულებას შინაგანი კულტურა განაპირობებს. მასწავლებლებმა უნდა იბრძოლონ იმისთვის, რომ მოსწავლეებს არასდროს მოუნდეთ სიტყვის თავისუფლების პრივილეგიის სხვათა დასამცირებლად გამოყენება.

ᲘᲠᲘᲜᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲥᲐᲫᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲡ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲐ

მოდი, აქედან დავიწყოთ: რა განსხვავებაა მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროებით „მეტყველებას“ შორის? ადამიანს რომ ორი ნახევარსფერო აქვს, ვიცით... ისიც ვიცით, რომ მარცხენა ნახევარსფეროს მეტაფორულად – მეცნიერების, ხოლო მარჯვენას ხელოვნების ნახევარსფეროს უწოდებენ. ორი ნახევარსფეროს არსებობა ნიშნავს, რომ ორივე გვჭირდება, თუმცა ხშირად ერთი მოიპოვებს პრიორიტეტს, უფრო მეტად ერთი ვითარდება.

როგორც კი სტუდენტი მეტყველებას იწყებს, ადვილად ვხვდები, რომელი „ნახევარსფეროთი“ მელაპარაკება, შემიძლია, მის მეტყველებაზე „გადავეწყო“ და ერთი და იგივე აზრი სხვადასხვანაირად გამოვთქვა: ერთ შემთხვევაში – ლოგიკურად და არგუმენტირებულად, მეორე შემთხვევაში – მხატვრულად და მეტაფორულად. ვფიქრობ, ეს უნარი ყველა მასწავლებელს სჭირდება და საერთოდაც, ყველა ადამიანს, ვისაც უნდა, მეორე ადამიანს სათქმელი ადეკვატურად მიაწვდინოს. ასე რომ, თუ განდეგილობას არ აპირებთ, მოგიწევთ, დაფიქრდეთ ამ საკითხზე, რადგან სოციალური ადამიანისთვის აუცილებელია ენის მეშვეობით თვითგამოხატვა, გაზიარება, აზრის გამოთქმა, გადაცემა...

მაშ, ასე, როგორ ამოვიცნოთ, რომელ ენაზე გველაპარაკება მოსაუბრე? ამისთვის, ბუნებრივია, უნდა ვიცოდეთ, რა თავისებურებები ახასიათებს მეცნიერებისა და ხელოვნების ნახევარსფეროებს.

თუ მოსაუბრე ზედმიწევნით ლოგიკურია, არგუმენტირებული, ცნებებით და განყენებულად (აბსტრაქტულად) გველაპარაკება, იშველიებს წყაროებს, იმოწმებს ციტატებს, გამოაქვს დასკვნები და არ წამოსცდება სიტყვა, რომელიც საქმეს არ ეხება (ანუ მისი მეტყველება ზედმიწევნით ორგანიზებული და დალაგებულია), მაშასადამე, ის მარცხენა ნახევარსფეროთი ლაპარაკობს; თუ აზრს გადმოსცემს ისე, თითქოს ნოველას ჰყვება, ხშირად იშველიებს მეტაფორებს, ასოციაციებს, იყენებს სიტყვას „თითქოს“, მაშინ ის მარჯვენა ნახევარსფეროთი მეტყველებს. არის შერეული შემთხვევები, როცა მეტყველება ლოგიკურიცაა და მეტაფორულიც. ეს საუკეთესო ვარიანტია და, რა თქმა უნდა, მეტი ზეგავლენაც აქვს მოსწავლეზე, სტუდენტზე, უბრალოდ, მოსაუბრეზე.

თანამედროვე განათლების სისტემა დასწავლაზეა ორიენტირებული და ნაკლებად ავითარებს შემოქმედებით უნარებს. უფრო მეტიც: მაგალითად, ლიტერატურის გაკვეთილზე, პოეზიის განხილვისას, მოსწავლის მხატვრულად და შემოქმედებითად გამოთქმული აზრი მასწავლებელმა შესაძლოა აბსურდადაც კი მიიჩნიოს და ჰკითხოს მოსწავლეს: „ასეთი რამ სად წაიკითხე?“ არადა, საინტერესო ის არის, რომ მას არსადაც არ წაუკითხავს, უბრალოდ, შეგრძნებებს და ასოციაციებს მიჰყვა და გამოთქვა, რაც იგრძნო, განიცადა, იფიქრა.

ვინაიდან ჩვენს განათლების სისტემას აკლია მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებისა და გამოვლენის შესაძლებლობა, შეგიძლიათ, ეს დანაკლისი ლიტერატურის გაკვეთილებით შეავსოთ.

გაგიზიარებთ ჩემი საუნივერსიტეტო საგნის „რა არის პოეზია“ სწავლებისას მიღებულ გამოცდილებას, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერი პოეტის ნებისმიერი ლექსის განხილვისას.

მთავარია, განზე გადადოთ ყოველგვარი „განხილვის“ სახელმძღვანელო (ცხადია, იმას არ ვამბობ, რომ არ უნდა წაიკითხოთ და არ უნდა გქონდეთ ინფორმაცია ამა თუ იმ პოეტურ შედევრზე), როცა საქმე ეხება „მარჯვენა ნახევარსფეროს მეტყველებას“.

და მე ასეთი განხილვისას აღმოვაჩინე ერთი მაგიური სიტყვა: **თითქოს**. ეს სიტყვა-ნაწილაკი დაგეხმარებათ გარეგანი, „მარცხენა ნახევარსფეროს მეტყველებიდან“ გადაერთოთ შინაგან მეტყველებაზე, ჩაყვინთოთ აზრის სიღრმეში, მიჰყვეთ შეგრძნებებს, ასოციაციებს, ემოციებს... სხვა დროსა და სივრცეში გადახვიდეთ.

მაგალითად, პოეზიის ლექციაზე რილკეს ლექსიდან ერთი მეტაფორის განხილვას მთელი ლექცია მივუძღვენით. აი, ეს მეტაფორაც ქვემოთ მოყვანილი ლექსიდან (რილკე, „მარტოსული“):

„შორეულ ზღვიდან თითქოს
მოვხვდი უცხო ნაპირთან,
უცხო ვარ თქვენთვის,
თქვენ არ იცნობთ ჩემს
ძვირფას შორეთს...“

ავტორი თავისი შინაგანი სამყაროდან გველაპარაკება... *შორეული ზღვა, უცხო ნაპირი* და *ძვირფასი შორეთი* შინაგანი სამყაროს მეტაფორებია. **„თითქოს“** ამ ლექსში საკვანძო სიტყვაა. ეს ნაწილაკი მიგვითითებს რაღაც ისეთზე, რაც სინამდვილეში არ მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ნაცნობი კონცეპტებით და ნაცნობზე მითითებით ჩვენ შეგვიძლია, დაახლოებით განვიცადოთ სულიერი მდგომარეობა, რომლის საზღვართან დგას სიტყვა **„თითქოს“**. ეს სიტყვა ქმნის მეტაფორებს, რომლებსაც სხვა განზომილებაში გადავყავართ, რომელიც ჩვენს შიგნითა სივრცეებს განგვაცდევინებს და აღწერას სწორედ ისე დავიწყებთ, როგორც იწყებს რილკე. ჩვენ შეგვიძლია, ეს სიტყვა კიდევ უფრო ქმედითი გავხადოთ და მეტაფორებთან ერთად გამოვიყენოთ, მაგრამ არა იმ განცდის აღწერისას, რასაც პოეტი განიცდიდა, როცა ამას წერდა (ეს არავინ იცის), არამედ იმისა, რასაც თავად განვიცდით, როცა ვამბობთ: „შორეული ზღვა“ ან „უცხო ნაპირი“.

მაგალითად, ვიკითხოთ: ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ როგორ განიცდით „შორეული ზღვის“ (უცხო ნაპირის, შორეთის...) მეტაფორას? რას გრძნობთ შინაგანად? რა გესმით? რას ხედავთ? რა ემოციები გიპყრობთ და როგორ გამოხატავთ მათ? **თითქოს...**

აი, სწორედ ამ „თითქოს“-იდან იწყება ყველაფერი და იფრქვევა ემოცია-განცდების ფეიერვერკი. გაგიკვირდებათ, იმდენ საინტერესო და ღრმა აზრს მოისმენთ, მთავარია, მოსწავლეებს გამოხატვის საშუალება მისცეთ. ნუ მიუთითებთ, რა და როგორ იფიქრონ და, მერწმუნეთ, გაოცებული დარჩებით.

თითქოს მაგიური სიტყვაა. ახალი განზომილების გასაღები. საკმარისია, რომელიმე მეტაფორასთან ეს სიტყვა დასვათ და დანარჩენს თქვენი მოსწავლეები იტყვიან.

ეს წერილი რომ წაიკითხეთ, თქვენში რა მოხდა? **თ ი თ ქ ო ს...**

ხშირად ვხვდებით სამწუხარო რეალობას, როცა კლასი გვევლინება არშემდგარ კოლექტივად. საკმარისია, სათითაოდ მიუახლოვდეთ მოსწავლეებს, რომ ყველაში დაინახავთ უნიკალურ, ნიჭიერ, გონიერ, საინტერესო ადამიანს, მაგრამ კლასი რატომღაც მოწყვეტილია ჯანსაღი განვითარების მიმართულებას, რაც ღირებულებათა დევალვაციითაა გამოწვეული.

თულებაა თანამედროვე ცივილიზაციის მოთხოვნების ადეკვატური მოქალაქის აღზრდა, რაც წარმოუდგენელია კულტურის ღირებულებათა სისტემების კლასებში იმპლემენტაციის გარეშე.

ღრმად მწამს, რომ ყოველი კოლექტივი თავისი არსით უნივერსალურია, წევრების მრავალფეროვნებასთან ერთად მას აქვს თავისი ერთსახოვნების კანონებიც და მისი მართვა არანაკლებ რთულ საქმედ მიმაჩნია, ვიდრე თუნდაც სახელმწიფოს მართვა. შესაძლოა, ჩემი ეს განაცხადი ცოტა ეპატაჟურადაც ჟღერდეს, მაგრამ ვინაიდან სკოლაში მუშაობის საკმაოზე მეტი გამოცდილება დამიგროვდა, თავს უფლებას მივცემ, განვაცხადო, რომ კლასის მართვა და მისთვის ფასეულობების სწორად მიწოდება, ახალი თაობის ჯანსაღ ნიადაგზე აღზრდა დიდი საქვეყნო-საკაცობრიო საქმეა.

ვინაიდან ფილოლოგი გახლავართ და სოციოლოგიის, კულტუროლოგიისა და ფსიქოლოგიის დარგებში ფუნდამენტური მეცნიერული ცოდნა არ გამაჩნია, ჩემი პედაგოგიური დაკვირვებების რეფლექსიად წარმოგიდგენთ ღირებულებათა იმ სისტემას, რომელიც კლასის ჯანსაღი განვითარებისა და სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდისთვის აუცილებლად მიმაჩნია:

- გამოხატვის თავისუფლება;
- თვითრეალიზაცია, პასუხისმგებლობა, მოტივაცია;
- შემოქმედებითობა;
- სოლიდარობა და თანამშრომლობა;
- ტოლერანტობა, თანასწორობა, მიმღებლობა-გამტარობა;
- ზრუნვა სასკოლო გარემოს ოპტიმიზაციაზე;
- ეფექტური კომუნიკაცია და გარემოსადმი კეთილგანწყობა;
- სოციალური თანალმობა.

საქართველოს საზოგადოებრივი პროცესების მეტ-ნაკლებად მცოდნე ადამიანებს მოეხსენებათ ჩვენი სოციუმის საზოგადო პრობლემების შესახებ. ჩვენ ამჟამად სკოლებში ვზრდით გასული საუკუნის ავბედითი 90-იანი წლების კოშმარში აღზრდილი თაობების შვილებს. მშობლების ფსიქოემოციური ფონი კი რამდენად მნიშვნელოვანია ჰარმონიული ადამიანის ფორმირებისთვის, ვფიქრობ, ყველასთვის ნათელია. სამოქალაქო და ტერიტორიული მთლიანობისთვის ომებში დაღუპულთა ოჯახები, დამსხვრეული კეთილდღეობის, ნარკო- და ალკოჰოლდამოკიდებულების, პატიმართა და მძიმე სნეულებებით დაავადებულთა ოჯახებიდან გამოსული თაობები და პლუს ეს გაუსაძლისი, დაუმარცხებელი სიღატაკე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის უმთავრესი სატკივარია, მაგრამ ვერა და ვერ დავძლიეთ... ყოველივე ეს მძიმე კვალს ტოვებს ახალი თაობების მენტალურ და კოგნიტურ განვითარებაში. საქართველოს ბევრ სკოლაში კურსდამთავრებულები უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ ტრადიციული გამოსამშვიდობებელი ღონისძიებების ორგანიზებას. უამრავი საჭირო რესურსი ხელმიუწვდომელია მოსწავლისთვის, მშობლისა და მასწავლებლისთვის. ვინაიდან სკოლის სახელმწიფო დაფინანსება გამორიცხავს გასვლითი, შემეცნებითი, კლასგარეშე სასწავლო აქტივობების დაფინანსებას, ხშირად მშობლები თავს იკავებენ დამრიგებლის მიერ შეთავაზებული ერთობლივი ინიციატივების ხორცშესხმისგან, რადგან საამისო სახსრების მოძიება ყველას არ შეუძლია. ძნელია კლასის დაინტერესება საგაკვეთილო პროცესში, ვინაიდან მასწავლებელი მოკლებულია რესურსებს. ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების ეფექტურად სასწავლებლად სკოლების უმრავლესობას არ მოეპოვება შესაბამისი ლაბორატორიები და ინსტრუმენტები, ჰუმანიტარული საგნების მასწავლებლებს ხელი არ მიუწვდებათ მასალის ბეჭდვასა და საგაკვეთილო პროცესში ისტ-ის ჩართვაზე, უცხო ენების მასწავლებლებს, მოსაწყენი სახელმძღვანელოს გარდა, სხვა რესურსების მოძიება და შეთავაზება უძნელდებათ. ამ დროს მოსწავლეს ხელთ უპყრია მობილური ტელეფონი, რომელშიც უამრავი თამაში და გასართობი პროგრამაა, ინტერნეტში ნავიგაცია, სოციალურ ქსელში ვირტუალური კომუნიკაციებით საინტერესო თავგადასავლებში გადაშვება შეუძლია. ცხადია, ის უარს ამბობს დამღლელ და მოსაწყენ სწავლაზე და ირჩევს ტელეფონით თვითგანვითარებას, რასაც უამრავი ხარვეზი და პრობლემა ახლავს და მასწავლებელი ხშირად უძლურია მასთან. ამბობენ, რომ საფრანგეთის



> შემოქმედებითობა და თანამშრომლობა ორმხრივი ურთიერთობის პროდუქტებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ტოლერანტობა, მიმღებლობა, თანასწორობა, პასუხისმგებლობა, კეთილგანწყობა, სოციალური თანაღმობის უნარები, რასაკვირველია, სკოლაშიც გამოუმუშავდება ბავშვს, მაგრამ აქ გადამწყვეტია ოჯახის როლი და თავად მოსწავლის პიროვნული ფსიქოემოციური ფონიც.

პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს გასულ წელს თავის საპრეზიდენტო პროგრამაში შეტანილი ჰქონდა სკოლებში სასწავლო პროცესიდან მობილური ტელეფონების ამოღება. არ ვიცი, ეს რამდენად ძნელად განსახორციელებელია, მაგრამ თუ ამას ჩვენს საჯარო სკოლებში ვერ მივხედეთ, ნაყოფიერი და შემეცნებითი გაკვეთილების ჩატარება სულ უფრო და უფრო გაძნელდება.

სასწავლო წლის დასაწყისში სადამრიგებლო პროგრამებში დამრიგებლები უამრავ აქტივობას გავწერთ ხოლმე, მაგრამ ზოგი მათგანის აღსრულება გვიძნელდება. აი, კლასის საათებს კი უსათუოდ ვატარებთ, რომ სააღმზრდელო ნაწილში ჩავარდნები არ გვქონდეს, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი სასურველი ღირებულებების მოსწავლეთათვის ორგანულ ფასეულობებად ქცევა მაინც პრობლემაა.

აი, სოციალურ ქსელში პორტალ „დეილი სოუშელის“ (DailySocial) მიერ გავრცელებული ვიდეოს ბმული (https://www.facebook.com/DailySocial7/videos/467619073627500/), სადაც იაპონური სკოლის მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაა ასახული. როცა მოსწავლისთვის სკოლა იქცევა მშობლიურ გარემოდ, სახლად, რომელზე მზრუნველობის პასუხისმგებლობა მასაც ეკისრება, ის ჰარმონიულად გამოიმუშავებს მრავალმხრივ უნარებს: სუფთა გარემოს ორგანიზება, სკოლის როგორც პატივსაცემი ინსტიტუციის ქონების გაფრთხილება, სახელმწიფოებრივი აზროვნება, შრომისმოყვარეობა, ხელმარჯვეობა და მოქნილობა,

თანამშრომლობა... დასანანია, რომ მშობელთა ნაწილი სასკოლო გარემოზე მოსწავლის ზრუნვის ვალდებულებას აპროტესტებს. როცა მოგვითხოვია საკლასო ოთახის მოწესრიგება გაკვეთილების შემდეგ, ხშირად გამიგონია მშობლის პროტესტი: „ჩემი შვილი აქ დამლაგებელი რატომ უნდა იყოს?", „სახლში არ ვაკეთებინებ არაფერს!", „სკოლას დამლაგებლები არ ჰყავს?" ამგვარი მიდგომის შედეგია ის, რომ ჩვენი შენობების კედლები, მიწისქვეშა გადასასვლელები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სავარძლები ასეთი დაზიანებული, დაფლეთილ-დაჯღაბნილი და ამორტიზებულია, ქუჩები და სკვერები – დაბინძურებული. მეზობელი აზერბაიჯანის დედაქალაქში რამდენიმე თვის წინ ვიზიტის დროს ამ მხრივ საქართველოსგან რადიკალურად განსხვავებულმა ვითარებამ, ცოტა არ იყოს, შურით ამავსო. ხომ შეიძლება, სასიკეთო გამოცდილება ოდესმე მაინც გავიზიაროთ და ჩვენც დავნერგოთ?

რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლების, თვითრეალიზაციის, ჯანსაღი კოგნიტიური განვითარებისა და მოტივაციის ღირებულებებს, ისინი სკოლამ უნდა გაუღვივოს მოსწავლეს. შემოქმედებითობა და თანამშრომლობა ორმხრივი ურთიერთობის პროდუქტებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ტოლერანტობა, მიმღებლობა, თანასწორობა, პასუხისმგებლობა, კეთილგანწყობა, სოციალური თანალმობის უნარები, რასაკვირველია, სკოლაშიც გამოუმუშავდება ბავშვს, მაგრამ აქ გადამწყვეტია ოჯახის როლი და თავად მოსწავლის პიროვნული ფსიქოემოციური ფონიც.

ჩვენს სკოლებში (კერძო სექტორშიც და საჯაროშიც) ხშირად ვხვდებით სამწუხარო რეალობას, როცა კლასი გვევლინება არშემდგარ კოლექტივად. საკმარისია, სათითაოდ მიუახლოვდეთ მოსწავლეებს, რომ ყველაში დაინახავთ უნიკალურ, ნიჭიერ, გონიერ, საინტერესო ადამიანს, მაგრამ კლასი რატომღაც მოწყვეტილია ჯანსაღი განვითარების მიმართულებას, რაც ღირებულებათა დევალვაციითაა გამოწვეული. თავის დროზე სწავლა-სწავლების აქტორებმა – სკოლამ, ოჯახმა და სოციუმმა არ იზრუნეს დეკლარირებული ღირებულებების საკლასო გარემოში იმპლემენტაციაზე, რის გარეშეც ჰარმონიული საზოგადოების ჩამოყალიბება და განვითარება შეუძლებელია. ამიტომაც ვხვდებით საკლასო გარემოში დამსხვრეულ პერსონებს, რომლებსაც გაქცევა, საკლასო სიტუაციებიდან გარიდება უნდათ. მოსწავლე პასიურია ყველა ახალ აქტივობაში, წლების განმავლობაში ვერ ხერხდება ერთობლივი საკლასო ღონისძიებების ორგანიზება. ბავშვებს ნდობა აქვთ დაკარგული სკოლის, მასწავლებლებისა და ერთმანეთისადმი, ხოლო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი ხშირად მათ სტიგმატიზებას ეწევიან. „ცუდი კლასი", „აუტანელი კლასი", „იქ ვერ ვატარებ გაკვეთილს", „ყველა უვიცია და არავის არაფრის გაკეთება არ უნდა", „არ უნდათ სწავლა და მასწავლებელი უძლურია", - იშვიათად, მაგრამ მაინც მოჰკრავთ ყურს ჩვენს სკოლებში მსგავს სიტყვებს. თავის მართლება იმით, რომ ამდენნაირი ფსიქოლოგიური პრობლემა მოსწავლეებში ადრე არ იყო და შეუძლებელია ამასთან გამკლავება, ვერ გვიშველის.

გამოსავალი ერთია: დამრიგებლის პასუხისმგებლობა მძიმე და დამღლელია, ანაზღაურება - დაბალი, მაგრამ ღირებულებათა გარშემო კლასის გაერთიანებით და სწორად შერჩეული საკლასო-სადამრიგებლო აქტივობებით თავისუფლად შეიძლება ჩვენი კლასების ქცევა იმად, რასაც კანონები, მისიები და დეკლარირებული დოკუმენტები სასურველ რეალობად ან მისაღწევ შედეგად გვიხატავენ.

ნათია ფურცელაძე

როცა მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად კითხულობენ

უაღრესად მნიშვნელოვანია, ბავშვებს ჰყავდეთ მოდელი მოწიფული ადამიანისა, რომელსაც უყვარს კითხვა. სასურველია, ეს იყოს, უპირველეს ყოვლისა, მშობელი და მასწავლებელი.

თამარ კერძაია, მარინე ჯაფარიძე,
კვლევა – კითხვის ინტერესები 13-17 წლის მოზარდებში, 2012

> მთავარია, წიგნი ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შევარჩიოთ და კითხვის მსურველი პედაგოგები შემოვიკრიბოთ. მოსწავლეები უზომოდ გაიხარებენ, როცა გაიგებენ, რომ მასწავლებლები მათთვის და მათთან ერთად კითხულობენ.

როდის კითხულობენ მოსწავლეები?

მაშინ, როცა მათი მასწავლებლებიც კითხულობენ.

ეს არაა ამ შეკითხვის ერთადერთი სწორი პასუხი, თუმცა ერთ-ერთი ნამდვილად არის.

მასწავლებლობა რომ დავიწყე, ჩემი მთავარი მიზანი იყო, მოსწავლეებისთვის კითხვა შემეყვარებინა, მინდოდა, თავისუფალ მოაზროვნეებად ჩამოყალიბებულიყვნენ და ყოველი წაკითხული წიგნი მათთვის გამოცდილებად ქცეულიყო. მალევე მივხვდი, რომ მხოლოდ საზაფხულო საკითხავის სიის შედგენით ან სარეკომენდაციო ლიტერატურის შეთავაზებით ამას ვერ შევძლებდი - მეც მოსწავლეებთან ერთად უნდა მეკითხა. ვკითხულობდი იმას, რაც მათ მოსწონდათ და კითხულობდნენ იმას, რასაც ვურჩევდი. ამან ძალიან დაგვაახლოვა და ლიტერატურამ ერთმანეთი უკეთ გაგვაცნო. ვფიქრობ, როცა მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად კითხულობენ, მათი ცხოვრება უფრო შინაარსიანი ხდება.

მიუხედავად ამისა, წიგნით დაინტერესება ადვილი არ არის. ყოველ ჯერზე საჭიროა სიახლეები და მოტივაცია კითხვისთვის.

ცოტა ხნის წინ მეშვიდეკლასელებს ჯინ ვებსტერის „გრძელფეხება მამილო“ შევთავაზე წასაკითხად. წიგნი რამდენიმე ნიშნით შევარჩიე:

1. მოსწავლეები ხშირად მეკითხებოდნენ, რომელი იყო ჩემი ბავშვობის უსაყვარლესი წიგნი და გადავწყვიტე, გამეცნო მათთვის;
2. „გრძელფეხება მამილო“, გარდა იმისა, რომ სასიამოვნო საკითხავია, სასწავლო რესურსადაც შეგვიძლია გამოვიყენოთ. ორენოვანია - ტექსტი დაბეჭდილია ქართულ და ინგლისურ ენებზე და ერთვის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. ის გვეხმარება არა მხოლოდ წიგნიერების, არამედ მრავალენობრივი კომპეტენციების გამომუშავებაშიც.
3. მას შემდეგ, რაც ბავშვები ამ წიგნს წაიკითხავდნენ, ინტეგრირებული შემეცნებითი თამაშის ჩატარება მოვინდომე.

ვიდრე მოსწავლეებს „გრძელფეხება მამილოს“ წარვუდგენდი, ჩემს კოლეგებს გავაცანი იდეა და შევთავაზე, თუ მოისურვებდნენ, წაგვეკითხა ეს წიგნი ბავშვებთან ერთად, დაგვეგეგმა და ჩაგვეტარებინა ინტეგრირებული თამაში, ლიტერატურულ კლუბში მოგვეწყო შეხვედრა, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შთაბეჭდილებები ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა.

ვვარაუდობდი, რომ მხოლოდ ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები შემოგვიერთდებოდნენ, რადგან წიგნი ორენოვანი იყო, თუმცა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა – მოსწავლეებთან ერთად „გრძელფეხება მამილოს“ წაკითხვა მოისურვეს ქართულის, მათემატიკის, ინგლისურის, რუსულის, ბუნებისმეტყველების, ისტორიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებმა.

ბავშვებმა ამის შესახებ რომ შეიტყვეს, მათი კითხვის ინტერესი და მოტივაცია, ცხადია, გაიზარდა. აქამდე მათ ჰქონდათ ერთ მასწავლებელთან ან კლასის დამრიგებელთან ერთად კითხვის გამოცდილება, მაგრამ მსგავსი რამ ნებისმიერი ჩვენგანისთვის უჩვეულო იყო.

მოსწავლეებმა დაიწყეს კითხვა. დავიწყეთ ჩვენც. ეს პროცესი უფრო შთამბეჭდავი რომ ყოფილიყო, გადავწყვიტეთ, ყველა მასწავლებელს ერთი წიგნიდან წაგვეკითხა. „გრძელფეხება მამილო“ ხელიდან ხელში გადადიოდა, ვიწერდით ნებისმიერ აზრს, რომლებიც კითხვის დროს გვიჩნდებოდა ან ინტეგრირებული თამაშის ჩასატარებლად


ამ ბოლო დროს სწავლის თაობაზე არაფერი მოძიებული, თუმცაღა იგი კვლავინდებურად ჩვენი ყოველღიური განუყრელი თანამგზავრია. თავისებური დასვენებაა ჩემთვის, როცა სხვა საკითხებზე, საერთოდ, ცხოვრებაზე ვმსჯელობ შენთან. მართალია, ეს დისკუსია ცალმხრივ ხასიათს ატარებს, მაგრამ დამნაშავე შენ ხარ. როდესაც მოგესურვება, ყოველთვის შეგიძლია, შემეხმიანო. „ცალმხრივი დისკუსია“ :)

ამ წერილს უკვე მესამე დღეა, ვწერ და მეშინია, რომ vous étes bien[46] შეგაწყინე თავი.

მშვიდობით, მშვენიერო მისტერ ადამიანო!

ჯუდი.

მისტერ გრძელფეხება მამილო სმით!

გამოგვადგებოდა. კომუნიკაციაც უფრო ეფექტური გახდა.

წიგნმა გაგვაერთიანა და უფრო საინტერესო გახადა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. საოცარი პასუხისმგებლობა ვიგრძენით. ვეცნობოდით ერთმანეთის მინაწერებს და გვაინტერესებდა, რას ფიქრობდნენ მოსწავლეები ამა თუ იმ ეპიზოდის შესახებ, ვცდილობდით, მათი თვალითაც წაგვეკითხა.

მოსწავლეებთან ერთად კითხვამ ახალი იდეები გაგვიჩინა:

1. წერილების დაფა

მოვინდომე, სამასწავლებლოში წერილების დაფა გაგვეკეთებინა და პედაგოგებს ერთმანეთისთვის მიგვეწერა. ეს სამომავლო, შორეული სურვილი მეგონა.



ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ერთ დილას სამასწავლებლოში შესულს მათემატიკის მასწავლებლის ყვითელი წერილი დამხვდა. ჩემი კოლეგა შთაბეჭდილებებს მიზიარებდა და მწერდა, როგორ შეიძლებოდა ამ ტექსტის გამოყენება მათემატიკის სწავლების დროს.

2. ილუსტრაციები

ხელოვნების მასწავლებელმა „გრძელფეხება მამილოს“ კითხვის პროცესში ხატვა დაიწყო და ასე გადმოსცა თავისი ემოციები. ბუნებრივია, ეს ილუსტრაციებიც ინტეგრირებული თამაშის ელემენტებად მოვიაზრეთ. მკითხველებმა უნდა გამოიცნონ, რომელი ეპიზოდია დახატული.



3. დავალებები

მოვიფიქრეთ განსხვავებული დავალებები, დავგეგმეთ და ჩავატარეთ გაკვეთილები „გრძელფეხება მამილოს“ თემატიკის გათვალისწინებით. ამან, ერთი მხრივ, გაამრავალფეროვნა სასწავლო რუტინა, მეორე მხრივ, კი ბავშვებმა პრაქტიკულად დაინახეს მასწავლებლების ჩართულობა, პასუხისმგებლობაც მოემატათ და მეტად ჩაუღრმავდნენ ტექსტს.



2 აპრილი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ნამდვილი ნ ა დ ი რ ი ვარ.

გეხვეწები, დაივიწყე ის საშინელი წერილი, წინა კვირას რომ მოგწერე. იმ ღამეს სიმარტოვეს ვგრძნობდი და ძალიან უბედური ვიყავი. თან ყელიც მტკიოდა. ანგინა, გრიპი და ათასი რამ ერთად შემეყარა. ახლა საავადმყოფოში ვწევარ. უკვე ექვსი დღეა, აქა ვარ. დღეს პირველად დამრთეს წამოვჯდომის ნება და მაშინვე კალამს და ქაღალდს ვტაცე ხელი. უფროსი ძიძა ძალიან ბრაზობს, მაგრამ ვეღარ ვითმენ, რომ არ მოგწერო. ეს დღეები სულ ამაზე ვფიქრობდი, რამ მომაწერინა ის წერილი. სანამ არ მაპატიებ, ვერ გამოვკეთდები.

აი, ჩემი პორტრეტი. თავი შეხვეული მაქვს და დოლბანდის ბოლოები კურდღლის ყურებივით მაქვს გამოშვერილი.



Cher[10] *მამილო, – Jambes*[11] *Longes,*

Vous etes un[12] გადასარევი ბიჭი!

Je suis tres heureuse[13] ფერმაში რომ მივდივარ, parsque je n'ai jamais[14] ვყოფილვარ ფერმაში dans ma vie[15] და მზარავს retourner chez[16] გრაიერის თავშესაფარი et[17] რეცხვა თეფშების tout l'été[18]. იქ ხიფათი მომელოდა, quelque chose affreuse[19] მოხდებოდა, parsque j'ai perdue ma humilité d'autre fois et j'ai peur[20], რომ ავფეთქდებოდი quelque jour et[21] დავამსხვრევდი ყველა ფინჯანსა და ლამბაქს dans la maison[22].

Pardon brièveté et[23] უვარგისი ქაღალდის გამო. Je ne peux pas[24] მოგწერო de mes nouvelles parseque je suis dans[25] ფრანგულის გაკვეთილზე et j'ai peur que Monsieur le Professeur[26] არ გამომიძახოს tout de suite[27].

ასეც მოხდა!

Au revoir.[28]
Je vous aime beaucoup.[29]

ჯუდი

[10] ძვირფასო.
[11] ფეხები.
[12] შენ ხარ.
[13] ძალიან ბედნიერი ვარ.
[14] ვინაიდან არასოდეს.
[15] ჩემს სიცოცხლეში.
[16] დაბრუნება.
[17] და.
[18] მთელ ზაფხულს.
[19] რაღაც საშინელება.
[20] ვინაიდან ერთხელაც მორჩილებას ვეღარ გამოვიჩენდი და ვშიშობ.
[21] რომელიმე დღეს და.
[22] იმ სახლში.
[23] მაპატიე მოკლე წერილისა და.
[24] არ შემიძლია.
[25] ახალ-ახალი ამბები, რადგან ვარ.
[26] და ვშიშობ, რომ ბ-მა პროფესორმა.
[27] ამ წუთას.
[28] ნახვამდის.



რეზიუმე (ჩვენი ინგლისური ენის მასწავლებლის საყვარელი სიტყვაა, თითქმის ყოველ წინადადებას ამ სიტყვით იწყებს) ასეთი იქნება: მადლობელი ვარ შვიდი საჩუქრისათვის. თავს ვიტყუებ, ვითომ საჩუქრები ჩემი ოჯახიდან, კალიფორნიიდან მომივიდა ყუთით. საათი – მამისაგან, პლედი – დედისაგან, სათბურა – დიდედასაგან, რომელიც მუდამ წუხს, რომ ასეთ ამინდში შეიძლება ადვილად გავცივდე. ყვითელი საწერი ქაღალდი – ჩემი ძმის – ჰარისაგან, ჩემმა დამ – იზაბელამ აბრეშუმის წინდები მაჩუქა; დიდი სუსანამ მეთიუ არნოლდის ლექსები გამომიგზავნა. ბიძია ჰარმ (პატარა ძმას ჰარი მის პატივსაცემად დაარქვეს) ლექსიკონი მომართვა; შოკოლადის გამოგზავნა უნდოდა, მაგრამ მე ლექსიკონი ვთხოვე.

საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს, მთელი ოჯახის როლი შეასრულო?

ახლა კი არდადეგების შესახებ მოგიყვები, თუ მხოლოდ ჩემი სწავლა-განათლება გაინტერესებს, როგორც ასეთი? იმედი მაქვს, აფასებ ნატიფ გამოთქმას – „როგორც ასეთი". ამ ბოლო ხანებში მიემატა ჩემს ლექსიკას.

ტეხასელ გოგონას ლეონორა ჰქვია (თითქმის ისეთივე სასაცილო სახელია, როგორიც ჯერუშა, არა?). მიყვარს, მაგრამ მთლად ისე არა, როგორც სელი მაკბრაიდი. სელისნაირად, შენ

42

4. თვითრეფლექსია

ჩვენს პრაქტიკას სხვა პოზიციიდან შევხედეთ და თვითდაკვირვების სურვილიც გაგვიჩნდა, დავინტერესდით, რომელ სიტყვას ვიყენებდით ხშირად და ვიპოვეთ კიდეც პასუხები.

გზა წიგნის კითხვის დაწყებიდან დასრულებამდე განსაკუთრებული და ემოციებით სავსე იყო. მთავარი ლიტერატურულ კლუბში გამართული შეხვედრა აღმოჩნდა. მასწავლებლებმა მოსწავლეებს ვუამბეთ, როგორ წავიკითხეთ „გრძელფეხება მამილო", რას განვიცდიდით, რამ მიიქცია ჩვენი ყურადღება და ყველაზე მნიშვნელოვანი - როგორ გვაინტერესებდა, რას ფიქრობდნენ ისინი. ბავშვებმა თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვანდეს. თითქოს ერთმანეთი თავიდან აღმოვაჩინეთ, მივხვდით, რამდენი რამ გვქონდა საერთო, რამდენი – განსხვავებული და საოცრად გვიხაროდა. საგაკვეთილო რეჟიმი ისეთი აჩქარებულია, მუდამ რაღაცის (პროგრამული მასალის) მოსწრებას ვცდილობთ და ნაკლები დრო გვრჩება სასაუბროდ, ერთმანეთის მოსასმენად. სინამდვილეში ეს ყველაზე ღირებულია.

საინტერესო იყო ისიც, რომ თითოეულმა მასწავლებელმა თავის საგანთან დაკავშირებული იპოვა წიგნში და ეს დაკვირვება გაგვიზიარა. ამან თვალსაწიერი უფრო გაგვიფართოვა, ისეთ საკითხებს მივაქციეთ ყურადღება, იქამდე რომ გამოგვრჩა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორი შედეგიანი იყო ერთად კითხვა და რამდენად მრავალმხრივია ნებისმიერი წიგნი. ახლის პოვნა ყოველთვის შეგიძლია – მთავარია, მოისურვო. განსაკუთრებით ამის დანახვა სჭირდება ბავშვს, რომელიც მკითხველად ყალიბდება – კითხვა ხომ არ არის მხოლოდ შინაარსის გაცნობა, უმთავრესი ტექსტის ინტერპრეტაცია, მისი გააზრებაა და ესეც უნდა ისწავლოს. მასწავლებელი მოდელია ბავშვისთვის და მოსწავლე, როდესაც ხედავს, როგორ კითხულობს იგი, თავადაც ითვალისწინებს მის გამოცდილებას.

> მასწავლებლობა რომ დავიწყე, ჩემი მთავარი მიზანი იყო, მოსწავლეებისთვის კითხვა შემეყვარებინა, მინდოდა, თავისუფალ მოაზროვნეებად ჩამოყალიბებულიყვნენ და ყოველი წაკითხული წიგნი მათთვის გამოცდილებად ქცეულიყო. მაღლევე მივხვდი, რომ მხოლოდ საზაფხულო საკითხავის სიის შედგენით ან სარეკომენდაციო ლიტერატურის შეთავაზებით ამას ვერ შევძლებდი – მეც მოსწავლეებთან ერთად უნდა მეკითხა.


ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც მივაღწევ, რომ ბავშვები ბედნიერები იყვნენ. ვფიქრობ, რა სიძნელეები და მწუხარებაც უნდა მოელოდეს ადამიანს, ბავშვობა მაინც უნდა ჰქონდეს ბედნიერი. მისმა მოგონებამ ადამიანს სიამე უნდა მოჰგვაროს. თუ ოდესმე შვილები მეყოლება, როგორი უბედურიც უნდა ვიყო, დარდს არ ვაგრძნობინებ, საზრუნავს არ გავუჩენ, სანამ დაიზრდებიან.

(ეკლესიის ზარია – ნეტავ, ამ წერილს თუ ეღირსება დასრულება?)

ინტეგრირებული თამაშის ჩატარებას სემესტრის ბოლოს ვგეგმავთ. მოსწავლეების ინტერესი მაღალია.

ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ იმდენად ვისიამოვნეთ ერთად კითხვით, ერთმანეთის აზრების მოსმენით, შეხედულებების გაზიარებით, რამდენიმე დღეში მეორე წიგნის კითხვას შევუდექით. ეს ორმხრივი სურვილი იყო.

მსგავსი აქტივობის განხორციელება შეუძლია ნებისმიერი საგნის მასწავლებელს. მთავარია, წიგნი ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შევარჩიოთ და კითხვის მსურველი პედაგოგები შემოვიკრიბოთ. მოსწავლეები უზომოდ გაიხარებენ, როცა გაიგებენ, რომ მასწავლებლები მათთვის და მათთან ერთად კითხულობენ.

შეიძლება ერთი დაბრკოლებაც შეგხვდეთ – პასუხად მიიღოთ, რომ ამისთვის არ სცალიათ. მაშინ შეგიძლიათ დანიელ პენაკის სიტყვები მოიშველიოთ. მისი აზრით, კითხვა სიყვარულს ჰგავს და განა შეიძლება ვთქვათ, რომ დრო არ გვაქვს სიყვარულისთვის? ასევე ვერ ვიტყვით, რომ საკითხვად არ გვცალია. უბრალოდ, ეს ჩვენი არჩევანი ან იქნება, ან არა.

სცადეთ, რაზგან...

როცა მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად კითხულობენ:

- მათი სასკოლო ცხოვრება, გაკვეთილები უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება;
- ისინი უკეთ ეცნობიან ერთმანეთს;
- გამოცდილებას იძენენ;
- ცდილობენ, ერთიმეორეს გაუგონ, უფრო ემპათიურები ხდებიან;
- ერთად კითხვით სიამოვნებას იღებენ.

შედეგების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება.

ნესტან რატიანი

როგორ გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა წერითი კომუნიკაციის უნარი – რეფლექსიები

წერითი კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად მასწავლებელმა მრავალფეროვანი დავალებები უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს. ერთ-ერთი ასეთი დავალებაა რეფლექსიების წერა. მიუხედავად იმისა, რომ რეფლექსია პირველ პირში იწერება და ნაწერი, ერთი შეხედვით, არაფორმალური ხასიათისაა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსწავლე აკადემიურ ჩარჩოებს უნდა გასცდეს. თუმცა, თუ ჩარჩოების გარღვევა კრეატიულად მოხდა, გადაცდენა მისასალმებელიც კი იქნება. ეს ყველაფერი მასწავლებლის შესაფასებელია; მან უნდა უთხრას მოსწავლეებს, როგორი რეფლექსია იქნება მისთვის მისაღები და ჩაეთვლება თუ არა მოსწავლეს ყოველგვარი ტიპის რეფლექსია შესრულებულ დავალებად.

როდესაც სიტყვა „შეფასებას“ ვხმარობ, არ ვგულისხობ იმას, რომ მასწავლებელი რეფლექსიებს ნიშნით უნდა აფასებდეს. ამის საჭიროება ნამდვილად არ არსებობს. რეფლექსიის წერა მოსწავლისთვისაც სახალისო უნდა იყოს და მასწავლებელიც არ უნდა იკიდებდეს დამატებით ტვირთს კლასში ამ კომპონენტის შემოტანით. კარგი იქნება, თუ თითო მოსწავლე სემესტრში ერთ რეფლექსიას მაინც დაწერს. ეს მას დაეხმარება, იყოს თანმიმდევრული, არ გამორჩეს დეტალები, ჩაუღრმავდეს საკუთარ სისუსტეებს და გააანალიზოს ძლიერი მხარეები.

რაზე დავაწერინოთ რეფლექსია? გაგიზიარებთ ჩემს გამოცდილებას, რომელმაც ძალიან გაამართლა.

სანამ რეფლექსიას დაწერდეს, კარგი იქნება, თუ მოსწავლეს ვთხოვთ, მოახდინოს დისკუსიის ინიცირება (ერთი შესწავლილი ტექსტი და ერთი ან მეტი დისკუსია, გააჩნია, რომელი ტექსტისთვის რამდენი საათია გამოყოფილი და რამდენად იძლევა რამდენიმე დისკუსიის ჩატარების საშუალებას ერთი ტექსტი. თუ ის ვრცელია, ოთხი დისკუსია სავსებით მისაღებია; თუ მხოლოდ ერთი ლექსია, ცხადია, მოსწავლის მიერ ინიცირებულ დისკუსიაზე საუბარიც კი ზედმეტია). ასეთ დროს მოსწავლე დროებით ითავსებს მასწავლებლის როლს.

მოსწავლე აუცილებლად წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ, რომ კლასში მომზადებული მოვიდეს. მან სახლში იმ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება უნდა შეძლოს, რომელიც განსაკუთრებულს გახდის მის მიერ ინიცირებულ დისკუსიას. ჩვენ, მასწავლებლებს, ამ დროს ერთადერთი როლი გვეკისრება – დავეხმაროთ მოსწავლეებს სანდო ინფორმაციის მოძიებაში, შევაფასოთ, სწორ გზაზე დგანან თუ არა, საჭიროების შემთხვევაში დავუსახელოთ წყაროები, დამხმარე ლიტერატურა, რომელსაც უნდა დაეყრდნონ, ინტერნეტრესურსები და ა.შ.

როგორ ხდება დისკუსიის ინიცირება? როდესაც ნაწარმოებს გავდივართ, სხვადასხვა საკითხია ასახსნელი. ამ საკითხთა შორისაა მწერლის ბიოგრაფია, ეპოქის მიმოხილვა, კულტურული და სოციალური ასპექტები, მხატვრული სახეები, სტილებრივი და ენობრივი სპეციფიკა, ჟანრული თავისებურებანი. არ არის აუცილებელი, დისკუსიის ინიცირება მხოლოდ ერთმა მოსწავლემ მოახდინოს – ინიცირებული დისკუსიის მოთავე ერთდროულად ორი, სამი ან ოთხი მოსწავლეც შეიძლება იყოს, გააჩნია, რა თემაა განსახილველი, რამდენად შესაძლებელია ერთი დისკუსიის ფარგლებში მისი დანაწევრება მცირე ნაწილებად და რამდენად აჯობებს თემის დაყოფა საკითხის შესასწავლად.

> კონტექსტის გასაგებად ხშირად სწორ მიმართულებას გვაძლევს მწერლის ბიოგრაფიისა და ეპოქის შესწავლა, ასევე – კულტურული და სოციალური ასპექტების შესახებ საკმარისი ინფორმაციის მიღება.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ვასწავლით მიხეილ ჯავახიშვილის რომანს „ჯაყოს ხიზნები“. ამ ნაწარმოებზე მოსწავლეებს მრავალფეროვანი დისკუსიის ინიცირება შეუძლიათ. მაგრამ მოსწავლეები უნდა მივაჩვიოთ მთავარს – იყვნენ თანმიმდევრულნი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ, როდესაც, მაგალითად, საუბარია მხატვრულ სახეებზე, ბოლომდე ამოწურონ საკითხი და ერთიდან მეორეზე არ გადახტნენ.

გთავაზობთ სხვადასხვა სტრატეგიას, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია დისკუსიის ინიცირება:

1. მოსწავლემ მოიძიოს და შეარჩიოს ფილმი (უფრო ზუსტად, ფილმის ერთი მონაკვეთი), რომელიც, მისი აზრით, სათავეს დაუდებს ისეთ დისკუსიას, რომელიც, თავის მხრივ, დაეხმარება თანაკლასელებს ტექსტის, ნაწარმოების რომელიმე ეპიზოდის, მწერლის მიერ წამოჭრილი აქტუალური პრობლემის, სოციალური ან კულტურული ფონის უკეთ გაგებაში, მწერლის სათქმელის ამოცნობაში. მედიუმის როლის მორგება შეუძლია სხვა ვიზუალურ მასალასაც. „ჯაყოს ხიზნების“ შესწავლისას მოსწავლეს შეუძლია აჩვენოს ის კადრი ფილმიდან „ფრანით მორბენალი“, როცა ამირი ჭუჭრუტანიდან უყურებს, როგორ აუპატიურებენ ჰასანს ასეფი და მისი თანამზრახველები. დისკუსიამ, რომელიც მოჰყვება ამ კადრს, მოსწავლეებს უნდა ამოაცნობინოს მწერლის სათქმელი. რა სათქმელია ეს? მოსწავლე, რომლის ინიცირებულიცაა დისკუსია, უხსნის თანაკლასელებს, რომ ასეფი მომავალში თალიბანის აქტივისტი გახდება, თალიბანი კი ანგრევს და მიწასთან ასწორებს ავღანეთს, წელში ტეხს მოსახლეობას, ყველანაირად ძალადობს საკუთარ ქვეყანასა და ხალხზე. ასეფი თალიბანის სიმბოლოა, ჰაზარა ჰასანი – ავღანეთი, ხოლო ამირი – ავღანელი ხალხი. ხალიდ ჰოსეინისთვის სამშობლო პატარა ბიჭია, რომელსაც მეგობარი/ძმა ვერ იცავს. ამ დისკუსიის ინიცირებისთვის მოსწავლეს მომზადებული უნდა ჰქონდეს ამონარიდი ჰომეროსის პოემის მეექვსე სიმღერიდან, რომელიც აჩვენებს, რომ ჰომეროსის „ილიადაშიც“ ჰექტორის სიკვდილი გაიგივებულია ტროას დაცემასთან. შესაბამისად, სხვადასხვა კულტურაში სამშობლო ხან მდედრობითი სქესისაა (მადლობა ჩემს კოლეგას, რომელმაც ამ დისკუსიის ინიცირების პროცესში მომაწოდა იდეა, მოსწავლისთვის მერჩია ირაკლი თოიძის პლაკატი „დედასამშობლო გვიხმობს!“), ხანაც – მამრობითის, ხოლო მას ვერ იცავს ხან მეუღლე, ხან ძმა, ხანაც დედა (ნაბოკოვის „ლოლიტა“, რომლის ერთ-ერთი წაკითხვაც [ნაბოკოვი წინააღმდეგია ალეგორიებისთვის ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭებისა] გულისხმობს იმას, რომ ლოლიტა ავტორის ბავშვობის დროინდელი რუსეთია, რომელსაც ვერ იცავს დედა და რომელზეც ძალადობს ჰუმბერტ ჰუმბერტი). ჩემი მოსწავლეების მიერ ინიცირებული ეს დისკუსია ძალიან წარმატებული აღმოჩნდა ნაწარმოების შესწავლისას. ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლეებს თუთიყუშებივით ემეორებინათ, მარგო საქართველოა, ჯაყო – ოკუპანტი და თეიმურაზი – ქართველი ხალხიო, ისინი თავად მივიდნენ ამ დასკვნამდე. დისკუსიის დროს „უბის წიგნაკის ჩანაწერებიც“ ძალიან დაგვეხმარა.

2. საქმე ისაა, რომ სკოლაში ორ შეწყვილებულ გაკვეთილს ვატარებ და თითქმის ორი საათი საკმარისი დროა კარგი დისკუსიის სრულფასოვნად ჩასატარებლად. თუ ეს დრო არ გაქვთ, მაშინ მოსწავლემ შეიძლება წარმოადგინოს „ჯაყოს ხიზნების“ ყდის რამდენიმე ფოტო (ადვილად იძებნება ინტერნეტში) და სთხოვოს თანაკლასელებს ილუსტრაციების ანალიზი. შეუძლებელია, მოსწავლეები ვერ ჩასწვდნენ არსს და ვერ ამოიცნონ მწერლის სათქმელი ილუსტრაციების მეშვეობით.

3. კონტექსტის გასაგებად ხშირად სწორ მიმართულებას გვაძლევს მწერლის ბიოგრაფიისა და ეპოქის შესწავლა, ასევე – კულტურული და სოციალური ასპექტების შესახებ საკმარისი ინფორმაციის მიღება. თუ არც ერთი ასპექტის შესწავლა არ უწყობს ხელს ნაწარმოების იდეის

> წერითი კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად მასწავლებელმა მრავალფეროვანი დავალებები უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს. ერთ-ერთი ასეთი დავალებაა რეფლექსიების წერა. მიუხედავად იმისა, რომ რეფლექსია პირველ პირში იწერება და ნაწერი, ერთი შეხედვით, არაფორმალური ხასიათისაა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსწავლე აკადემიურ ჩარჩოებს უნდა გასცდეს.

სწორად გახსნას, დისკუსია წარუმატებელი იქნება. ინიცირებული დისკუსიის მიზანი ის არის, რომ მოსწავლეებმა დამატებითი რესურსის დახმარებით შეძლონ ნაწარმოების გაგება. თუ რესურსები ნაწარმოების იდეისა და მწერლის სათქმელის გაგებაში არ გვეხმარება, დისკუსიას აზრი არ აქვს. ინიცირებული დისკუსიის ჩატარებამდე რამდენიმე ხნით ადრე მოსწავლე უნდა დაუკავშირდეს მასწავლებელს, რომ ამ უკანასკნელმა შეძლოს მისი სწორ გზაზე დაყენება, მითითებების მიცემა და, რაც მთავარია, დისკუსიის მიზნის გამოკვეთაში დაეხმაროს. რა და როგორ – ეს თავად მოსწავლემ უნდა მოიფიქროს. მასწავლებელმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯგუფის მიერ დისკუსიის ინიცირებისას ერთი მოსწავლე არ იყოს ლოკომოტივი, ჯგუფის დანარჩენი წევრები კი – მატარებლის მგზავრები. ჯგუფის ყველა წევრს თანაბარი წვლილი უნდა შეჰქონდეს ინიცირებული თემის მომზადებაში, თუნდაც კლასში მათი როლი ჯეროვნად არ წარმოჩნდეს. მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებიდან კონკრეტული ეპიზოდების გახსენება კარგი იქნება დისკუსიის ინიცირებისთვის. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ეპოქის დამახასიათებელი იმ ნიშნების გამოკვეთა, რომლებსაც რომანშიც ვხვდებით, მაგალითად, ნაშინდარის დაკავშირება დამოუკიდებელი საქართველოს დროშის ფერთან ან დასავლეთის როლზე (1924 წლის აჯანყებულთა მოლოდინი, რომ მათ დასავლეთი დაეხმარებოდა), რომელიც რომანში ორჯერ აისახა (მაგალითად, იქ, სადაც პერსონაჟი გასცქერის დასავლეთს. ცხადია, დასავლეთი აქ ტყუილად არ არის ნახსენები, ისევე როგორც ზაფხული, როცა მოქმედება მიმდინარეობს).

4. ხანდახან მოსწავლეებს დისკუსიის ინიცირებისთვის არ სჭირდებათ ვიზუალური მასალა. საკმარისია კარგი კითხვების მოფიქრება, რომლებიც მიმართულებას მისცემს დისკუსიას. ასეთი კითხვების მომზადებას მაინც ბევრი დრო სჭირდება, რადგან მოსწავლე მზად უნდა იყოს თანაკლასელთა ნებისმიერი პასუხისთვის, უნდა იცოდეს, რა შემთხვევაში რა კითხვა დასვას და როგორ გაართვას თავი მოდერირების პროცესს – მან ხომ უნდა მოახერხოს, რომ მისი გაკვეთილი არ გადაიზარდოს ჩხუბში და არ გასცდეს აკადემიურობის ფარგლებს. შესაძლოა, მოსწავლემ მოინდომოს და დრო დაუთმოს იმ საკითხების განხილვასაც, რომლებიც კარგად ვერ გაიგო და ჰგონია, რომ დისკუსია საუკეთესოდ დაეხმარება მათ გარკვევაში.

მოსწავლის მიერ ინიცირებული დისკუსიისას ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ მეც, მასწავლებელიც, ისევე ვმონაწილეობ მასში, როგორც მოსწავლეები, თუ ამის სურვილს დისკუსიის ინიციატორი გამოთქვამს. თუ მას ეს არ უნდა, ჩვეულებრივ დამკვირვებლად ვრჩები.

მთავარი, რისთვისაც ეს დისკუსიები გვჭირდება, მაინც ის არის, რომ მოსწავლემ ან მოსწავლეებმა, რომლებმაც დისკუსია მოაწყვეს, შემდეგ რეფლექსია უნდა დაწერონ. აღწერონ, როგორ წარიმართა გაკვეთილი, ასრულდა თუ არა მათი ჩანაფიქრი, მიაღწიეს თუ არა დასახულ მიზანს. ეს რეფლექსია, სულ ცოტა, 500-სიტყვიანი უნდა იყოს (თითო მოსწავლემ თითო რეფლექსია უნდა დაწეროს მაშინაც, როცა დისკუსია ჯგუფის მიერ არის ინიცირებული; რეფლექსია არ უნდა იყოს საერთო, რადგან საბოლოო მიზანი მაინც წერითი კომუნიკაციის უნარის განვითარებაა). აუცილებელია, მოსწავლემ ობიექტურად გააანალიზოს დისკუსიის სუსტი და ძლიერი მხარეები. მოსწავლეებმა რეფლექსია მხოლოდ სხვების პასუხებზე კი არ უნდა ააგონ, არამედ უნდა წარმოადგინონ საკუთარი გეგმები და მიზნები. სანამ რეფლექსიის წერას დაიწყებენ, მათ გააზრებული უნდა ჰქონდეთ, რომ რამდენიმე კითხვას უნდა გასცენ პასუხი: რომელი თემის ინიცირება მოხდა და როგორ დაეხმარათ შეთავაზებული რესურსი საკითხის გააზრებისას; თავიდან რომ ჰქონდეთ ჩასატარებელი დისკუსია, რას შეცვლიდნენ; რა გამოუვიდათ ყველაზე უკეთ და რას ვერ გაართვეს თავი. ასევე პასუხი უნდა გასცენ კითხვას - რა არ იცოდნენ, რა არ ესმოდათ და რა გაიგეს უკეთ დისკუსიის შემდეგ. რეფლექსია არ უნდა იყოს მხოლოდ იმის აღწერა, რაც გაკვეთილზე მოხდა. ის უნდა დაეხმაროს მოსწავლეს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეების გაცნობიერებაში.

როდესაც შემაჯამებელ ნაშრომს დავაწერინებთ, მოსწავლეები უკვე მომზადებულები იქნებიან, თავი გაართვან დავალებას. მანამდე მათ საკუთარი მოსაზრებაც ჩამოუყალიბდებათ (ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი ან სხვა ავტორიტეტების აზრები თუთიყუშებივით იმეორონ), არგუმენტებიც საკმარისად ექნებათ (თანაკლასელებთან დისკუსია არგუმენტების ჩამოყალიბებისა და კონტრარგუმენტების წარმოჩენის საუკეთესო გზაა) და წერაშიც გავარჯიშებულები იქნებიან – ამაში ხომ სახელდახელო ნაწერები და რეფლექსიები დაგვეხმარება.

მოამზადა მაღინა საჯაია

ლორეა მარტინესი

სოციალურ-ემოციური სწავლების სიკეთე

SEL – სოციალურ-ემოციური სწავლება – არის პროცესი, რომლის დროსაც ბავშვები და მოზარდები იძენენ და ეფექტიანად იყენებენ ცოდნას, დამოკიდებულებას და უნარებს, რომლებიც საჭიროა ემოციების გასაგებად, პოზიტიური მიზნების განსასაზღვრად და მისაღწევად; გრძნობენ და ამჟღავნებენ ემპათიას სხვების მიმართ, ამყარებენ და ინარჩუნებენ პოზიტიურ ურთიერთობას და იღებენ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს.

> **თუ ყველა მოსწავლეს რთავთ საკლასო დისკუსიებში, სთავაზობთ პასუხისმგებლობას და არჩევანს, თბილად ეპყრობით და სათანადო მხარდაჭერასაც გამოხატავთ, სავარაუდოდ, უკვე იყენებთ SEL-ს.**

სკოლებში მუშაობისას ხშირად მესმის: „სად მცალია SEL-ისთვის, ამდენი საქმე მაქვს“. მართალია, სოციალური და ემოციური სწავლების პროგრამებისა და სერვისების წარმატებით დასანერგად მასწავლებლებმა და სკოლებმა ყველაზე ძვირფასი რესურსი - დრო უნდა გამოიყენონ. SEL-ის კურიკულუმის შესამუშავებლად, საერთო-სასკოლო აქტივობების განსახორციელებლად და პროფესიული განვითარებისთვის ასევე საჭიროა შესაბამისი მზადყოფნა და სტრატეგიული დაგეგმვა. მაგრამ ეს გულს ნუ აგიცრუებთ. მედალს მეორე მხარეც აქვს: ბევრი მასწავლებელი უკვე იყენებს სწავლების სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს, ამ მხრივ, მოსწავლეთა ზრდას. განიხილავენ თქვენი მოსწავლეები თავიანთ ნაშრომებს? აღნიშნავთ თუ არა მათ მიღწევებს? თუ ასეა, თქვენ უკვე უწყობთ ხელს მოსწავლეების სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

ეფექტიანი მასწავლებლები უკვე აკეთებენ ამას

ბევრმა მასწავლებელმა ინტუიციურად იცის, რომ მოსწავლეებთან ემოციური კავშირი მნიშვნელოვანია მათი აკადემიური, სოციალური და ემოციური ზრდისთვის. ასეთი მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეებზე, ყურადღებას აქცევენ კლიმატს საკლასო ოთახში, მოსწავლეების ჩართულობას თუ უკუკავშირს. SEL-ის სფეროში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა ის, რასაც ეფექტიანი მასწავლებლები უკვე აკეთებდნენ: სოციალური და ემოციური უნარები სწავლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

მოსწავლეებს საკლასო ოთახში მოაქვთ ემოციები სკოლისგარე ცხოვრებიდან. ისინი შესაძლოა განიცდიდნენ სტრესს ოჯახში (ვთქვათ, მშობლის მიერ სამუშაოს დაკარგვასთან დაკავშირებით), მეგობართან შელაპარაკებას. კარგი მასწავლებლები საკლასო ოთახში შესვლისთანავე ამჩნევენ, რომ მოსწავლეებს რაღაც აწუხებთ და იციან, რომ მათ მხარდაჭერა სჭირდებათ ემოციების გასანელებლად ან გასანეიტრალებლად, სანამ სასწავლო პროცესში ჩაერთვებიან.

მოსწავლეები ასევე შესაძლოა განიცდიდნენ ემოციებს, რომ-

„სოციალურ-ემოციური სწავლება არის პროცესი, რომლის დროსაც ბავშვები და მოზარდები იძენენ და ეფექტიანად იყენებენ ცოდნას, დამოკიდებულებას და უნარებს, რომლებიც საჭიროა ემოციების გასაგებად, პოზიტიური მიზნების განსასაზღვრად და მისაღწევად.

ლებიც წარმოიშობა საკლასო ოთახში და ეხება სწავლას. ამის მაგალითია წარმატების ან წარუმატებლობის განცდა, რომელიც საკლასო აქტივობებს უკავშირდება. მოსწავლეები შესაძლოა ღელავდნენ ლაბორატორიული სამუშაოს ან სახელოვნებო შეჯიბრების წინ, აშინებდეთ მათემატიკური ამოცანები ან პოეზია... კარგ მასწავლებლებს ემოციური დამოკიდებულება აქვთ იმ საგნის მიმართ, რომელსაც ასწავლიან და მრავალნაირად შეუძლიათ ამ ვნების კლასისთვის გაზიარება. მიმზიდველი გაკვეთილების დაგეგმვა შესანიშნავი გზაა სოციალური და ემოციური უნარების ჩასართავად. ჰკითხეთ თქვენს თავს: „რა მინდა იცოდნენ მოსწავლეებმა, რას მინდა გრძნობდნენ და აკეთებდნენ ისინი ამ გაკვეთილის ბოლოს?“

სწავლება SEL-ის ჭრილში

სწავლა-სწავლებაში სოციალური და ემოციური უნარების ჩართვა ნიშნავს სწავლისთვის ხელშემწყობი საკლასო გარემოს შექმნას, მაგალითად, ისეთისა, სადაც მოსწავლეები:

- აქტიურად ერთვებიან ასაკის შესაბამის სასწავლო აქტივობებში;
- უვითარდებათ ცხოვრების პოზიტიური მიზნების მისაღწევად საჭირო უნარები;
- არ ეშინიათ და გრძნობენ აკადემიურ ინტერესს;
- ურთიერთობენ მასწავლებლებსა და თანატოლებთან;
- აქვთ მიკუთვნებულობის გრძნობა.

The Center on Great Teachers & Leaders-მა გამოავლინა სწავლების 10 პრაქტიკა, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური და ემოციური უნარების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრატეგიები ხშირად გამოიყენება სკოლებში, მათ არ განიხილავენ როგორც რესურსებს მოსწავლეთა სოციალური და ემოციური კომპეტენციების განსავითარებლად. სტატიის ბოლოს სამ ასეთ სტრატეგიას შემოგთავაზებთ:



1. **დისკუსიები კლასში.** ეს პრაქტიკა მიემართება მოსწავლეთა საკომუნიკაციო უნარებს და იძლევა აკადემიურ დისკურსში ჩართვის შესაძლებლობას. საკლასო დისკუსიებში გააზრებული მონაწილეობისთვის მოსწავლეებმა ყურადღებით უნდა უსმინონ სხვებს, გამოარჩიონ მათი იდეები და თავაზიანად დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ მათ. საკლასო დისკუსია იყენებს მოსწავლეთა სოციალურ ცნობიერებასა და თვითცნობიერებას და უვითარებს მათ თანაკლასელებთან ურთიერთობის უნარს.

2. **პასუხისმგებლობა და არჩევანი.** რამდენად აძლევენ მასწავლებლები მოსწავლეებს უფლებას, მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებით? ეს შეიძლება გულისხმობდეს საკლასო ნორმებისა და პროცედურების შემუშავებას, აგრეთვე მოსწავლეებისთვის არჩევანის მიცემას იმის თაობაზე, როგორ ჩატარდეს გაკვეთილები და აქტივობები. საკლასო ოთახში არჩევანის უზრუნველყოფა მოსწავლეებს განუმტკიცებს განცდას, რომ მათი სწავლა მათ ხელთაა და უვითარებს საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღების უნარს.

3. **მასწავლებლის ენა.** მნიშვნელოვანია, როგორ ესაუბრებიან მასწავლებლები მოსწავლეებს. SEL-ის პერსპექტივით, მასწავლებლის ენამ, სითბომ და მხარდაჭერამ უნდა წაახალისოს მოსწავლეები, აკონტროლონ თავიანთი ქცევა. მასწავლებელი ძლიერი როლური მოდელია, როცა საქმე სოციალურ და ემოციურ უნარებს ეხება. მოსწავლეებს შეუძლიათ, მისგან ისწავლონ სხვისი წახალისების პოზიტიური გზები, ემპათიის გამოხატვა ან კონფლიქტების მოგვარება.

ეს სამი მაგალითი გვიჩვენებს, როგორ შეუძლია სწავლების პრაქტიკებს მოსწავლეთა სოციალური და ემოციური უნარების მხარდაჭერა და განვითარება. მომდევნო დღეებში დააკვირდით თქვენს საქმიანობას SEL-ის პერსპექტივით. რამდენად უწყობს ხელს თქვენი სწავლება მოსწავლეების SEL-ის გაუმჯობესებას? კიდევ რომელი სტრატეგიების დანერგვაა საჭირო მათი სოციალური და ემოციური უნარების განსავითარებლად?

> ბევრმა მასწავლებელმა ინტუიციურად იცის, რომ მოსწავლეებთან ემოციური კავშირი მნიშვნელოვანია მათი აკადემიური, სოციალური და ემოციური ზრდისთვის. ასეთი მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეებზე, ყურადღებას აქცევენ კლიმატს საკლასო ოთახში, მოსწავლეების ჩართულობას თუ უკუკავშირს.

წყარო: https://www.edutopia.org/blog/sel-is-good-teaching-lorea-martinez

ქეთევან კობაღაძე

მდუმარება როგორც დანაშაული

მდუმარება – ეს გულგრილობის, ინდიფერენტულობის მეორე სახელწოდებაა.
სომერსეტ მოემი

რა აიძულებს ზრდასრულ ადამიანს, გაჩუმდეს და ამით მოძალადის ნებისმიერ ჭირვეულობას შეუწყოს ხელი?

სავარაუდოდ, მკითხველების გარკვეულ ნაწილს გაუგონია ამერიკელი ფსიქოლოგის სტივენ კარპმანის „დრამატული სამკუთხედის“ შესახებ. განმარტება მათთვის, ვისაც სურს გაერკვეს, რაზეა საუბარი ფსიქოლოგის ამ თეორიაში:

კარპმანის მოსაზრებით, ნებისმიერ ადამიანს ჰქონია ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როდესაც სხვა ადამიანისთვის რამე გაუკეთებია ისე, რომ არც კი უკითხავს მისთვის, სჭირდება თუ არა ეს. გაგიკეთებიათ თუნდაც ერთხელ საკუთარი ინტერესების შესაბამისი საქმე ისე, რომ საერთოდ არ გაგითვალისწინებიათ სხვა ადამიანების ინტერესები? განგიცდიათ სიამოვნება „სამართლიანი შურისძიების“ აღსრულებით? შემთხვევით დაგვიწყებიათ ისეთი დანაპირების შესრულება, რომელსაც გულის სიღრმეში არ ეთანხმებოდით? დაგიდანაშაულებიათ სხვა ადამიანები ან გარემოებები საკუთარ წარუმატებლობაში? მიგაჩნიათ თუ არა, რომ სხვები თქვენზე მეტად იღბლიანები, წარმატებულები, ენერგიულები, მოხერხებულები არიან?

ფსიქოლოგ ალექსანდრ დიმიტრიენკოს აზრით, რომელიც კარპმანის თეორიას განიხილავს, თუ ეს კითხვები თქვენთვის ნაცნობია, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ აღმოჩნდით კარპმანის „დრამატული სამკუთხედის“ ერთ ან რამდენიმე როლში. ეს როლებია: მხსნელი, მოძალადე, მსხვერპლი. ნებისმიერ ამ როლში ყოფნის დროს თქვენ „თამაშობთ“ ფსიქოლოგიურ თამაშს. თამაში კი გარკვეულწილად წინასწარ პროგნოზირებადი შედეგით სრულდება.

თამაში – ეს არის ადამიანებს შორის რეალური ურთიერთობების ჩანაცვლება. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ყოფილა დეჟავიუს მომენტები, როდესაც გეჩვენება, რომ რაღაც მსგავსი უკვე მომხდარა, რაღაც ასეთი ადრე უკვე განგიცდია. თამაშები განსაზღვრულ სიტუაციებს განმეორებადს ხდის, თითქოს ადამიანი მოჯადოებულ წრეზე დადის. ეს ყველაფერი კი ხელს უშლის მას, ცხოვრება შეგნებულად დაგეგმოს და დასახულ მიზნებს მიაღწიოს.

კარპმანის აზრით, „ფსიქოლოგიური თამაშები“ იმგვარად მიმდინარეობს, რომ ადამიანი, რომელსაც თამაშის დასაწყისში სამიდან ერთ-ერთი როლი ჰქონდა, დროთა განმავლობაში სხვა როლში გადადის. მაგალითად, მხსნელი, რომელიც დაიღალა საკუთარი ინტერესების იგნორირების ხარჯზე სხვების დახმარებით, უკვე საკუთარ თავს აღიქვამს მსხვერპლად და საბოლოოდ იწყებს მსხვერპლის დევნას. ან მსხვერპლი იღლება მუდმივი „მფარველობით“ და იმის განცდით, რომ თავად ვერ აკონტროლებს საკუთარ ცხოვრებას და მხსნელის დევნას იწყებს. ან მოძალადე გადადის მაშველის როლში, რადგან უჩნდება დანაშაულის განცდა საკუთრი ქცევის გამო. შესაძლოა, მსხვერპლი მოძალადის როლშიც აღმოჩნდეს, რადგან ადამიანებს ზოგჯერ ბეზრდებათ მუდმივად მსხვერპლის როლში ყოფნა და იწყებენ შურისძიებას, თავად ხდებიან აგრესიულები ან გაურბიან მოძალადეს და აღარ ენდობიან მას. შესაბამისად, ყველა „მოთამაშე“, ზოგი – შედარებით ადრე, ზოგი – უფრო გვიან, ნეგატიური შეგრძნებით ასრულებს თამაშს.

> მარტოობის შიში, დაბალი თვითშეფასება აიძულებს მშობელს, ჩაებღაუჭოს პარტნიორს, განურჩევლად იმისა, ორგორია ის და რას აკეთებს. არის შემთხვევები, როდესაც „მდუმარე პიროვნება“ თვალს ხუჭავს პარტნიორის მხრიდან შვილის მიმართ განხორციელებულ ნებისმიერი სახის ძალადობაზე.

სტივენ კარპმანი ერიკ ბერნის თეორიის ერთ-ერთი გამგრძელებელია. ის აღნიშნავს, რომ „ამ თამაშის სამი დრამატული როლი – მხსნელი, მოძალადე, მსხვერპლი – სინამდვილეში რეალური ცხოვრების მელოდრამატული გამარტივებაა. ცხოვრებაში ადამიანი საკუთარ თავს ხედავს მადლიერი ან უმადური მსხვერპლის კეთილ მხსნელად, უღირსი ადამიანების სამართლიან მდევრად და დაუნდობელი მდევრის უსამართლო მსხვერპლად“.

მკითხველი, სავარაუდოდ, გაერკვა კარპმანის სამკუთხედის არსში. ახლა – კიდევ ერთი სამკუთხედის შესახებ, რომელზეც რუსი ფსიქოლოგი ირინა სალავიოვა საუბრობს და რომელიც უფრო მეტად ოჯახში ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს ეხება.

მსხვერპლი – მოძალადე – მდუმარე პიროვნება

ნათელია, რომ ამ სქემაში არ მონაწილეობს მაშველი. ის მდუმარე პიროვნებამ ჩაანაცვლა, რომელიც არაფერში ერევა. ის ირჩევს მდუმარე პიროვნების როლს ან სულაც ყველაფრის იგნორირებას ამჯობინებს. მისთვის სულერთია, რა ურთიერთობები ჩამოყალიბდება ბავშვებსა და უფროსებს შორის. მდუმარე პიროვნება არასოდეს დაიცავს მსხვერპლს, არ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას, არ ჩაერევა არც მაშინ, როცა მსხვერპლს ფიზიკური ძალადობის საფრთხე ემუქრება.

არავისთვის იქნება მოულოდნელი, თუ ვიტყვით, რომ „მდუმარე პიროვნება“ უფრო ხშირად დისფუნქციურ ოჯახებში გვხვდება. მსგავსი ოჯახებისთვის უსამართლობა, ფსიქოლოგიური და ემოციური ძალადობა, დაუმსახურებელი სასჯელი, გაუმართლებელი, რუტინული წესები, დამცირება უცხო არ არის. „მდუმარე პიროვნება“ ყველაზე კომფორტულ პოზიციას იკავებს – მას ხომ არაფრის გაკეთება არ უწევს.

საფრთხის შემცველი მდუმარება

სამკუთხედი – **მსხვერპლი – მოძალადე – მდუმარე პიროვნება** – ხშირად ვლინდება ბავშვებისა და მშობლების ურთიერთობისას. ერთ-ერთი მშობელი ბავშვის მიმართ „მოძალადის“ როლშია. შესაბამისად, ბავშვი მსხვერპლის როლში აღმოჩნდება. ამავე დროს მოძალადე მთელ პასუხისმგებლობას ბავშვს აკისრებს: „თავად არის დამნაშავე ეს აუტანლად ჯიუტი ბავშვი, ვერაფერს შეაგნებინებ“, „ბავშვი კი არა, პატარა მონსტრია“, „ვაფრთხილებდი და არ დამიჯერა, მისი ბრალია“. მშობელი ბავშვის სრულ დემონიზაციას ახდენს. ის ნეგატიურად აღიქვამს პატარას ნებისმიერ ცელქობას, რის გამოც უჩნდება არასწორი ნეგატიური განწყობა, დამახინჯებულად აღიქვამს რეალობას. დამახინჯებულად აღქმული ფაქტები, თავის მხრივ, აძლიერებს უარყოფით პროექციებს, თანაც ისე, რომ მსხვერპლს (ბავშვს) შანსი აღარ რჩება, მშობელს თავი მოაწონოს და მისი სიყვარული და თანაგრძნობა დაიმსახუროს.

სიტუაცია ოჯახში:

ბავშვი კარს დაეჯახა და ატირდა. მშობელს ეს არ დაუნახავს, მას მხოლოდ პატარის ტირილი შემოესმა. ის სასწრაფოდ აფასებს სიტუაციას საკუთარი ნეგატიური პროექციების პრიზმიდან და ღიზიანდება: „ოოო, ეს მტირალა ისევ ატირდა!“ მერე კი გაბრაზებული ეკითხება შვილს: „აბა, მითხარი, რა მოხდა ასეთი, რომ ისევ ტირი?“ ბავშვი შეშინებულია და ნაცვლად იმისა, რომ მოჰყვეს, რაც შეემთხვა, ცდილობს, „გამოსწორდეს“ და პასუხობს, რომ არაფერი მომხდარა. ასეთი პასუხი უფრო მეტად არისხებს მშობელს. მას უფრო მეტად უმტკიცდება საკუთარი ნეგატიური პროექცია: ბავშვი მტირალაა და ყოველგვარი მიზეზის გარეშე შეუძლია ცრემლები აღვარღვაროს. „ისედაც ვიცოდი, უხასიათო რომ იყო“.

რას აკეთებს ამ დროს „მდუმარე პიროვნება“? ის ხმას არ იღებს (ხშირად მსხვერპლსაც ურჩევს მოთმინებას და გაჩუმებას), რითაც ხელს უწყობს ოჯახურ ძალადობას, რომლის მსხვერპლი შესაძლოა არა მხოლოდ ბავშვი, არამედ ოჯახის რომელიმე ზრდასრული წევრიც კი გახდეს.

> რა მექანიზმი დევს მოძალადე მშობლის მხრივ ბავშვის – მსხვერპლის – ქმედებათა გაუფერულების, გაუფასურების ტენდენციაში? ჩვენი აზრით, მშობელი ბავშვს საკუთარი მრისხანების, ბრაზის „კონტეინერის“ ფუნქციას ანიჭებს.

რა მექანიზმი დევს მოძალადე მშობლის მხრივ ბავშვის – მსხვერპლის – ქმედებათა გაუფერულების, გაუფასურების ტენდენციაში? ჩვენი აზრით, მშობელი ბავშვს საკუთარი მრისხანების, ბრაზის „კონტეინერის“ ფუნქციას ანიჭებს.

ბავშვი-მსხვერპლი – ეს არის ჩამნაცვლებელი ობიექტი, მისკენაა მიმართული მოძალადე მშობლის მრისხანება, რომელიც სულ სხვა ადამიანს ეკუთვნის. სავარაუდოდ, მოძალადეს არ შეუძლია ბრაზის პირდაპირ ადრესატზე შურისძიება. მაგალითად, ადრესატი შეიძლება იყოს ქმარი, მამა ან სამსახურში თანამდებობრივად ზემდგომი პირი; ან იქნებ სულაც მოძალადეს დაუგროვდა საკუთარი თავით ან ცხოვრებით უკმაყოფილება – ნებისმიერ შემთხვევაში ბრაზი და მრისხანება ბავშვზე გადადის. აგრესიის გამოხატულება მრავალფეროვანია – მცირე შენიშვნებით დაწყებული, სერიოზული ძალადობით დამთავრებული. ბავშვი ხომ „ხურდას“ ვერ დააბრუნებს, სამაგიეროს ვერ გადაიხდის და ვერსად გაიქცევა.

თუ ერთ-ერთი მშობელი უსამართლოდ ეპყრობა შვილს, როგორ უნდა მოიქცეს მეორე? მკითხველი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ სწორი პასუხია: დაიცვას პატარა. აქ ერთი გარემოება იჩენს თავს: პარტნიორის პატივისცემა, ანუ თუ ერთი მშობელი „აღმზრდელობით ღონისძიებებს“ ატარებს, მეორე არაფერში ერევა. მაგრამ ეს წესი უნდა დაირღვეს, როცა რომელიმე მშობლის ქცევა არაადეკვატური ხდება. ბავშვი ხომ ვერ მოახერხებს, დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი ცხოვრება და, მით უმეტეს, აგრესორისგან დაიცვას თავი. ამიტომ თუ ერთმა უფროსმა მოძალადის როლი მოირგო, მეორე არ უნდა ჩადგეს „მდუმარე პიროვნების“ პოზიციაში.

მაინც რა აიძულებს მშობელს გაჩუმებას, როდესაც შვილზე მისივე პარტნიორი ძალადობს?

1. **პარტნიორის დაკარგვის შიში.** მშობელს ეშინია, რომ თუ მსხვერპლს გამოექომაგა, ეს გამოიწვევს კონფლიქტს მოძალადესთან, რომელიც შესაძლოა მასთან დაშორებითაც კი დასრულდეს. და რა განაპირობებს ამ შიშს?

   მატერიალური ინტერესი. მეორე მშობელი ან პარტნიორი ფინანსური უზრუნველყოფის წყაროა ან სხვა მატერიალური სარგებელი მოაქვს.

   საზოგადოებრივი აზრის ზეწოლა. მიუხედავად ყველაფრისა, განქორწინება დღესაც რჩება საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის საგნად.

   მარტოობის შიში, დაბალი თვითშეფასება. ეს ყოველივე აიძულებს მშობელს, ჩაებღაუჭოს პარტნიორს, განურჩევლად იმისა, როგორია ის და რას აკეთებს. არის შემთხვევები, როდესაც „მდუმარე პიროვნება“ თვალს ხუჭავს პარტნიორის მხრიდან შვილის მიმართ განხორციელებულ ნებისმიერი სახის ძალადობაზე.

2. **არასწორად აღქმული ღოიალურობა, ცრუ ღირებულებათა სისტემა.** „ცოლი ქმარს უნდა დაემორჩილოს, რადგან კაცი ოჯახის უფროსია“ ან „შვილების აღზრდა ქალის ხვედრია“.

3. **თავდაცვის არცოდნა, პარტნიორის მრისხანების შიში.** ბიოლოგიური ასაკი ყოველთვის ფსიქოლოგიურ სიმწიფეს არ გულისხმობს. მიუხედავად ზრდასრული ასაკისა, მშობელს, რომელმაც „მდუმარე პიროვნების“ როლი აირჩია, არ შეუძლია საკუთარი თავის და, მით უფრო, სხვების დაცვა, რადგან, როგორც წესი, ბავშვობაში ის ძალადობის შემსწრე იყო და არ იცის, მსგავს სიტუაციებში როგორ უნდა მოიქცეს.

4. **კონფორმისტული ქცევა, ნებისმიერ ფასად კონფლიქტისთვის თავის არიდება.** „მდუმარე პიროვნებას“ არ შეუძლია „გაართულოს სიტუაცია“, რადგან დარწმუნებულია, რომ მისი ჩარევითა და მსხვერპლის გამოქომაგებით უარესი მოხდება. ამის უკან დგას სირთულეებისა და პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების ტენდენცია. ეს საკუთარი სისუსტის მოხერხებული რაციონალიზაციაა.

5. **სარგებელი.** ზოგჯერ „მდუმარე პიროვნებას“ სავსებით აკმაყოფილებს ასეთი სიტუაცია. მაგალითად, პარტნიორის მრისხანება მიმართულია ბავშვისკენ და არა მისკენ. ბავშვი ხომ სრულად „დემონიზებულია“. „მდუმარე პიროვნება“ ინარჩუნებს კარგ ურთიერთობას დრამის ორივე მონაწილესთან: აგრესორს ჰგონია, რომ ეთანხმება მას, მსხვერპლი კი ფიქრობს, რომ „მდუმარე პიროვნებას“ ეცოდება და თანაუგრძნობს.

დაბოლოს: განურჩევლად იმისა, რა მიზეზით აღმოჩნდა „მდუმარე“ ამ როლში, ეს მას პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ არა მხოლოდ იმაზე, რასაც ვაკეთებთ, არამედ იმაზეც, რასაც არ ვაკეთებთ.

ქეთევან ოსიაშვილი

როგორ დავძლიოთ ბავშვის სიზარმაცე

იმ პრობლემათაგან, რომლებსაც მშობლები და პედაგოგები ბავშვთან ურთიერთობისას ეჯახებიან, სიზარმაცე განსაკუთრებული სიმწვავით აღიქმება და განსაკუთრებით შემაწუხებელია აღმზრდელთათვის. „საშინლად ზარმაცია, არაფრის გაკეთება არ უნდა. რაიმე ნივთს რომ აიღებს, ორი ნაბიჯის გადადგმა ეზარება თავის ადგილზე დასადებად“, „ისეთი ზარმაცია, საჭმელი წინ თუ არ დავუდე, შეიძლება მშიერი დარჩეს“, „ჩანთაში წიგნების ჩალაგებაც კი ეზარება, ესეც ჩემი გასაკეთებელია“, „მასწავლებელი ამბობს, მართალია, ძალიან ჭკვიანი, გონებაგახსნილი და ნიჭიერია, მაგრამ სიზარმაცის გამო ძალიან ცუდი შედეგები აქვს, ცხოვრებაშიც ვერაფერს მიაღწევსო“, – ეს ის ფრაზებია, რომლებიც არცთუ იშვიათად გვესმის მშობლებისგან.

ყველა მშობელი ოცნებობს, აღზარდოს შრომისმოყვარე, მიზანსწრაფული და მიზანდასახული შვილი, ამიტომ ბავშვის აპათიურობა, საშინაო დავალებების შესრულებისა და ყოველდღიური საქმეების კეთების სურვილის უქონლობა მათ განგაშს იწვევს.

სიზარმაცე ბავშვებში იშვიათი ნამდვილად არ არის. ხშირად ისინი არა მხოლოდ სწავლაში ამჟღავნებენ სიზარმაცეს, არამედ ბევრ სხვა საქმეშიც – ისეთშიც კი, რომელიც დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს.

სიზარმაცის დაძლევაც, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პრობლემისა, მისი მიზეზების ძიებით უნდა დავიწყოთ. თუ გვეცოდინება, რითია ის გამოწვეული, შევძლებთ დავეხმაროთ ბავშვს, თავი გაართვას ჩვენთვის ასე მიუღებელ და მისთვის საზიანო ჩვევას.

სიზარმაცის ძირითადი მიზეზები:

- **პიპერმგზრუნველობა** – ბავშვის სიზარმაცეს მრავალი მიზეზი აქვს, თუმცა მათგან მთავარი განვითარების ადრეულ პერიოდს უკავშირდება. საინტერესო და ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ჩვენთვის ესოდენ მიუღებელი ქცევისკენ არცთუ იშვიათად თავადვე ვუბიძგებთ პატარას, როდესაც არ გვყოფნის მოთმინება, ავიტანოთ მისი მოქმედების ნელი ტემპი, მოუხერხებლობა და საყვედურებით ვახშობთ დამოუკიდებლად მოქმედების ინიციატივას: „ჯერ პატარა ხარ, მე თვითონ დავალაგებ!“, „ხელი არ ახლო, თორემ გააფუჭებ!“, „არ აიღო ფინჯანი, გაგიტყდება!“ ამ სიტყვების სისტემატურად მოსმენის შემდეგ ბავშვს შესაძლოა საერთოდ გაუქრეს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის სურვილი. „რატომ უნდა ვეცადო, თუ მაინც ამიკრძალავენ და უუნაროს და მოუხერხებელს მიწოდებენ?“ – სამართლიანად ფიქრობს ის და თანდათან ეჩვევა, რომ მის ნაცვლად ყველაფერს უფროსები გააკეთებენ, რომლებსაც გაცილებით უკეთესად გამოსდით ეს საქმე. მრავალი წლის შემდეგ კი მისი სიზარმაცით აღშფოთებულ დედას მოზარდი გულწრფელი გაოცებით განუცხადებს: „რატომ უნდა გავაკეთო მე, როცა შენ გაცილებით უკეთესად გამოგდის?“

> ყველა მშობელი ოცნებობს, აღზარდოს შრომისმოყვარე, მიზანსწრაფული და მიზანდასახული შვილი, ამიტომ ბავშვის აპათიურობა, საშინაო დავალებების შესრულებისა და ყოველდღიური საქმეების კეთების სურვილის უქონლობა მათ განგაშს იწვევს.

ტემპერამენტის თავისებურებები – ბავშვის სიზარმაცეზე საუბრისას ნუ დაგვავიწყდება მისი ტემპერამენტის თავისებურებების გათვალისწინება. თუ ის ქოლერიკი ან სანგვინიკია, ნათელი გახდება, რატომ არ გამოსდის სამუშაო, რომელიც ყურადღების კონცენტრაციის მაღალ დონეს და სიბეჯითეს მოითხოვს. ასეთ სამუშაოს უკეთესად შეასრულებენ დინჯი, გაწონასწორებული ფლეგმატიკი ან მელანქოლიკი, თუმცა ამ ორი ტიპის ტემპერამენტის პატარები გაჭირვებით ართმევენ თავს დავალებას, რომელიც რეაქციის სისწრაფეს და აქტიურ ურთიერთობას მოითხოვს. სწორედ ამის გამოა, რომ ფლეგმატიკის ყურებისას ხანდახან გვეჩვენება, რომ ზარმაცობს. სინამდვილეში ასეთ ბავშვს მეტი დრო სჭირდება განწყობის შესაქმნელად და საქმესაც ძალიან ნელა აკეთებს.

წარუმატებლობის, მარცხის შიში – ხანდახან ბავშვი ხელს არ ჰკიდებს საქმეს, რადგან წარუმატებლობის ეშინია. მაგალითად, არ სურს ლექსის სწავლა იმიტომ, რომ რამდენიმე დღის წინ გაკვეთილზე ლექსს კითხულობდა, დაავიწყდა და თანაკლასელებმა დასცინეს. საკუთარ თავში დაურწმუნებელ, დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვს ეშინია თანატოლთა დაცინვის, მშობლების უკმაყოფილების, არ სურს, თავს ხელმოცარულად გრძნობდეს, ამიტომ ამჯობინებს, არც კი დაიწყოს საქმე, რომელიც, მისი აზრით, მარცხისთვისაა განწირული.

დაღლილობა – ბავშვი, რომელსაც არ აქვს თავისუფალი დრო თამაშისა და გართობისათვის, ადრე თუ გვიან, დიდი ალბათობით, აპათიური და ზარმაცი გახდება. სიზარმაცე ამ შემთხვევაში ბავშვის ორგანიზმის საპასუხო რეაქციაა გადატვირთვაზე. მას უბრალოდ ძალა არ ჰყოფნის, თავი გაართვას დატვირთვას, სიზარმაცით კი ამოსუნთქვისა და დასვენების საშუალება ეძლევა.

მშობლების ყურადღების მიპყრობის სურვილი – ხანდახან,

> ბავშვისთვის მუდმივად იმის შეხსენება, რომ ის ცუდი, ზარმაცი, მოუხერხებელია, უარყოფითად აისახება ჩვენდამი მის დამოკიდებულებაზე. ბავშვის უპირობო სიყვარული და მისი მიღება ისეთად, როგორიც არის, უამრავი პრობლემის და მათ შორის სიზარმაცის დაძლევაშიც დაგვეხმარება.

ურთიერთობის, ყურადღებისა და სიყვარულის დეფიციტის გამო, ბავშვი სიზარმაცით ცდილობს მშობლების ყურადღების მიპყრობას. ზარმაცობს, არაფერს აკეთებს და ამით თითქოს პროტესტს გამოხატავს მისდამი მშობლების დამოკიდებულების გამო.

- **ინტერესისა და მოტივაციის არარსებობა** – სასწავლო საქმიანობაში ბავშვის სიზარმაცის მიზეზი შეიძლება იყოს სწორედ მოტივაციის არარსებობა. მოტივაცია მოქმედების მამოძრავებელი ძალაა. ბავშვისთვის, განსაკუთრებით - უმცროსკლასელისთვის, ხშირად გაუგებარია, რა საჭიროა სკოლა, სკოლაში სიარული, თითქმის მთელი დღის იქ გატარება, მასწავლებლების მოსმენა, მერე კი მთელი საღამო გაკვეთილების მომზადება. „რატომ?“ - კითხულობს პატარა და პასუხად ესმის: „იმიტომ, რომ ასე სურთ მშობლებს, იმიტომ, რომ საჭიროა“. ბავშვისთვის საინტერესო არ არის სამუშაოს შესრულება მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საჭიროა.

რეკომენდაციები ბავშვის სიზარმაცის დასაძლევად:

- უარი ვთქვათ ჰიპერმზრუნველობაზე. გამოვიჩინოთ მოთმინება. ნუ ვეცდებით, ბავშვის ნაცვლად ყველაფერი ჩვენ გავაკეთოთ. რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო სწრაფად და უკეთესად გავართმევთ თავს საქმეს, მაგრამ დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის ჩახშობით ცუდ სამსახურს გავუწევთ პატარას. გავითვალისწინოთ, რომ მას სჭირდება დრო და გამოცდილება ნებისმიერი საქმის შესასრულებლად. თუ დამოუკიდებლად მოქმედების ინიციატივას ჩავუხშობთ, მომავალში მას აღარაფრის კეთება აღარ მოუნდება. წავახალისოთ ბავშვის დამოუკიდებლობა და გვახსოვდეს, რომ უზომო მეურვეობა მხოლოდ ვნებს მას. არაფერი დაშავდება, თუ პატარა ისე დახვეწილად ვერ გააკეთებს რამეს, როგორც ჩვენ გავაკეთებდით, ან ხელიდან გაუვარდება რამე და გაუტყდება.
- ნუ დავსჯით ბავშვს იძულებითი შრომით – „გაუგონრობის გამო დღეს ჭურჭელს გარეცხავ!“, „რაკი გაკვეთილები არ მოამზადე, ოთახს დაალაგებ!“ ეს ბავშვს სიძულვილს უღვივებს საქმის მიმართ, ჩაუკლავს შრომის სურვილს. შრომის სურვილის უქონლობა კი, თავის მხრივ, სიზარმაცის წინაპირობაა.
- ხშირ-ხშირად მივცეთ ბავშვს პატარ-პატარა დავალებები. ამასთან, გავაკეთოთ ეს არა ბრძანების, არამედ თხოვნის ფორმით. ასე პატარა იგრძნობს, რომ ვენდობით, რაც თვითშეფასებას აუმაღლებს.
- ნუ ვეჩხუბებით ბავშვს, თუ პირველივე მცდელობაზე რამე არ გამოუვიდა. უკეთესი იქნება, მშვიდად, კეთილგანწყობილი ტონით ავუხსნათ, როგორ შეიძლება ყველაფრის გამოსწორება.
- თუ ბავშვს საოჯახო საქმეში ჩვენი დახმარება უნდა, უარს ნუ ვეტყვით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა წინასწარ ვიცით, რომ არ გამოუვა. გვახსოვდეს, ბავშვი ზარმაცდება სწორედ მაშინ, როდესაც მას რამის კეთებას ვუკრძალავთ. გავაკეთოთ ეს საქმე ბავშვთან ერთად და არ დაგვავიწყდეს მისი შექება დახმარებისთვის. უბრალო შექება, განსაკუთრებით – ოჯახის ყველა წევრის თანდასწრებით, მშობლების სიხარული და სიამაყე ბავშვისთვის შესაძლოა ძლიერ მამოტივირებელ ფაქტორად იქცეს.
- მივაჩვიოთ ბავშვი დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. თუ რამე არ გამოსდის, დავეხმაროთ, შევასრულოთ დავალებები ერთად, მაგრამ არა მის მაგივრად.
- გავითვალისწინოთ, რომ ბავშვები პირდაპირ იღებენ უფროსების, უპირველესად კი მშობლების ქცევის მოდელს, ამიტომ არ იქნება გამართლებული, მოვითხოვოთ მისგან შრომისმოყვარეობა, თუ თავად არ გაგვაჩნია ეს თვისება.

დაბოლოს, ნუ დაგვავიწყდება: ბავშვისთვის მუდმივად იმის შეხსენება, რომ ის ცუდი, ზარმაცი, მოუხერხებელია, უარყოფითად აისახება ჩვენდამი მის დამოკიდებულებაზე. ბავშვის უპირობო სიყვარული და მისი მიღება ისეთად, როგორიც არის, უამრავი პრობლემის და მათ შორის სიზარმაცის დაძლევაშიც დაგვეხმარება.

მაია ჯაღიაშვილი

როგორ „გავაღვიძოთ“ მოსწავლე – კრიტიკული აზროვნების ნიუანსები

> კრიტიკულად მოაზროვნე არა მხოლოდ კონკრეტულ ამოცანებს წყვეტს, არამედ რეალური ცხოვრებისეული გამოწვევებისთვისაც ემზადება. ამგვარი აზროვნების უნარი ეხმარება ადამიანს, დამოუკიდებლად გაიკვლიოს გზა თანამედროვე საინფორმაციო ნაკადებში.

სკოლამ მოსწავლე, უპირველეს ყოვლისა, კრიტიკულ აზროვნებას უნდა მიაჩვიოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლის მთავარი ამოცანა არა ინფორმაციის გადაცემა, არამედ მოპოვებული ფაქტების შერჩევა, ანალიზი, სინთეზი და შეფასებაა. ამისთვის კი თვითონ პედაგოგს უნდა ჰქონდეს ეს უნარი, რომელიც, რა თქმა უნდა, მუდმივ წვრთნას მოითხოვს. მასწავლებელმა მოსწავლე უნდა „გააღვიძოს“, რათა მან შეძლოს საგნებისა და მოვლენების ნათლად აღქმა და დანახვა. „გაღვიძება“ იგივე მოძრაობაა, მოქმედებაა ინდივიდუალობის განსავითარებლად, კოლექტიური შეხედულებების მღვრიე ნაკადებში გზის გასაკვლევად.

სასკოლო განათლების მთავარი პერსპექტივები დაკავშირებულია არა მხოლოდ უახლეს ტექნოლოგიებთან, არამედ ადამიანებთან, რომლებიც მას შესაბამისი მიზნებისთვის გამოიყენებენ. XXI საუკუნეში კაცობრიობა განვითარების ახალ სტადიაზე გადავიდა: მეცნიერები, პოლიტიკოსები, პედაგოგები თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროთა სხვა წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად საუბრობენ საინფორმაციო ერაზე, რომელმაც ადამიანისგან ახალი უნარების განვითარება მოითხოვა. შრომით ბაზარზე ინტელექტუალური შრომის წილი სულ უფრო მეტად იზრდება, რაც სკოლისგანაც მოითხოვს მზადყოფნას, შეგუებას, იმ მოთხოვნათა გაცნობიერება-გააზრებას, რომლებიც თანამედროვე სოციალურმა დაკვეთებმა წარმოშვა. ასე რომ, განათლება უნდა დაეფუძნოს არა მზა ცოდნის ათვისებას, არამედ მის შემოქმედებით გადამუშავებას და დამოუკიდებელ გამოყენებას, იმის უნარს, რომ ადამიანმა შეძლოს თავისი საქმიანობის შეფასება. მასწავლებელმა ციფრული ტექნოლოგიებიც იმისთვის უნდა გამოიყენოს, რომ კრიტიკული აზროვნების უნარი განუვითაროს მოსწავლეებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე მიეჩვიოს სააზროვნო ტექნიკებისა თუ სტრატეგიების გამოყენებას სასურველი შედეგის მისაღწევად. ეს არის აზროვნების იმგვარი მართვის უნარი, როცა შეგიძლია მიზანდასახულად ფიქრი, ამოცანების გადაწყვეტა, არსებულ მონაცემთა კლასიფიკაცია, დამუშავება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

კრიტიკულად მოაზროვნე არა მხოლოდ კონკრეტულ ამოცანებს წყვეტს, არამედ რეალური ცხოვრებისეული გამოწვევებისთვისაც ემზადება. ამგვარი აზროვნების უნარი ეხმარება ადამიანს, დამოუკიდებლად გაიკვლიოს გზა თანამედროვე საინფორმაციო ნაკადებში. ცხოვრებაში კი უმნიშვნელოვანესია განსაზღვრული ორიენტირები, რომელთა გარეშე საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება წარმოუდგენელია.

კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად მასწავლებელი მუდმივად შემოქმედებითად უნდა იყოს განწყობილი, რათა შესაბამისი ხერხები და მეთოდები მოიძიოს კონკრეტული კლასის მონაცემებისა თუ შესასწავლი მასალის გათვალისწინებით. მან გაკვეთილზე ხელი უნდა შეუწყოს:

- სხვადასხვა თვალსაზრისის, შეფასების, დამოკიდებულების არსებობას;

- კომუნიკაციის კულტურის განვითარებას;
- შაბლონურ და სტერეოტიპულ კითხვა-პასუხებზე უარის თქმას;
- სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ მოსწავლეებს მიეცეთ დამოუკიდებლად ფიქრისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა;
- გაკვეთილზე მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიის გამოყენებას და სხვ.

ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე მასწავლებელს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თითოეულ მოსწავლეზე; უნდა იცოდეს, როგორ გაითვალისწინოს მოსწავლეთა უმრავლესობისა თუ უმცირესობის ინტელექტუალური მონაცემები, ათვისებისა და შემეცნების სტილი და შეიმუშაოს შესაბამისი, მოკლე თუ გრძელ პერსპექტივაზე გათვლილი ტაქტიკა. თუ პედაგოგი დიდხანს ვერ იღებს შედეგს, თვითდიაგნოსტირების გზით კარგად უნდა გააცნობიეროს მიზეზი:



1. საჭიროა სწავლების სტრატეგიის შეცვლა;
2. სხვადასხვა მოსწავლის „გასაღვიძებლად“ საჭიროა სხვადასხვა მეთოდის გამოყენება.

ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად აღიქვამს სამყაროს, მოვლენებს, თავისებური სმენა და ინტუიცია აქვს. ამიტომ კარგად უნდა გავარკვიოთ, ესა თუ ის ბავშვი რას ხედავს იოლად და რას - ვერა. სხვათა რეკომენდაციებისა და გამოცდილების გაცნობა-გაზიარება აუცილებელია, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი გზა. ყოველგვარი მასალის გაცნობის შემდეგ საჭიროა შემოქმედებით-ანალიტიკური ფიქრი, ძიება და პოვნა იმ ხერხისა, რომელიც ყოველ ცალკეულ მოსწავლეს დაანახებს იმას, რასაც აქამდე ვერ ხედავდა და ამიტომაც ვერ ვითარდებოდა, არ უყალიბდებოდა კრიტიკული აზროვნების ჩვევა და უნარი, რის გამოც თვითონაც წუხდა და მასწავლებელსაც საგონებელში აგდებდა.

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს გამოსავლის მუდმივ ძიებას, წიგნებსა თუ ინტერნეტსივრცეში წაკითხულ თუ გაგონილ რჩევებში შესაბამისის ამორჩევისა და გამოყენების უნარს, მზა მოდელების ცვლილებას კერძო და კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. ერთ თვალსაჩინო მაგალითს მოვიყვანთ, რომელიც ჯეკი თერნბულის წიგნიდანაა: „ბავშვობაში ოჯახს ხშირად დავყავდი სასეირნოდ. მთელი ოჯახი მივდიოდით ხოლმე: ბიძები, მამიდები, ბიძაშვილები. ერთ-ერთი ასეთი სერნობის დროს სოფლის პირას მივდიოდით, როცა ჩემმა ერთმა ბიძაშვილმა გვთხოვა, გავჩერებულიყავით. მას შეემჩნია მეჟოლია, რომელიც ღობეზე ოჯდა და ვიწრო ჭრილიდან ოდნავ მოჩანდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჩემ გარდა ყველა ულამაზესი ჩიტის ყურებით ტკბებოდა. მე კი წარმოდგენა არ მქონდა, რას მიშტერებოდნენ ასე. „შეხედე, ჟაკლინ, შეხედე“, – ჩამჩურჩულა ბიძამ, დაიხარა და ღობისკენ მიმანიშნა, რომელსაც ყველა უყურებდა. „შეხედე, სანამ გაფრინდება“. მე, შეძლებისდაგვარად, მზერა გავამახვილე. „სად არის, სად?“ - ვკითხულობდი დიდი ინტერესით. „აი, იქ, იქ“, - მიპასუხა ბიძაჩემმა, განაწყენებულმა იმით, რომ აქამდე ვერ შევამჩნიე ფრინველი. ლამის საუკუნე გავიდა იმის მცდელობაში, რომ ჩიტი დამენახა. ბოლოს, თითქოს დარაბა ჩამოხსნესო, სრულიად სხვა სურათი წარმომიდგა თვალწინ. მეც დავინახე ფრინველი, რომელსაც დანარჩენები უკვე დიდი ხანია ხედავდნენ. მშვენივრად ჩანდა. აღმოჩნდა, რომ ორი მეტრიც კი არ მაშორებდა მისგან“ (ჯეკი თერნბული, „პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი“).

ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად აღიქვამს სამყაროს, მოვლენებს, თავისებური სმენა და ინტუიცია აქვს. ამიტომ კარგად უნდა გავარკვიოთ, ესა თუ ის ბავშვი რას ხედავს იოლად და რას – ვერა. სხვათა რეკომენდაციებისა და გამოცდილების გაცნობა-გაზიარება აუცილებელია, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი გზა.

„მზერის გამახვილებას“ წვრთნა სჭირდება, რომლის ხანგრძლივობა ყველა მოსწავლეს შეიძლება სხვადასხვა ჰქონდეს. ამისთვის კი არსებობს ნაცადი სასწავლო სტრატეგიები. უპირველეს ყოვლისა, ყოველი გაკვეთილი ისე უნდა დაიგეგმოს, რომ კარგად გამოიკვეთოს სამი ეტაპი: გამოწვევა, გააზრება, რეფლექსია.

გამოწვევის ეტაპზე მასწავლებელმა შეიძლება სხვადასხვა მეთოდი გამოიყენოს: ინდივიდუალური მუშაობა, წყვილებსა თუ ჯგუფებში მუშაობა, გონებრივი იერიში, შინაარსის პროგნოზირება, პრობლემური კითხვები... ამგვარად, მოსწავლეს ექმნება ბაზისი ცოდნის მიღება-გაანალიზებისთვის, ახალი ინფორმაციის ძველთან ეფექტურად დაკავშირებისთვის, ამ ახალი ინფორმაციის კრიტიკული გადამუშავებისთვის.

გააზრების ეტაპზე მოსწავლე უღრმავდება ახალ მასალას, კითხულობს ტექსტს, უყურებს ფილმს, უსმენს ლექციას, სვამს კითხვებს, ინიშნავს გასარკვევ თუ პრობლემურ საკითხებს. ყოველი მოსწავლე თავის დამოკიდებულებას გამოხატავს, მსჯელობს, როგორ გაიგო ესა თუ ის საკითხი, რა დაეხმარა ამაში ან რამ შეუშალა ხელი, რამ წაიყვანა სხვა გზით. მოსწავლეებს აუცილებლად უნდა შეეძლოთ ამგვარი თვითანალიზი. მასწავლებელმა ისინი ამას თანდათან უნდა შეაჩვიოს.

ცოდნის გამყარება სხვადასხვა ხერხითა და მეთოდით მიიღწევა. მაგალითად, თუ მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის ფორმას აირჩევს, მაშინ კარგად უნდა დააკვირდეს, რომ ჯგუფში ორი მნიშვნელოვანი რამ გამოიკვეთოს: ინდივიდუალური ძიება და იდეების გაცვლა-გაზიარება. ჯერ იდეები, თვალსაზრისები უნდა გამოთქვან მოსწავლეებმა, მერე ერთმანეთთან თანამშრომლობით გამოიტანონ დასკვნები, ბოლოს კი ლიდერს მიანდონ თავიანთი თვალთახედვის (ნამუშევრის) საპრეზენტაციოდ გამოტანა.

ყველა მეთოდი თავიდანვე ერთნაირი წარმატებით ვერ იმუშავებს - უნდა ადაპტირდეს, ტრანსფორმირდეს და მასწავლებელმაც ხშირად უნდა გამოიყენოს, რათა მოსწავლეები მიაჩვიოს ამგვარი ტექნოლოგიით ცოდნის შეძენას და სხვადასხვა მნიშვნელოვანი უნარის განვითარებას.

რეფლექსიის სტადიაზე მოსწავლეები გაიაზრებენ, რა ისწავლეს გაკვეთილზე, ამგვარად იმყარებენ შეძენილ ცოდნას, ახალი მასალის გათვალიწინებით, აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ დამოკიდებულებასა და შეხედულებებს. ერთსა და იმავე ფაქტსა თუ მოვლენას სხვადასხვა რაკურსით გაიაზრებენ, ეცნობიან განსხვავებულ შეხედულებებს, შემოქმედებითად გადაამუშავებენ სხვადასხვა ინფორმაციას, იძენენ უნარს, თავისუფლად გამოხატონ სუბიექტური დამოკიდებულება ყოველივეს მიმართ, სხვაც შეაფასონ და საკუთარი შესაძლებლობებიც სწორად აღიქვან.

ამგვარად მასწავლებელი აამაღლებს გაკვეთილზე ინფორმაციის მიღება-გადამუშავების ხარისხს, მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას, ცოდნისადმი მათ პასუხისმგებლობას, განუვითარებს მათ პიროვნულობას, რათა მოსწავლემ სწავლა გაიაზროს არა როგორც მომაბეზრებელი რუტინა, არამედ როგორც სამყაროსა და საკუთარი თავის დაუსრულებელი, აღმოჩენებით სავსე შემეცნების პროცესი.

ანა ჯანელიძე

ციფრული ტექნოლოგიები ადრეულ განათლებაში

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება აქტუალურია განათლების ყველა საფეხურზე, მათ შორის - ადრეულ განათლებაშიც. დღეს ბავშვები გარემოცულნი არიან ციფრული ტექნოლოგიებით და, შესაბამისად, ციფრული „გარემო" მათთვის ბუნებრივი და ბევრად უფრო გასაგებია, ვიდრე მრავალი ჩვენგანისთვის. საბავშვო ბაღში სიარულის დაწყების მომენტისთვის ბავშვებს უკვე აქვთ მრავალფეროვანი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილება. ამ კონტექსტში, ადრეულ განათლებაში მხოლოდ ტრადიციული რესურსების გამოყენება და ტექნოლოგიების როგორც სწავლისა და თამაშის მედიუმის უგულებელყოფა შესაძლოა დღეს უკვე ვეღარ პასუხობდეს ბავშვების საჭიროებებსა და ინტერესებს.

ადრეული განათლების თანამედროვე მკვლევართა მოსაზრებით, ციფრული ტექნოლოგიები ბავშვებს სთავაზობს ცოდნის კონსტრუირებისა და უნარების ჩამოყალიბების მრავალფეროვან საშუალებასა და მოდალობას. სმარტფონი, კომპიუტერი, ტაბლეტები, მარტივად პროგრამირებადი სათამაშო რობოტები რეალობის შესწავლისა და რეპრეზენტაციის ისეთ შესაძლებლობებს იძლევა, რომლებიც მათ გარეშე წარმოუდგენელი ან ძალიან რთული იქნებოდა.

საქართველოს სკოლამდელი დაწესებულებებისთვის სავალდებულო „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი" ტექნოლოგიების საკითხს ზოგადად ითვალისწინებს, ციფრული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით კი სტანდარტი კონკრეტულ მიმართულებებსა და განმარტებებს არ გვთავაზობს.

რა ადგილი შეიძლება ეკავოს ტექნოლოგიებს ადრეულ ასაკში თამაშსა და/ან სწავლაში? უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ათწლეულია, თამაშსა და სწავლას შორის კავშირი მეცნიერთა მსჯელობის საგანს წარმოადგენს. თამაშის გამოჩენილი თეორეტიკოსის, ბრაიან სათონ-სმითის აზრით, მე-20 საუკუნის განვითარების ფსიქოლოგიის ლიტერატურა გადაჭარბებულ ყურადღებას უთმობს ადრეულ ასაკში თამაშს როგორც განვითარებისა და უნარ-ჩვევების დაუფლების საფუძველს. სათონ-სმიტი სკეპტიკურად უყურებს თამაშის განხილვას მხოლოდ განვითარების პერსპექტივიდან და მართალია, ამ პერსპექტივას არ უარყოფს, მაგრამ მიაჩნია, რომ საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს. მიუხედავად ამ სკეპტიციზმისა, ადრეული განათლების სპეციალისტები თამაშსა და სწავლას ადრეულ ასაკში განუყოფელ, მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებულ პროცესად მიიჩნევენ. სკეპტიკოსებისთვის თამაშის სასწავლო პოტენციალი რეალიზდება მასწავლებლის/მშობლების ძალისხმევის გზით – თამაშზე დაკვირვებით, მისი

დღეს ბავშვები ტექნოლოგიური სამყაროს აბორიგენები არიან. უფროსების გასაკვირად, ისინი მარტივად, სწრაფად და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე სწავლობენ სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიების გამოყენებას.

გამდიდრებით, წახალისებით, გამრავალფეროვნებით, გარკვეული მიმართულების მიცემით და ა.შ. ადრეული განათლების მკვლევარი ნიკოლა იელანდი ასეთ პროცესს თამაშ-თამაშით კვლევას („playful explorations") უწოდებს. იელანდის აზრით, თამაშ-თამაშით კვლევის დროს მასწავლებლის მხრივ სკაფოლდინგი ბავშვის ინიციატივას სწავლის შესაძლებლობად აქცევს, ისე, რომ ბავშვისთვის საინტერესო ფორმა და პროცესი შენარჩუნებულია. იელანდი ამტკიცებს, რომ ახალი ტექნოლოგიები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია თამაშით კვლევის წახალისებისთვის. ახალი ტექნოლოგიები მულტიმოდალური, მულტიწიგნიერების გამოცდილების მიღების და მრავალფეროვანი გზით თვითგამოხატვის საშუალებას გვაძლევს. ადრეული განვითარებისა და განათლების მკვლევრის მარლინ ფლიერის კვლევა ოჯახურ გარემოში ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ საინტერესო პერსპექტივებს გვთავაზობს თამაშისა და ტექნოლოგიების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. ფლიერის მოსაზრებით, ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად მდიდრდება ფანტაზია და თამაში (მაგალითად, მზარეულობანა, ნაცვლად ნამდვილი სადილის მომზადებაში დახმარებისა). ფლიერის კვლევა ცხადყოფს, რომ ადრეული ასაკის ბავშვები თანამედროვე ტექნოლოგიებს სხვადასხვა მიზნით იყენებენ: უფროსების დასახმარებლად, გასართობად, თამაშისთვის.

დღეს ბავშვები ტექნოლოგიური სამყაროს აბორიგენები არიან. უფროსების გასაკვირად, ისინი მარტივად, სწრაფად და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე სწავლობენ სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიების გამოყენებას. მათი უმეტესობა წერა-კითხვის სწავლამდეც თავისუფლად სარგებლობს ციფრული ტექნოლოგიებით. მეტიც - ხანდახან სწორედ ამ ტექნოლოგიების საშუალებით უვითარდებათ წიგნიერების უნარ-ჩვევები. ამდენად, ტექნოლოგიები ის სფეროა, სადაც ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე აქვთ საკუთარი კომპეტენტურობისა და შემოქმედებითობის დემონსტრირების შესაძლებლობა. იმავდროულად, ბევრი პროფესიონალი შიშობს, რომ ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი ეკრანის მქონე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება საზიანო აღმოჩნდება ბავშვების ადრეული განვითარებისთვის. იმისთვის, რომ ტექნოლოგიები ხელს უწყობდეს ბავშვის განვითარებას და არა პირიქით, მნიშვნელოვანია ორი პრინციპის გათვალისწინება: ციფრული ტექნოლოგიებისთვის

განკუთვნილი დროის შეზღუდვა და გამოყოფილი დროის გამოყენება ბავშვებისთვის ღირებული და საინტერესო გამოცდილების მისაღებად, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მასწავლებლები და მშობლები. შესაბამისად, სკოლამდელ დაწესებულებაში ტექნოლოგიების გამოყენება გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს საგანმანათლებლო პროცესის ფორმაზე, მათ შორის - ბავშვებსა და პედაგოგს შორის ინტერაქციაზე: ერთი მხრივ, ეს იქნება ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში მასწავლებლის მხრივ ბავშვების დამატებითი კონტროლი (ხანგრძლივობა, შინაარსის შესაბამისობა), მეორე მხრივ კი – მასწავლებლების მიზანმიმართული ძალისხმევა, ასწავლონ ბავშვებს სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენება, აქციონ ეს პროცესი სასწავლო და განმავითარებელ გამოცდილებად.

ამერიკის პედიატრთა ასოციაციის ბოლო რეკომენდაციების მიხედვით, ეკრანული ტექნოლოგიების გამოყენება შეიძლება 18 თვიდან, თუმცა ხარისხიანი რესურსი/პროგრამები სიფრთხილით უნდა შეირჩეს, ხოლო მათი გამოყენება უფროსის დახმარებით მიმდინარეობდეს, რათა ბავშვებმა ინფორმაციის გადამუშავება და გააზრება შეძლონ. ასოციაციის რეკომენდაციით, 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ხარისხიანი ეკრანული მედიის გამოყენების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს დღეში 1 საათს. ადრეულ განათლებაში ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო მაგალითებს რეჯიო ემილიას მიდგომა გვთავაზობს. იტალიის ქალაქ რეჯიო ემილიაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული პედაგოგიური მიდგომა დღეს მთელ მსოფლიოში ადრეული პედაგოგიკის ერთ-ერთ გამორჩეულ და წარმატებულ მოდელად არის მიჩნეული. რეჯიო ემილიას მიდგომა დიდი ხანია გასცდა იტალიის საზღვრებს და ამჟამად მრავალ ქვეყანაშია ამ პრინციპებით მომუშავე საბავშვო ბაღები. რეჯიოს ბაღებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტებია:

- კომპეტენტური ბავშვი, რომელსაც სწავლისა და თვითგამოხატვის მრავალი „ენა“ აქვს; შესაბამისად, მიდგომა აგებულია ბავშვების ინტერესების მიყოლაზე, ბავშვების მიერ მოვლენებისა და საგნების სიღრმისეულ კვლევაზე (გრძელვადიანი პროექტები), შემოქმედებითობაზე;
- ესთეტიკა როგორც საგანმანათლებლო პროცესისა და გარემოს მნიშვნელოვანი მხარე;
- გარემო როგორც მასწავლებელი;
- დოკუმენტირება როგორც გამოცდილების „შენახვისა“ და ხელახალი გაანალიზების საშუალება;
- თემი და საზიარო კულტურა როგორც ცოდნის შეძენისა და განვითარების საყრდენი.

ერთი შეხედვით, ეს პრინციპები შორს დგას თანამედროვე ტექნოლოგიებისგან, თუმცა რეჯიოს გამოცდილების შესწავლა ცხადყოფს, რომ ტექნოლოგიები ორგანულად არის შერწყმული საგანმანათლებლო პროცესთან და წარმატებით გამოიყენება საბავშვო ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში. რეჯიო ემილიაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება არა მიზანი, არამედ საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრებისა და გამრავლფეროვნების კიდევ ერთი საშუალებაა. ციფრული ტექნოლოგიები გამოიყენება ურთიერთობათა განმტკიცების საშუალებად, კვლევის ინსტრუმენტად, ახალი ცოდნის კონსტრუირებისა და უნარების ჩამოყალიბების წყაროდ, შემოქმედებითობის განვითარების გზად, დოკუმენტირებისა და კომუნიკაციის საშუალებად და სხვა. გთავაზობთ აღნიშნული მიმართულებებით ტექნოლოგიების გამოყენების წარმატებულ მაგალითებს.

ურთიერთობები, შემოქმედებითობა: რეჯიო ემილიას მასწავლებლებს სჯერათ, რომ ტექნოლოგიები სწორად გამოყენების შემთხვევაში ადამიანებს ერთმანეთთან აახლოებს, ამიტომ მათი გამოყენებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობის ელემენტს, ბავშვების ჯგუფურად მუშაობას და ტექნოლოგიებს როგორც ადამიანებს შორის კავშირის გაღრმავების საშუალებას. რეჯიო ემილიას პედაგოგიკის სპეციალისტს, ჯორჯ ფორმანს, მოჰყავს საინტერესო მაგალითი იმისა, თუ როგორ იყენებენ ბავშვები ტექნოლოგიებს მოვლენებისთვის სოციალური

> ბავშვების უმეტესობა წერა-კითხვის სწავლამდეც თავისუფლად სარგებლობს ციფრული ტექნოლოგიებით. მეტიც – ხანდახან სწორედ ამ ტექნოლოგიების საშუალებით უვითარდებათ წიგნიერების უნარ-ჩვევები. ამდენად, ტექნოლოგიები ის სფერო, სადაც ბავშვებს აღრეული ასაკიდანვე აქვთ საკუთარი კომპეტენტურობისა და შემოქმედებითობის დემონსტრირების შესაძლებლობა.

რეჯიო ემილიას საერთაშორისო განათლების ცენტრი. მწვანე სამყარო /აუდიოვიზუალური გამოფენა/. (ავტორის ფოტო, 2015)

და ემოციური განზომილების მისაცემად: ძლიერი ქარის შემდეგ ბაღის ეზოში მდგარ ხეს მოზრდილი ტოტი მოტყდა. ტოტით თამაშის შემდეგ ბავშვებმა იფიქრეს, რომ მისთვის დედასთან (ხესთან) განშორება ძნელი უნდა ყოფილიყო. ლეგოს სპეციალური კუბებით (Mindstorm), რომლებიც სინათლის მიმართ სენსიტიურია, ბავშვებმა დაამზადეს მოწყობილობა: დაამაგრეს სარკე ხეზე, რომელიც მზის ამოსვლასთან ერთად სინათლეს ირეკლავდა და ლეგოს მოწყობილობას გადასცემდა; სინათლეზე კი მოწყობილობა რეაგირებდა და უკრავდა აუდიოჩანაწერს: „დილა მშვიდობისა, დედიკო". ამ მაგალითში ნათლად ჩანს ტექნოლოგიების გამოყენების ადამიანური განზომილება, რომელსაც ბავშვები გასაოცარი შემოქმედებითი ხერხებით აღწევენ.

კვლევის ინსტრუმენტი, ახალი ცოდნის კონსტრუირების წყარო: თანამედროვე ტექნოლოგიები ბავშვებს აძლევს საშუალებას, უმოკლეს ხანში მოიპოვონ სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე. პინგვინების მოგზაურობის პროექტის ფარგლებში, ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით, რეჯიოს ბავშვები მათგან ათასობით კილომეტრის იქით, ანტარქტიდაზე მყოფ მეცნიერს ესაუბრებიან, ინტერნეტის საშუალებით აგროვებენ პინგვინებსა და მათ ოჯახებზე მრავალფეროვან ინფორმაციას ტექსტური, ვიზუალური, აუდიო- თუ ვიდეოფორმატით, ფოტოშოპის საშუალებით ქმნიან ვიზუალური რუკების ფენებს პინგვინების მოგზაურობის მიმართულებათა აღსაწერად და ა.შ.

დოკუმენტირება, შეფასება, კომუნიკაცია: ტექნოლოგიების საშუალებით ბავშვების საქმიანობის, მიმდინარე პროექტებისა და განვითარების პროცესის დოკუმენტირება უფრო მარტივი და მრავლისმომცველი ხდება. ციფრული ვიდეოჩანაწერები საშუალებას აძლევს რეჯიოს მასწავლებლებს, რეგულარულად დააკვირდნენ ბავშვებს, შეაფასონ ისინი და მოახდინონ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიაც, ვინაიდან ვიდეოს საშუალებით შესაძლებელია ისეთი ქცევისა თუ მოვლენის შემჩნევა, რომელიც საგანმანათლებლო პროცესის დროს შესაძლოა მასწავლებლის ყურადღების მიღმა დარჩეს. ციფრული დოკუმენტები: ფოტოები, პროგრამული და ვიდეოჩანაწერები, ტექსტები და სხვა - წინამორბედ ფორმატთან შედარებით ადვილად კლასიფიცირებადი და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ადვილად მოსაძიებელია. ციფრული დოკუმენტირება საშუალებას აძლევს რეჯიო ემილიას თემს (საბავშვო ბაღს, მშობლებს, ბავშვებს), შექმნას და შეინახოს მთელი ბიბლიოთეკა ბავშვის, მისი საქმიანობის, ემოციების, თამაშის, ინტერესების შესახებ.

მოცემული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ განათლებაში შესაძლებელია ისე, რომ დაცული და გაღრმავებული იყოს ადრეულ ასაკში განვითარებისა და განათლების პრინციპები. წარმატებული პრაქტიკა მოწმობს, რომ ტექნოლოგიების სწორი გამოყენების შემთხვევაში საზოგადოებაში არსებული შიში ტექნოლოგიური საფრთხეების შესახებ გადაჭარბებულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. American Academy of Pediatrics (2016). American Academy of Pediatrics announces new recommendations for children's media use. https://www.aap.org/en-us/about-the-aap/aap-press-room/pages/american-academy-of-pediatrics-announces-new-recommendations-for-childrens-media-use.aspx
2. Fleer, M. (2011). Technologically constructed childhoods: Moving beyond a productive and critical view of curriculum development. *Australian Journal of Early Childhood 36* (1), 16-24
3. Forman, G. (2012). The use of digital media in Reggio Emilia. *In The Hundred Languages of Children: The Reggio Emilia experience in transformation,* Eds. C. Edwards, L. Gandini & G. Forman. Santa Barbara: Praeger
4. Mitchell, L. M. (2007). Using technology in Reggio Emilia-inspired programs. *Theory into Practice 46 (1)* 32-39
5. Sutton Smith, B. (1997). *The ambiguity of play.* Cambridge Mass.: Harvard University Press. Sutton Smith, B. (1997). *The ambiguity of play.* Cambridge Mass.: Harvard University Press
6. Yelland, N. (2011). Reconceptualising play and learning in the lives of young children. *Australian Journal of Early Childhood 36* (2), 4-12